



საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

სალომე მეგენიშვილი

ხელშეკრულების მისადაგება პანდემიით გამოწვეული
შეცვლილი გარემოებებისადმი

დისერტაცია

წარმოდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სამართლის დოქტორი, მაია სულხანიშვილი

თბილისი
2025წ

ს ა რ ზ ე ვ ი

თავი I.

- 1.1 შესავალი გვ.5
- 1.2. კვლევის მიზანი, აქტუალობა და მეთოდოლოგიაგვ.7
- 1.3. ნაშრომის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა გვ.9

თავი II. სახელშეკრულებო ვალდებულებების სამართლებრივი ბუნება

- 2.1. ხელშეკრულების წარმოშობა და ნების ავტონომია გვ.13
- 2.2. „Pacta Sunt Servanda“ და კეთილსინდისიერების პრინციპები გვ.17
- 2.3. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის არსი გვ.24
- 2.4. ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები გვ.30

თავი III. გარემოების ცვლილების სამართლებრივი დოქტრინა

- 3.1. დოქტრინის არსი და მნიშვნელობა გვ.40
- 3.2. დოქტრინის გამოყენება სხვადასხვა იურისდიქციაში..... გვ.43
- 3.2.1.ფრანგული სამოქალაქო კოდექსი და Canal de Craponne-ის საქმე, 1195-ე მუხლის პრაქტიკული გამოყენება საფრანგეთში გვ.44
- 3.3. შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი მექანიზმები გვ.46
- 3.4 „გაუთვალისწინებელი გარემოებების“ პრინციპი (clausula rebus sic stantibus) გვ.50
- 3.5 ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა: სუბიექტური და ნორმატიული ელემენტები გვ.51

თავი IV. გარემოების ცვლილების სამართლებრივი დოქტრინა ქართულ სამოქალაქო სამართალში

- 4.1. გარემოების ცვლილების დოქტრინის რეგულირება და პრაქტიკული გამოყენება (398-ე მუხლი)..... გვ.53
- 4.2. ხელშეკრულების მიზნობრიობის რღვევა და ერთობლივი შეცდომა მოტივში..... გვ.55
- 4.3. ხელშეკრულების მისადაგების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები..... გვ.58
- 4.4. 399-ე და 407-ე მუხლების დებულებების მნიშვნელობა გვ.62
- 4.5. ობიექტური პასუხისმგებლობა დაუძლეველი ძალის შემთხვევებში..... გვ.63

თავი V. ფორსმაჟორის ინსტიტუტი და მისი ურთიერთობა გარემოების ცვლილების დოქტრინასთან

- 5.1. ფორსმაჟორის ცნება, დოგმატური განვითარება და თანამედროვე გამოყენების სფერო გვ.67
- 5.2. ფორსმაჟორული დათქმების როლი, სტანდარტიზაცია და რისკების მართვა..... გვ.69

- 5.3 ფორსმაჟორის ელემენტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრება..... გვ.79
- 5.4. ფორსმაჟორის ბუნება ქართულ საკანონმდებლო სივრცეში გვ.81
- 5.5. ფორსმაჟორი და იმედგაცრუების დოქტრინა გვ.85

თავი VI. პანდემია სახელშეკრულებო სამართლის კონტექსტში .

- 6.1. COVID-19-ის პანდემიის სამართლებრივი სპეციფიკა გვ.91
- 6.2. ეპიდემიებისა და პანდემიების სამართლებრივი განმარტებაგვ.95
- 6.3. პანდემია და ფორსმაჟორი: პასუხისმგებლობისა და ადაპტაციის მექანიზმებიგვ.99
- 6.4. პანდემიის, როგორც ფორსმაჟორის, რეგულირების საერთაშორისო გამოცდილების თანამედროვე ტენდენციები.....გვ.103

თავი VII. საგანგებო მდგომარეობის შედეგად მიღებული რეგულაციები და მათი სამართლებრივი ეფექტი

- 7.1 კოვიდ_19 _ ის სამართლებრივი მართვა საქართველოში საქართველოს მთავრობის განკარგულება N164 და მისი მნიშვნელობა გვ.111
- 7.2. საგანგებო მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციების სამართლებრივი განსხვავებები გვ.113

თავი VIII. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა

- 8.1. პანდემიის გავლენა კონტრაქტულ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაზეგვ.117
- 8.2 პანდემიის სამართლებრივი რეგულირება ესპანეთშიგვ.121
- 8.3 პანდემიის სამართლებრივი რეგულირება დანიაშიგვ.126
- 8.4 პანდემიის საკითხი საქართველოს სასამართლო პრაქტიკაშიგვ.132

თავი IX. დასკვნა

- 9.1. კვლევის ძირითადი შედეგები და პრაქტიკული რეკომენდაციები გვ.147
- 9.2 ბიბლიოგრაფია გვ.156

თავი I.

1.1 შესავალი

დრო აბსტრაქტული ცნებაა, რომლის აღქმაც დამოკიდებულია ცვლილებებით განპირობებულ ადამიანის შეგრძნებებზე.¹ ეს აღქმა არ უკავშირდება თავად დროის ბუნებრივ მიმდინარეობას, არამედ იმ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენ ირგვლივ ხდება. სწორედ ამ მიზეზით „დრო ილუზიაა!“² ის, რასაც დროს ვუწოდებთ, პირობითი საზომია—ბუნების მუდმივი ციკლური მოძრაობა.³

„ცვლილებები ყოველდღიურ ცხოვრებაში ნებისმიერ მოვლენას შეუძლია გამოიწვიოს, ხშირად, ყველაზე უმნიშვნელო დეტალსაც კი ძალუძს ყოველდღიური რუტინის მთლიანად შეცვლა და სრულიად ახალ, მოულოდნელ ცხოვრებისეულ რელსებზე დაყენება. ის, რაც ადრე წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, დღეს აღარ წარმოადგენს შეუძლებელს,“⁴ ამის ნათელი დადასტურებაა კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება, რომელიც თავდაპირველად ჩინეთის ტერიტორიაზე გამოვლინდა, მალევე იქცა გლობალური მასშტაბის პანდემიად და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და ყოველდღიური ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენად ჩამოყალიბდა. აღნიშნულმა მოვლენამ არსებითად გარდაქმნა სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემების ფუნქციონირება, რითაც მნიშვნელოვნად იმოქმედა როგორც სახელმწიფოების, ისე კერძო სექტორის საქმიანობაზე, განსაკუთრებით სახელმწიფოებო სამართლის სტრუქტურასა და დინამიკაზე.

პანდემიამ წარმოაჩინა ახალი ტიპის სამართლებრივი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ვალდებულებათა სათანადო შესრულების შეუძლებლობასთან, ფორსმაჟორული გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასების აუცილებლობასთან, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს შეზღუდვების,

¹ Augustine (1999) *Confessions*. Translated by E.B. Pusey. ხელმისაწვდომია :

<https://www.gutenberg.org/files/3296/3296-h/3296-h.htm> (წვდომის თარიღი: 29.09. 2024)

² აინშტაინი, ხელმისაწვდომია. <https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/23282/106/search:256:loop:true> წვდომის თარიღი: 04.09.2024

³ Galloway s. 'Post corona, from crisis to opportunity' 2020. pg.9

⁴ ZAQARIA F. TEN LESSONS FOR A POST-PANDEMIC WORLD, PUBLISHED in Penguin Books 2021, pg.3

ეპიდემიოლოგიური წესების ან ეკონომიკური დისბალანსის მიერ შექმნილი დაბრკოლებები ხელშეკრულებითი ვალდებულებების შეუსრულებლობის კუთხით.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა პანდემიის გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, რომელთაც არსებული გარემოებების მკვეთრმა და მოულოდნელმა ცვლილებებმა ახალი მნიშვნელობა შესძინა. უცხოურ და ადგილობრივ პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ მოულოდნელი რეგულაციები, გადაადგილების ან ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა, საწარმოთა დროებითი დახურვა, მიწოდების ჯაჭვების შეფერხება და პარტნიორულ ურთიერთობებში წარმოქმნილი სირთულეები სერიოზულ გამოწვევას უქმნიდა მოქმედ ხელშეკრულებებს. შედეგად, მხარეებს უწევდათ არა მხოლოდ არსებული შეთანხმებათა შინაარსის გადაფასება, არამედ რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მათი შესრულების პირობების გადახედვაც. სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა ფართო დისკუსია იმის შესახებ, თუ რა ფარგლებსა და პირობებში უნდა მოხდეს ხელშეკრულებების მისადაგება (ადაპტაცია) მოდიფიკაცია ისე, რომ ერთდროულად იყოს დაცული როგორც კერძო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები — მათ შორის, ხელშეკრულების თავისუფლება, კეთილსინდისიერება და თანასწორობა — ასევე მხარეთა სამართლიანი და დაბალანსებული ინტერესები.

აღნიშნული გარემოებები გვიჩვენებს, რომ COVID-19-ის პანდემიამ არა მხოლოდ არსებული სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირების პრაქტიკული ასპექტები გამოავლინა, არამედ ნათლად წამოსწია საკითხი: ჰქონდა თუ არა მოქმედ სამართლებრივ მექანიზმებს საკმარისი რესურსი, რომ ადეკვატურად გამოეხატათ ეპიდემიური კრიზისით ნაკარნახევი „განსაკუთრებული“ რეალობა. კერძოდ, შეიცვალა მიდგომა გარემოებების ცვლილების, ფორსმაჟორის, მიუღწევლობისა და ვალდებულებათა შესრულების ეკონომიკური სირთულეების სამართლებრივი შეფასებისკენ; შეიქმნა მოთხოვნა მისადაგების, გადახედვისა ან დროებითი ცვლილებების მიღების უფრო მოქნილი, პროგნოზირებადი და სამართლებრივად გამართული მოდელების ჩამოყალიბებაზე.

შესაბამისად, ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მისადაგების (ადაპტაციის) სამართლებრივი მექანიზმების ანალიზი პანდემიით გამოწვეული გარემოებების კონტექსტში. კვლევა მიზნად ისახავს როგორც დოგმატურ-თეორიული საფუძვლების გამოკვლევას — მათ შორის, ფორსმაჟორის, გარემოებათა არსებითი ცვლილების (hardship), შეუძლებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გამოყენების თავისებურებების განსაზღვრას — ასევე არსებული პრაქტიკის კრიტიკულ ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს, მათ შორის: მხარეთა ინტერესთა დაბალანსების სირთულეებს, ხელშეკრულების შენარჩუნების პრინციპის ოპტიმალურ გამოყენებას, სასამართლო ინტერპრეტაციების ერთიანობის საკითხს და კანონმდებლობის განვითარების საჭიროებებს.

ნაშრომი მიზნად ისახავს იმ შედეგებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო სახელშეკრულებო სამართლის მიზნობრივ განვითარებას, მიმდინარე და მომავალი კრიზისების პირობებში მისი მდგრადობისა და პროგნოზირებადობის გაუმჯობესებას, ასევე მხარეთა სამართლებრივი დაცვის ხარისხის ზრდას.

1.2. კვლევის მიზანი, აქტუალობა და მეთოდოლოგია

ეს კვლევა წარმოადგენს იურიდიულ (სამართლებრივ) კვლევას, რომლის საფუძველიც არის ნორმატიული მიდგომის მეთოდი. მისი მიზანია მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების ანალიზი, არსებული პრობლემური საკითხების გამოვლენა და მათი პრაქტიკული გამოყენების შეფასება. ნორმატიული მიდგომა კვლევას აძლევს საშუალებას გაამახვილოს ყურადღება სამართლებრივი ტექსტების შიდა ლოგიკასა და სტრუქტურაზე. პარალელურად გამოყენებულია აღწერით-ანალიტიკური მეთოდი, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი სისტემის დინამიკურ ანალიზს, მისი ძირითადი პრინციპებისა და ინსტიტუტების ფუნქციურ შეფასებას. ეს მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვალდებულების დარღვევის, ფორსმაჟორისა და შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი საფუძვლების იდენტიფიცირებისთვის.

კვლევაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ისტორიულ მეთოდს, რომლის მეშვეობითაც ხდება ფორსმაჟორისა და ვალდებულებათა შეუსრულებლობის სამართლებრივი საფუძვლების განვითარების ისტორიული პროცესის გაანალიზება — დაწყებული რომაული სამართლიდან, დასრულებული თანამედროვე სამოქალაქო კოდექსების რეგულაციებით.

გამოყენებულია სადოქტრინო მეთოდი, რომელიც ეყრდნობა სამართალმცოდნეთა თეორიულ მიდგომებს, დოქტრინულ განმარტებებსა და სამეცნიერო ნაშრომებს. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს დოქტრინების სამართლებრივი შინაარსი და მათ შორის არსებითი განსხვავებები. კვლევაში ფართოდ არის გამოყენებული შედარებითი სამართლის მეთოდი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები შედარებულია კონტინენტური ევროპის (გერმანიის, საფრანგეთის), ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემებთან. ეს იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს მსგავსებები და განსხვავებები ვალდებულებების შეუსრულებლობისა და შეცვლილი გარემოებების მიმართებაში.

დამატებით გამოყენებულია ქეის-სთადი მეთოდი, რომელიც ეფუძნება ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. კონკრეტული საქმეების განხილვა საშუალებას იძლევა პრაქტიკულ ჭრილში შეფასდეს, როგორ მოქმედებს ფორსმაჟორი და შეცვლილი გარემოებები სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ასევე გამოყენებულია სისტემური ანალიზის მეთოდი, რომელიც იკვლევს ფორსმაჟორის, შესრულების შეუძლებლობის, შეცვლილი გარემოებებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის ურთიერთმიმართებას, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო სამართლებრივ კონტექსტში.

გამოყენებულია სამართლებრივი ლიტერატურა, სამეცნიერო სტატიები და ნაშრომები, რომლებიც შეეხება ვალდებულების დარღვევისა და პასუხისმგებლობის საკითხებს, ფორსმაჟორის სამართლებრივ შეფასებასა და პრაქტიკას. ასევე ანალიზისთვის გამოყენებულია სასამართლო გადაწყვეტილებები, რაც რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით წარმოაჩენს, როგორ ხორციელდება სამართლებრივი ნორმების პრაქტიკული გამოყენება პანდემიის, ფორსმაჟორისა და შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში.

მეთოდების ეს მრავალფეროვანი კომბინაცია კვლევას ანიჭებს კომპლექსურობას და საშუალებას იძლევა სამართლებრივი პრობლემები გაანალიზდეს არა მხოლოდ თეორიული და ნორმატიული, არამედ პრაქტიკული და შედარებითი კრილიდანაც, დეტალურად გაანალიზოს სამართლებრივი სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება ვალდებულების შეუსრულებლობისას, განსაკუთრებით ისეთ ვითარებებში, სადაც სუბიექტები პანდემიით გამოწვეული შეცვლილი გარემოებების გამო დგებიან განსაკუთრებული სამართლებრივი გამოწვევების წინაშე.

კვლევის ძირითადი მიზანი მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში იმ სამართლებრივი მექანიზმებისა და ფაქტორების სისტემურ ანალიზს, რომლებიც, ერთის მხრივ, კრედიტორს უზრუნველყოფენ საკუთარი უფლებებისა და ლეგიტიმური ინტერესების ეფექტიანი დაცვის საშუალებებით, ხოლო, მეორეს მხრივ, იცავენ მოვალეს კაბალური, ან უკიდურესად არასასურველი მდგომარეობისგან.

ნაშრომი მიზნად ისახავს ვალდებულების შეუსრულებლობისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლების ანალიზს, განსაკუთრებით პანდემიით გამოწვეული ფორსმაჟორული არაპროგნოზირებადი გარემოებების პირობებში. კვლევა ასევე მიმართულია იმ სამართლებრივი მექანიზმების დეტალურ შესწავლაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა შორის კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვას, რაც თავის მხრივ ზრდის ხელშეკრულებითი ურთიერთობების მდგრადობასა და სამართლებრივი სისტემის ეფექტიანობას.

აქვე წარმოდგენილია ნაშრომის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს დაინახოს კვლევის ლოგიკური განვითარება.

1.3. ნაშრომის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა

სადოქტორო თემა შედგება ცხრა თავისგან პირველ თავში განხილულია კვლევის მიზნები, აქტუალობა და გამოყენებული მეთოდოლოგია და თემის სტრუქტურა.

მეორე თავი ეძღვნება სახელშეკრულებო ვალდებულებების სამართლებრივ ბუნებას. ამ ნაწილში მიმოხილულია ხელშეკრულების წარმოშობის საფუძვლები და ნების ავტონომიის პრინციპი. ასევე, გაანალიზებულია ვალდებულებების შეუსრულების ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები, „Pacta Sunt Servanda“-სა და კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი საკითხები.

მესამე თავში საუბარია გარემოების ცვლილების დოქტრინაზე, მის თეორიულ საფუძვლებზე, გაუთვალისწინებელი გარემოებების პრინციპზე, ფორსმაჟორის და 398-ე მუხლის დეფინიციებზე, მათ სამართლებრივ ბუნებაზე და ურთიერთკავშირზე. მოცემულია გარემოების ცვლილების შედეგები და მისი ნორმატიული ანალიზი. ამავე თავში განხილულია ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობისა და ფორსმაჟორის დეფინიცია, ელემენტები და კრიტერიუმები, ასევე ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის საფუძვლები, შედარებულია ფორსმაჟორისა და იმედგაცრუების დოქტრინები.

მეოთხე თავში მოცემულია გარემოების ცვლილების ინსტიტუტი ქართულ სამოქალაქო სამართალში, 398-ე მუხლის სამართლებრივ არსი, გამოყენების საფუძვლები და პრაქტიკული მნიშვნელობა. 398-ე მუხლის კონტინენტურ მოდელთან შედარება, შესრულების შეუძლებლობისა და გარემოების ცვლილების განხილვა, ასევე განხილულია ხელშეკრულების ადაპტაციისა და შეწყვეტის შედეგები, მუხლის ამოქმედების წინაპირობები და კრიტერიუმები, მხარეთა კეთილსინდისიერება და სასამართლოს როლი, მუხლის გამოყენება გლობალური კრიზისების დროს, 398-ე მუხლის კავშირი სხვა სახელშეკრულებო ნორმებთან (399-ე, 407-ე მუხლები, ფორსმაჟორი), ასევე არსებული შეზღუდვები და გამოწვევები. მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ იცავს 398-ე მუხლი მხარეების ინტერესებს მოულოდნელი და არსებითი გარემოების ცვლილების პირობებში.

მეხუთე თავი ეძღვნება ფორსმაჟორის ინსტიტუტის სიღრმისეულ ანალიზს და მის ურთიერთობას გარემოების ცვლილების დოქტრინასთან. თავი მიზნად ისახავს ფორსმაჟორის ცნების, მისი ისტორიული განვითარების და

პრაქტიკაში გამოყენების სფეროების განხილვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფორსმაჟორისა და სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ურთიერთდაკავშირებას, სახელშეკრულებო ვალდებულებების ადაპტაციის სამართლებრივ მხარეს, ფორსმაჟორული დათქმების როლსა და რისკების მართვის მექანიზმებს. ამასთან, მოყვანილია ფორსმაჟორის როგორც კლასიკური, ისე კომპლექსური და სადავო შემთხვევები, რომლებსაც პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბოლოს, განიხილება სპეციალური კანონმდებლობის თავისებურებები და კონკრეტულ სექტორებში ფორსმაჟორის გამოყენების სპეციფიკა. ფორსმაჟორის ინსტიტუტის რთული და მრავალმხრივი ბუნების სრულფასოვან წარმოჩენას, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გაანალიზებას კერძო სამართლის თანამედროვე კონტექსტში.

მეექვსე თავი ეძღვნება პანდემიის სახელშეკრულებო სამართლის კონტექსტში ანალიზს და მის გავლენას კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებზე. განიხილავს ეპიდემიური და პანდემიური მოვლენების სამართლებრივი განსაზღვრებას, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე სამართლებრივი ხედვების საფუძველზე. აქვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა COVID-19-ის პანდემიის სპეციფიკის ანალიზს და მის ზეგავლენას ფორსმაჟორის სამართლებრივ კონტურებზე. დეტალურადაა განხილული სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისა და ადაპტაციის პრაქტიკული მექანიზმები, რომლებიც პანდემიის პირობებში აქტიურად გამოიყენება, შესაბამის თავში ასევე მოცემულია როგორც ქართული, ისე შედარებითი სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ინდივიდუალური მაგალითების საფუძველზე.

მეშვიდე თავი მიმოიხილავს საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში მიღებულ რეგულაციებს და მათ სამართლებრივ ეფექტს, რაც პანდემიის პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდა. თავში დეტალურადაა განხილული COVID-19-ის სამართლებრივი მართვის პრაქტიკა საქართველოში, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მთავრობის განკარგულება N164-ს და მის მნიშვნელობას საგანგებო მდგომარეობის რეგულირებისას.

ასევე, გაანალიზებულია საგანგებო მდგომარეობისა და საგანგებო

სიტუაციების სამართლებრივი განსხვავებები, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კრიზისულ ვითარებაში სწორი სამართლებრივი მიდგომების დასაზუსტებლად. თავი მიზნად ისახავს საგანგებო მდგომარეობით გამოწვეული რეგულაციებისა და მათი სამართლებრივი ეფექტების კომპლექსურ ანალიზს, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებასა და გაუმჯობესებას.

მერვე თავი ეძღვნება საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზს პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით კონტრაქტულ ურთიერთობებში წარმოშობილი ახალი სამართლებრივი საკითხების ჭრილში. COVID-19-ის პანდემიამ განსაკუთრებით გამოკვეთა ფორსმაჟორის ინსტიტუტის მნიშვნელობა საერთაშორისო და ადგილობრივ დავებში, რასაც მოჰყვა პრაქტიკის მრავალფეროვანი განვითარება როგორც უცხოურ, ისე ქართულ სამართლებრივ სივრცეში. თავში დეტალურადაა განხილული პანდემიის გავლენა კონტრაქტულ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაზე, მათ შორის ყურადღება ექცევა ფორსმაჟორული პუნქტების სტრატეგიულ ფორმულირებას და გამოყენების ტენდენციებს. მოცემულია პანდემიის საკითხის ანალიზი საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, ინდივიდუალური საქმეების და ტენდენციების საფუძველზე.

დასკვნით მეცხრე თავში წარმოდგენილია თანამედროვე გამოწვევები და ტენდენციები, შემოთავაზებულია რეკომენდაციები სახელშეკრულებო ურთიერთობებში პანდემიური რისკების სამართლებრივი მართვისათვის. გაანალიზებულია კვლევის ძირითადი შედეგები და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც სამართლებრივი თეორიის, ისე პრაქტიკის დახვეწას პანდემიური რისკების მართვის მიმართულებით, აქვე შემოთავაზებულია სახელშეკრულებო სამართლის განვითარების პერსპექტივები, ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის გზები და პანდემიისა და ფორსმაჟორის სამართლებრივი ბუნების უფრო მკაფიოდ ასახვის აუცილებლობა.

ნაშრომი სრულდება ბიბლიოგრაფიით, სადაც თავმოყრილია გამოყენებული კანონმდებლობა, სამეცნიერო ლიტერატურა, სტატიები, სასამართლო პრაქტიკა და შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები.

თავი II. სახელშეკრულებო ვალდებულებების სამართლებრივი ბუნება

2.1. ხელშეკრულების წარმოშობა და ნების ავტონომია

ვალდებულებითი სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობებში არეგულირებს პირთა შორის წარმოშობილ ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც არსებობდა და იარსებებს ნებისმიერ სოციუმში.⁵ სამართლებრივ განვითარებასთან ერთად, მისი ფორმები იცვლებოდა, თუმცა ფუნდამენტალური იდეა - ინდივიდთა განსხვავებული ინტერესების ბალანსი და მათი უზრუნველყოფა ყოველთვის თან გასდევდა მას.⁶

ადამიანთა თანაცხოვრება წარმოუდგენელია ყოველდღიური სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშე,⁷ იგი ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია. სახელშეკრულებო სამართალი სოციალური და მატერიალური სიკეთის გადანაწილების უპირატეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.⁸ სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის საფუძველიც არის სუბიექტების უფლებებისა და ვალდებულებების გაცვლის პროცესი, სადაც ერთი მხარე (მოვალე) იღებს ვალდებულებას კონკრეტული ქმედების განხორციელების, ან შესაბამისი მოქმედებისგან თავის შეკავებაზე, ხოლო მეორე მხარე (კრედიტორი) ფლობს აღნიშნული წესის სავალდებულო მოთხოვნის, განხორციელების, ან მისი შეწყვეტის უფლებას.⁹ ვალდებულება მოიცავს მთლიანად სუბიექტების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, სადაც ყოველი მხარე ფლობს უფლებებსა და მოვალეობებს. ამგვარად, ვალდებულების შემადგენლობაში იგულისხმება მისი

⁵ ბოჭორიშვილი ბ., „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 95

⁶ ძლიერიშვილი ზ. და სხვები, *სახელშეკრულებო სამართალი* (თბილისი: მერიდიანი, 2014), 17.

⁷ თეა ჯუღელი, „არასახელშეკრულებო ვალდებულებები“, *Law and the World №6* (მაისი, 2017), 177.

⁸ ძლიერიშვილი ზ. და სხვები, *სახელშეკრულებო სამართალი* (თბილისი: მერიდიანი, 2014), 50.

⁹ ბოჭორიშვილი ბ., „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 97-98.

ელემენტების ერთობლიობა, როგორცაა: სუბიექტები, იურიდიული ფაქტი (შეთანხმება, ან სხვა საფუძველი), შინაარსი (მოვალეობები და უფლებები), ასევე, ობიექტი (რასთან დაკავშირებითაც იკვეთება მოთხოვნა).¹⁰ ამ საერთო კონტექსტში, მათში სათავეს იღებს როგორც თავისუფალი ნების გამოვლინების, ისე კანონმდებლობით წინასწარ განსაზღვრული ვალდებულებების არსებობა. შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობისა და ვალდებულების წარმოშობა შეიძლება იყოს როგორც მხარეთა თავისუფალი შეთანხმების შედეგი, ასევე გამომდინარეობდეს კანონმდებლობით, ან სხვა სამართლებრივი საფუძველებით, მათ შორის, დელიქტით (ზიანი, უსაფუძვლო გამდიდრება და სხვა).¹¹

ვალდებულების წარმოშობის,ერთერთი მნიშვნელოვან, ფართოდ გავრცელებულ საფუძველს, ხელშეკრულება წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად, თუ მხარეები შეთანხმდებიან მის არსებით პირობებზე კანონით დადგენილი წესის დაცვით.¹² ჩვეულებრივ, ასეთი შეთანხმება მიიღწევა ერთ მხარის მიერ ხელშეკრულების დადების წინადადების (ოფერტის) გაკეთებით¹³ და მეორე მხარის მიერ მისი მიღებით (აქცეპტი). შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულება გულისხმობს მხარეთა ნამდვილ და ურთიერთმფარავ ნების გამოვლინებას, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით საფუძველს.¹⁴ მხარეები თანაბარი უფლებებითა და ვალდებულებებით იღებენ მონაწილეობას ხელშეკრულების დადებასა და შესრულებაში,რაც კერძო სამართლის საფუძველად აღიარებული ნების ავტონომიის პრინციპის რეალიზაციას წარმოადგენს.¹⁵

¹⁰ იქვე გვ. 99-100.

¹¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 307; ბოჭორიშვილი ბ. „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 101-102.

¹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 328. წვდომის თარიღი: 15.05.2024, ხელმისაწვდომია:<https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=135>

¹³ ახვლედიანი ზ., *ვალდებულებითი სამართალი*, მეორე გამოცემა (თბილისი: სამართალი, 1999), გვ.14.

¹⁴ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 317; <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=135> , ბ. ბოჭორიშვილი, „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 112

¹⁵ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8, მუხლი 317; <https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=135>, ბ. ბოჭორიშვილი, „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 112-113)

ნების ავტონომია კერძო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური, დაუწერელი პრინციპია.¹⁶ იგი უშუალოდ გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში¹⁷ გათვალისწინებული პიროვნების თავისუფლებიდან, რომლის მიხედვითაც სუბიექტს აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი ინტერესები და მათი განხორციელების ფორმები. კერძო სამართალში ეს კონსტიტუციური გარანტია ვლინდება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში: მხარეებს გააჩნიათ უფლება, საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით დააფუძნონ ხელშეკრულება,¹⁸ განსაზღვრონ მისი შინაარსი, აირჩიონ პარტნიორი მეორე მხარე და განსაზღვრონ ხელშეკრულების შესაბამისი ფორმა.

ნების ავტონომია არ შეიძლება განიმარტოს როგორც ვალდებულებებისგან სრული თავისუფლება.¹⁹ პირიქით, ის გულისხმობს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად და სათანადოდ შესრულების აუცილებლობას. ამდენად, ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეებს ეკისრებათ მოვალეობა გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები და უზრუნველყონ დაიცვან სამართლიანი ბალანსი.²⁰

სამოქალაქო სამართალი არსებითად ეფუძნება მხარეთა თანასწორობისა და დამოუკიდებლობის აღიარებას.²¹ ნების ავტონომიაც სწორედ ამ იურიდიული თანასწორობის გამოხატულებაა. იგი გულისხმობს, რომ კანონმდებლობა თანაბარ პირობებში აყენებს სახელშეკრულებო ურთიერთობის ორივე მხარეს — მიუხედავად მათი სოციალური თუ ეკონომიკური ძალის

¹⁶ ხუბუა გ., *სამართლის თეორია* (თბილისი: მერიდიანი, 2015), გვ. 209.

¹⁷ *საქართველოს კონსტიტუცია*, მე-16 მუხლი. საქართველოს პარლამენტი, №786-რს 24/08/1995 წლის

¹⁸ თოდუა მ. და ვილემსი ჰ., *ვალდებულებითი სამართალი* (თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006), 15.

¹⁹ ბოჭორიშვილი ზ., „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 119

²⁰ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8, მუხლი 361; ზ. ბოჭორიშვილი, „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 119-120)

²¹ თუმანიშვილი გ., *შესავალი საქართველოს კერძო სამართალში* (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012), გვ.12.

უთანასწორობისა. შედეგად, მხარეები თანაბრად მონაწილეობენ ხელშეკრულების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის პროცესებში.²²

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებისას ხელშეკრულების წარმოშობა წარმოადგენს პირველ და უმნიშვნელოვანეს ეტაპს.²³ რამდენადაც კანონმდებლობა მხარეებს ანიჭებს უფლებას განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, ფორმა და პარტნიორი²⁴, იმდენადვე ავალდებულებს მათ უზრუნველყონ წარმოშობილი ვალდებულებების სათანადო შესრულება, აღნიშნულ პრინციპს ასახავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც მკაფიოდ მიუთითებს, რომ ვალდებულება უნდა იქნეს შესრულებული ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.²⁵

სახელშეკრულებლო თავისუფლება წარმოადგენს კერძო ავტონომიის სახეობას და მოიცავს სამ ელემენტს: ხელშეკრულების დადების თავისუფლებას (დაიდოს თუ არა ხელშეკრულება და ვისთან დაიდოს), კომპოზიციურ თავისუფლებას (რა შინაარსის უნდა იყოს ხელშეკრულება) და ფორმის თავისუფლებას (იძულების არარსებობა, ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრა, წერილობით დაიდოს, თუ სხვა ფორმით)²⁶ რა თქმა უნდა, კერძო ავტონომია და სახელშეკრულებლო თავისუფლება ვერ იქნება შეუზღუდავი, კანონისმიერი შეზღუდვა აუცილებელია, ვინაიდან კერძო სამართლებრივი ურთიერთობები სუბიექტებისათვის ვერ იქნება შეუზღუდავად მინიჭებული.²⁷ სახელშეკრულებლო თავისუფლება მხოლოდ მაშინ იქნება

²² იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 317; ბ. ბოჭორიშვილი, „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 115-116.

²³ ბოჭორიშვილი ბ., „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 110

²⁴ გ. ვაშაკიძე და სხვები, *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი*, (თბილისი: 2019), 55.

²⁵ საქართველოს პარლამენტი, *საქართველოს კანონი №786: 26/06/1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*, 261-ე მუხლი (თბილისი: საპარლამენტო უწყებანი, 31, 24/07/1997). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=133> წვდომის თარიღი: 08.06.2025.

²⁶ ბერნდ რიუთერსი* (Dr. Bernd Ruthers) „სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი“ (Allgemeiner Teik des BGB მე_19 გადამუშავებული გამოცემა, გვ. 47, 2017წ.

²⁷ ბოჭორიშვილი ბ., „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 121

უზრუნველყოფილი, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ბაზრის მონაწილეთა შორის ძალთა ბალანსი იქნება შენარჩუნებული.²⁸

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს კერძო ავტონომიის თავისუფლება (ხელშეკრულების დადების, შინაარსისა და ფორმის არჩევის საშუალება) სრულდება საკანონმდებლო ნორმებით, რომელიც თავიდან გვაცილებს ძალთა უთანასწორობას.²⁹ მაგალითად, ფორსმაჟორის კონტექსტში, ფორმის თავისუფლება შეიძლება მოიცავდეს იმას, თუ როგორ უნდა იყოს აღიარებული კონტრაქტში ფორსმაჟორული გარემოებები, ხოლო შინაარსი იმის შესაბამისობაში იყოს, რა პირობებით შეძლებენ მხარეები ისარგებლონ ამ პრინციპით.

ხელშეკრულების თავისუფლება ვრცელდება არა მხოლოდ მის დადებაზე, არამედ მისი მოდიფიკაციისა და შეცვლის შესაძლებლობაზეც.³⁰ აღნიშნული პროცესი, ხელშეკრულების ცვლილება, ისევე როგორც მისი დადება, უნდა განხორციელდეს მხარეთა თანასწორობის, ინტერესთა დაბალანსებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები ხაზს უსვამს, რომ ხელშეკრულებით დადგენილი ურთიერთობები ეფუძნება სწორედ ამ პრინციპებს, რაც მოითხოვს, რომ ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენდეს არა ერთპიროვნული ზეწოლის, ან ეკონომიკური დაქვემდებარების შედეგს, არამედ სამართლებრივად ლეგიტიმურ და სამართლიან შეთანხმებას.

2.2. „Pacta Sunt Servanda“ და კეთილსინდისიერების პრინციპები

სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს „Pacta Sunt Servanda“ (ლათ. – „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“)³¹. იგი არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ მორალურ საფუძველსაც

²⁸ ბერნდ რიუთერსი*(Dr. Bernd Ruthers)“სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი*(Allgemeiner Teik des BGB მე_19 გადამუშავებული გამოცემა,გვ. 47ჯ, 2017წ.

²⁹ ბოჭორიშვილი ბ., „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 122

³⁰ იქვე, გვ. 123

³¹ (ლათ. – „ხელშეკრულებები უნდა შესრულდეს“) წარმოადგენს კერძო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც დაფიქსირებულია როგორც ეროვნული სამართლებრივი სისტემების

აყალიბებს, ვინაიდან მხარეებს აკისრებს მათივე ნებით აღებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას. პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელშეკრულება ქმნის მყარი ნდობის საფუძველს მხარეთა შორის – ინდივიდებს, ჯგუფებს, თუ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში.³²

ხელშეკრულების პატივისცემა და პირობების შესრულება უზრუნველყოფს ურთიერთობების სტაბილურობას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემის სანდო ფუნქციონირებას. საერთაშორისო დონეზე „Pacta Sunt Servanda“ განიხილება როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობების საყრდენი. მისი დაცვის ხელშეკრულებები ვერ შეძლებდნენ მბოჭავი ძალის შენარჩუნებას, ხოლო მხარეთა შორის ნდობა მნიშვნელოვნად შეირყოდა.³³

საქართველოს სამოქალაქო სამართალი, განსაკუთრებით ვალდებულებითი სამართალი, მნიშვნელოვნად ეფუძნება აღნიშნულ პრინციპს, რომლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი აღიარებს „Pacta Sunt Servanda“-ს მოქმედებას: მხარე, რომელმაც საკუთარი ნებით იკისრა ვალდებულება, ვალდებულია უზრუნველყოს მისი შესრულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების განსაზღვრის თავისუფლების ფარგლებში სავალდებულო ხასიათის უნივერსალურ სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა. კეთილსინდისიერების პრინციპი სამართალში განიხილება როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობების სამართლიან და დაბალანსებულ განვითარებას. იგი არა მხოლოდ ფორმალური ნორმაა, არამედ მოქმედებს როგორც სამართლებრივი სისტემის მოქნილობისა და სამართლიანობის გარანტი, რაც აღიარებულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში.³⁴

უმრავლესობაში, ისე საერთაშორისო სამართალში (მაგ., 1969 წლის ვენის კონვენცია ხელშეკრულებების სამართლის შესახებ, მუხლი 26). <https://www.britannica.com/topic/pacta-sunt-servanda> „Pacta Sunt Servanda“

³² ბოჭორიშვილი ბ., „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 124-125

³³ იხ. ვენა, 1969 წლის ხელშეკრულებების სამართლის შესახებ კონვენცია, მუხლი 26;

ბოჭორიშვილი ბ., „სამოქალაქო სამართალი“, თბილისი, 2018, გვ. 126

³⁴ ჯაფარიძე, მ. „სამართლის ზოგადი პრინციპები“, თბილისი, 2018, გვ. 112-115; ასევე: UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, 2016, Article 1.7

გერმანული სამოქალაქო სამართალი (BGB) გვთავაზობს უნიკალურ სისტემას, რომელიც ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს. ერთ-ერთი ასეთი პრინციპი არის კეთილსინდისიერება³⁵ რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ქცევას სამართლებრივ ურთიერთობებში და ამართლებს ცვლილებებს ვალდებულებების შესრულების პირობებში. ეს პრინციპი მტკიცედ არის განმტკიცებული BGB-ის §242 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს, რომ ვალდებულებები უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერებისა და ნდობის საფუძველზე.

კეთილსინდისიერების პრინციპის ისტორიული ფესვები ანტიკურ სამართალში იღებს სათავეს, თუმცა მისი თანამედროვე განვითარება XIX საუკუნის გერმანულ სამართლებრივ დოქტრინებში განხორციელდა. „გარიგების საფუძვლის მოშლის“ (Geschäftsgrundlage) დოქტრინა, რომელიც ფრეიდრიხ ორთმანის თეორიებშია ჩამოყალიბებული, ნათლად აჩვენებს კეთილსინდისიერების პრინციპის არსს. ფრეიდრიხ ორთმანის „გარიგების საფუძვლის მოშლის“ დოქტრინა (Geschäftsgrundlage) წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოქტრინას გერმანულ სამოქალაქო სამართალში, რომელიც ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს და გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც გარიგების საფუძვლად არსებული პირობები არსებითად იცვლება.

დოქტრინა პირველად ფრეიდრიხ ორთმანმა წარმოადგინა XIX საუკუნეში, როგორც საშუალება, რათა სამართლებრივი ურთიერთობები ადაპტირებულიყო გაუთვალისწინებელი ან ფორსმაჟორული მოვლენების მიმართ. მისი თეორია ამტკიცებს, რომ ხელშეკრულების დადების დროს მხარეებს შორის არსებული გარემოებები განსაზღვრავს მათ მოლოდინებსა და ვალდებულებებს. თუ ეს გარემოებები მნიშვნელოვნად იცვლება და შეთანხმების შესრულება ერთ-ერთ მხარესთვის აღარ არის შესაძლებელი ან არაგონივრულად რთულდება, მაშინ შესაძლოა, საჭირო გახდეს ვალდებულებების გადახედვა ან კონტრაქტის შეწყვეტა.

კეთილსინდისიერების პრინციპი არა მხოლოდ სამართლებრივი მექანიზმია, არამედ ის წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის მოქნილობისა და

³⁵ Prinzip von Treu und Glauben

სამართლიანობის გარანტს. პანდემიის პერიოდში აღნიშნულმა პრინციპმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რადგან მან ხელი შეუწყო სამართლებრივი პრაქტიკის ადაპტაციას ახალი რეალობის მიმართ.

აღნიშნული პრინციპი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხელშეკრულებების შესრულებისას იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეთა ვალდებულებების შესრულება გართულდა, ან შეუძლებელი გახდა.³⁶ კეთილსინდისიერების პრინციპმა შესაძლებელი გახადა ახალი სამართლებრივი მიდგომების განვითარება და არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქნილი რეგულაციების დანერგვა.³⁷ კეთილსინდისიერება წარმოადგენს პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ქცევას სამართლებრივ ურთიერთობებში და ამართლებს ცვლილებებს ვალდებულებების შესრულების პირობებში.³⁸ ეს პრინციპი მკაფიოდ არის განმტკიცებული BGB-ის §242 მუხლში, რომელიც აწესებს, რომ ვალდებულებები უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერებისა და ნდობის საფუძველზე.³⁹

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა კეთილსინდისიერების პრინციპის პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან კრიზისულმა სიტუაციებმა უკიდურესი გავლენა მოახდინა ხელშეკრულებების შესრულებაზე, კომპანიებისა და ფიზიკური პირების შესაძლებლობებზე, შეესრულებინათ ვალდებულებები.

სახელშეკრულებლო ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაბალანსების უზრუნველსაყოფად კეთილსინდისიერების პრინციპს

³⁶ ქავთარაძე, ნ. „ფორს-მაჟორი და კეთილსინდისიერების პრინციპი ხელშეკრულებით ურთიერთობებში“, სამართლის ჟურნალი, №3, 2021, გვ. 77-80; ასევე: UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, 2016, Article 7.1.7

³⁷ ჯაფარიძე, მ. „სამართლის ზოგადი პრინციპები“, თბილისი, 2018, გვ. 120-123;

³⁸ ქავთარაძე, ნ. „კეთილსინდისიერების პრინციპის როლი ხელშეკრულებით ურთიერთობებში“, სამართლის მიმოხილვა, №1, 2020, გვ. 34-37

³⁹ Bürgerliches Gesetzbuch (BGB), §242 – „Der Schuldner ist verpflichtet, die Leistung so zu bewirken, wie Treu und Glauben mit Rücksicht auf die Verkehrssitte es erfordern.“ (მოვალე ვალდებულია ვალდებულების შესრულება ისე განახორციელოს, როგორც ამას კეთილსინდისიერება და ნდობა მოითხოვს, კომერციული პრაქტიკის გათვალისწინებით). (იხ. BGB, §242; Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 79. Auflage, 2020, §242, Rn. 1-3). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 8 – „პირები სამოქალაქო სამართლის ურთიერთობებში უფლებებსა და ვალდებულებებს ახორციელებენ კეთილსინდისიერად.“

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. „კეთილსინდისიერების პრინციპს მრავალ სამართლებრივ წესრიგში ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება რომ იგი სავალდებულო ნორმატიული წინაპირობის სახეს იძენს.“⁴⁰

ქართულ სამართალშიც კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს მნიშვნელოვანი როლი, თუმცა მისი განხორციელების ფორმები და პრაქტიკა განსხვავდება გერმანული მოდელისგან. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპები, რომლებიც მოიცავს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის იდეებს, უზრუნველყოფს მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსებას.⁴¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლი პირდაპირ მიუთითებს კეთილსინდისიერების აუცილებლობაზე. იგი გამოიყენება, როდესაც მხარეებს შორის არსებული შეთანხმება საჭიროებს ადაპტაციას შეცვლილი გარემოებების პირობებში. მაგალითისთვის, პანდემიის დროს ქართული სასამართლოები ეყრდნობოდნენ კეთილსინდისიერების პრინციპს, რათა შეემსუბუქებინათ ვალდებულებების შესრულების ტვირთი იმ მხარეებისთვის, რომლებიც ობიექტურად ვერ ასრულებდნენ კონტრაქტულ პირობებს და ამ ვითარებაში დგებოდა საჭიროება ხელშეკრულების სტაბილურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაბალანსებისა.

ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოების დისკრეციას კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებაში.⁴² სასამართლოს მიერ შეფასება ხდება კეთილსინდისიერების და უფლების ბოროტად გამოყენების პრინციპის გათვალისწინებით, რაც მხარეებს ურთულებს მხოლოდ ეკონომიკური სირთულეების მოტივით ხელშეკრულების შეცვლის მოთხოვნას, სასამართლო, პრაქტიკიდან გამომდინარე, როგორც წესი, სკეპტიკურად უყურებს მხარეთა მოთხოვნებს ხელშეკრულების შეცვლაზე, თუ არ არსებობს მყარი სამართლებრივი

⁴⁰ნ.ხუნაშვილი“სადისერტაციო ნაშრომი:კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებლო სამაფრთაში.2014წ. https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/nino_xunashvili.pdf

⁴¹ ბოჭორიშვილი, დ. „კეთილსინდისიერების პრინციპი ქართულ სამოქალაქო სამართალში“, სამართლის მიმოხილვა, №4, 2019, გვ. 52-55

⁴² ლომიძე, მ. „კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში“, სამართლის ჟურნალი, №2, 2022, გვ. 61-64

საფუძვლები.⁴³ ამრიგად, მხარეებმა, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განიხილონ რისკები ხელშეკრულების გაფორმების დროს და მკაფიოდ განსაზღვრონ, როგორ იმოქმედებს შესაძლო ცვლილებები მათ ვალდებულებებზე.⁴⁴

გერმანულ სამართალში დოქტრინალური დადგენილებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის განვითარებასა და პრაქტიკაში, მაშინ როდესაც ქართულ სამართალში უფრო მეტი ყურადღება ექცევა კონკრეტული საქმეების პრაქტიკულ გადაწყვეტებს და სასამართლო პრაქტიკას, ვიდრე თეორიულ დებულებებს.⁴⁵

ამასთან, გერმანული და ქართული მოდელები აჩვენებენ მსგავსებას, რადგან ორივე სისტემა ყურადღებას ამახვილებს სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფასა და მხარეთა შორის ბალანსის დაცვაზე. მაგალითად პანდემიის პერიოდში ქართული სასამართლოები აქტიურად იყენებდნენ კეთილსინდისიერების პრინციპს ვალდებულებების გადახედვის ან შეწყვეტის საკითხებში.⁴⁶ მაგალითად ეკონომიკური შეზღუდვების გამო ბევრმა დამქირავებელმა მოითხოვა ქირის შემცირება, ან გადავადება.

სასამართლოები ასეთ შემთხვევებში ეყრდნობოდნენ კეთილსინდისიერების პრინციპს და ხშირად მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას უწყობდნენ ხელს. მაგ: შრომითი ურთიერთობებში COVID-19-ის კრიზისმა გამოიწვია შრომითი ურთიერთობების გადახედვა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც სამუშაო პირობები შეუძლებელი გახდა.⁴⁷

⁴³ ბოჭორიშვილი, დ. „ხელშეკრულების შეცვლის საფუძვლები და კეთილსინდისიერების პრინციპი“, სამართლის მიმოხილვა, №1, 2021, გვ. 88-91; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-123-123-2020

⁴⁴ ქავთარაძე, ნ. „ხელშეკრულების რისკების მართვა და კეთილსინდისიერების პრინციპი“, სამართლის ჟურნალი, №3, 2022, გვ. 102-105

⁴⁵ ლომიძე, მ. „დოქტრინის როლი ქართულ და გერმანულ სამოქალაქო სამართალში“, სამართლის მიმოხილვა, №2, 2021, გვ. 73-76

⁴⁶ შავგულიძე, ლ. „კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება პანდემიის პირობებში“, სამართლის მიმოხილვა, №3, 2021, გვ. 59-62; თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2ბ/1234-21

⁴⁷ გელაშვილი, თ. „კეთილსინდისიერების პრინციპის როლი შრომით ურთიერთობებში პანდემიის დროს“, შრომის სამართლის მიმოხილვა, №1, 2022, გვ. 41-44; თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/ბ-3456-20

კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენებოდა თანამშრომლებისა და დამსაქმებლების ინტერესების დაბალანსებისათვის.⁴⁸ საკრედიტო ვალდებულებების კუთხით, ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, პანდემიის გავლენით, ხშირად აძლევდნენ მომხმარებელს სესხის გადავადების, ან რესტრუქტურიზაციის საშუალებას, რაც ასევე ეფუძნებოდა კეთილსინდისიერების პრინციპს.⁴⁹

ასე რომ, კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს კერძო სამართლის ერთ-ერთ ძირითად და ფუნდამენტურ ქვაკუთხედს, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ქცევის სტანდარტს სამართლებრივ ურთიერთობებში. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ თითოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს პატიოსნად, სამართლიანად და გონივრულად როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე მისი შესრულების პროცესში. კეთილსინდისიერების მოთხოვნა უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების დაბალანსებას, ხელს უშლის ბოროტად გამოყენებასა და უსამართლო უპირატესობის მოპოვებას.

თანამედროვე სამართლებრივ პრაქტიკაში კეთილსინდისიერების პრინციპი მუდმივად ვითარდება და ადაპტირდება ახალი სოციალური, ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური გამოწვევების პირობებში. იგი აღიარებულია სასამართლოების მიერ როგორც ზოგადი სახელმძღვანელო კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც ფასდება მხარეთა ქცევა და განისაზღვრება მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობა. სწორედ ამ პრინციპის წყალობით ხდება სამართლებრივი ურთიერთობების გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ნდობის შენარჩუნება, რაც თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია.

პანდემიურმა კრიზისმა წარმოაჩინა ამ პრინციპის როლი, როგორც სამართლებრივი ბალანსის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმი. სამართლებრივი დოქტრინების, განსაკუთრებით „გარიგების საფუძვლის მოშლის“

⁴⁸ გელაშვილი, თ. „კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა შრომით ურთიერთობებში“, შრომის სამართლის მიმოხილვა, №2, 2021, გვ. 28-31

⁴⁹ <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/72144/1>

და „გაუთვალისწინებელი გარემოებების“ კონტექსტში, კეთილსინდისიერება განიხილება როგორც ინსტრუმენტი, რომელიც მხარეთა ვალდებულებებს შეცვლილი გარემოებების პირობებში ადეკვატურად აგვარებს. ამგვარად, კეთილსინდისიერების პრინციპი კვლავაც რჩება როგორც სამართლებრივი სტაბილურობის, ისე სოციალური სამართლიანობის დაცვის მძლავრ მექანიზმად.

COVID-19-ის პანდემიამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა კეთილსინდისიერების პრინციპის დინამიურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, რომელიც სამართლებრივ სისტემებს საშუალებას აძლევს, რეაგირება მოახდინონ უკიდურეს გარემოებებზე.⁵⁰

2.3. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის არსი

ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი არის ვალდებულების დარღვევა, რომელიც გულისხმობს ისეთ ქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით, ან კანონით დადგენილ პირობებს.⁵¹ მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოვალე ვერ ახერხებს კრედიტორისადმი დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შესრულებას. სწორედ დარღვევის ფაქტი იწვევს მხარეთა შორის დავების წარმოშობას და განაპირობებს სამოქალაქო სამართლის დაცვის მექანიზმების ამოქმედებას.

ვალდებულების დარღვევას სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს, იგი მოიცავს როგორც არაჯეროვან შესრულებას — მაგალითად, ვადაგადაცილებას, ან არასათანადო ხარისხით შესრულებას — ისე ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას.⁵² შესაბამისად, დარღვევის ცნება უფრო ფართო კატეგორიაა, მის არსშიც განისაზღვრება კონკრეტული ფორმები.

⁵⁰ შავგულიძე, ლ. „კეთილსინდისიერების პრინციპი და მისი მნიშვნელობა საგანგებო მდგომარეობაში“, სამართლის მიმოხილვა, №2, 2021, გვ. 45-48; ასევე: European Law Institute, “ELI Principles for the COVID-19 Crisis”, 2020, Principle 1

⁵¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 307 – ვალდებულება წარმოიშობა, როდესაც პირი იკისრებს ვალდებულებას სხვა პირის მიმართ. ასევე იხ. UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2016), Article 7.1.1 – „Non-performance“ განსაზღვრავს ვალდებულების დარღვევის ცნებას.

⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 309 – მოვალე ვალდებულია შეასრულოს ვალდებულება სათანადოდ, კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. შედარებისთვის იხ. Principles of European Contract Law (PECL), Article 8:101 – Performance of Contracts.

ხელშეკრულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთ ფორმას, როდესაც მხარე საერთოდ ვერ ასრულებს შეთანხმებით დაკისრებულ ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულება არ სრულდება არც ნაწილობრივ და არც სრულად, რაც იწვევს მეორე მხარისთვის ზიანის ან უფლებების შეზღუდვის საფრთხეს.

ხელშეკრულების შეუსრულებლობა შეიძლება იყოს გამოწვეული როგორც ნებაყოფლობითი მოქმედებით, როდესაც მხარე შეგნებულად უარს აცხადებს ვალდებულების შესრულებაზე, ასევე ობიექტური გარემოებებით, როდესაც ვალდებულების შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელია მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ამგვარი დარღვევა, როგორც წესი, აღიარებულია სამართლებრივად მძიმე შემთხვევად, რადგან იგი ართულებს მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას და ქმნის საფუძველს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის — მათ შორის, ზიანის ანაზღაურების, ხელშეკრულების შეწყვეტის, ან სხვა სანქციების დაკისრებისათვის.

შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევა საჭიროებს დეტალურ სამართლებრივ ანალიზს, რათა დადგინდეს დარღვევის მიზეზი, მხარეთა ბრალეულობა და შესაბამისი პასუხისმგებლობა.⁵³ განსხვავებით არაჯეროვანი შესრულებისგან, რომელიც დაზარალებულ მხარეს გარკვეულწილად მაინც უტოვებს ინტერესის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, შეუსრულებლობა სრულად გამორიცხავს მსგავს შედეგს.

პრაქტიკაში ხელშეკრულების შეუსრულებლობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით: მაგალითად, როდესაც მოვალე საერთოდ არ აწვდის შეთანხმებულ საქონელს, უარს ამბობს მომსახურების გაწევაზე, ან როდესაც

⁵³ საერთაშორისო დონეზე ანალოგიურად, ვენის კონვენცია (CISG), მუხლი 25 განსაზღვრავს „ფუნდამენტური დარღვევის“ ცნებას, რომელიც ახლოს დგას ხელშეკრულების შეუსრულებლობის იდეასთან.

ობიექტური გარემოებები (მაგ. დაუძლეველი ძალა) ხელშეკრულების შესრულებას შეუძლებელს ხდის.⁵⁴

ხელშეკრულების შეუსრულებლობა უნდა განვიხილოთ ვალდებულების დარღვევის საერთო ცნების ფარგლებში, როგორც მისი კონკრეტული გამოხატულება. ხელშეკრულების შეუსრულებლობა არის ერთი იმ მრავალგვარი სამართლებრივი დარღვევათაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სამოქალაქო ურთიერთობებში, თუმცა იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, სადაც მხარეთა უფლება-მოვალეობები ზუსტად და დეტალურად არის განსაზღვრული.

ამგვარი სამართლებრივი ჩარჩოს გააზრება აუცილებელია იმისთვის, რომ სასამართლო და იურიდიულმა პრაქტიკამ შეძლოს მხარეთა ქცევის სრულფასოვნად და თანმიმდევრულად შეფასება. მხოლოდ ამ კუთხით შესაძლებელია სწორად იქნეს განსაზღვრული თითოეული მხარის პასუხისმგებლობა, მათი ქმედებების სამართლებრივი შეფასება და შესაბამისი შედეგების დადგენა. ეს იძლევა საშუალებას, რომ პრაქტიკაში უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანობისა და სამართლებრივი თავდაცვის პრინციპების ეფექტური განხორციელება, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს ხელშეკრულებისადმი ნდობისა და სამართლებრივი სტაბილურობის განმტკიცებას.

ხელშეკრულების შეუსრულებლობის, როგორც ვალდებულების დარღვევის ერთ-ერთი ფორმის, სწორი იდენტიფიცირება და მისი საფუძვლიანი ანალიზი წარმოადგენს სამართლებრივი პრაქტიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას. ასეთი იდენტიფიცირება არსებითად განაპირობებს სასამართლოს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნებთან შეთანხმებით და სამართლიანობის საერთო პრინციპების დაცვით.

სწორად განსაზღვრული დარღვევა ქმნის წინაპირობას, რომ სასამართლომ სრულად შეაფასოს მხარეთა ქცევა, ვალდებულების შინაარსი,

⁵⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398 – შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა; მუხლი 401 – მოვალის პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლები (მათ შორის, *force majeure*). ასევე იხ. UNIDROIT Principles, Article 7.1.7 – *Force Majeure*; PECL, Article 8:108 – *Excuse Due to an Impediment*.

შეუსრულებლობის ხარისხი და მისი სამართლებრივი შედეგები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების სამართლებრივ სისწორესა და ლეგიტიმაციას.

ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება, ან ზიანის ანაზღაურება“.⁵⁵

სახელშეკრულებო ვალდებულება ითვლება დარღვეულად მაშინ, როდესაც ერთი, ან ორივე მხარე მას სრულიად არ ასრულებს, ან ასრულებს არასათანადოდ, ანუ ისეთი ფორმით, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებსა და მისგან გამომდინარე სამართლებრივ სტანდარტებს.

შესრულების შეუსრულებლობა გულისხმობს იმ მოქმედებების არ განხორციელებას, რომლებიც აუცილებელია ვალდებულების სათანადო შესრულებისთვის. თავის მხრივ, არაჯეროვანი შესრულება გამოიხატება ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებაში, ან ისეთ ფორმაში შესრულებაში, რომელიც ნაკლებად აკმაყოფილებს ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესებს. ამ შემთხვევებში ვალდებულება ფორმალურად სრულდება, თუმცა არა იმ ხარისხითა და სტანდარტით, რომელიც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, რის გამოც იგი სრულად დარღვეულად არ მიიჩნევა, თუმცა წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს არასათანადო შესრულების საფუძველზე.⁵⁶

ყველა სახის დარღვევას აერთიანებს ის გარემოება, რომ სახელშეკრულებო მხარე, მიზეზების მიუხედავად, ვერ ასრულებს ან არასათანადოდ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველები სათანადოდ დადასტურდება. ასეთი წინაპირობები მოიცავს: მოქმედ ხელშეკრულებას,

⁵⁵ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი. თბილისი: "სამართალი". გვ. 24

⁵⁶ ზურაბ ახვლედიანი, *ვალდებულებითი სამართალი*, მეორე გამოცემა (თბილისი: სამართალი, 1999), გვ.55.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებას (ან უმოქმედობას), ზიანის წარმოქმნას და მიზეზობრივ კავშირს ზიანსა და ამ ქმედებას შორის. ჩვეულებრივ, პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია ბრალეულობის არსებობაც, როგორც დამნაშავე მხარის სუბიექტური დამოკიდებულების გამოვლინების არსებობა⁵⁷,

მოვალეს ეკისრება მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ვალდებულების დარღვევა მისი ბრალეულობით არ გამოწვეულა და იგი მიმართავდა ყველა შესაძლო და გონივრულ ზომას ვალდებულების სათანადოდ შესასრულებლად. შესაბამისად, მოვალემ უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს, რომ დარღვევა გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა, ან თავიდან აცილება მის შესაძლებლობებს აღემატებოდა.

აღნიშნული გარემოებების დადგენა წარმოადგენს სასამართლოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ვინაიდან პასუხისმგებლობის დაკისრება განისაზღვრება იმით, შეძლებს თუ არა მოვალე თავისი ბრალეულობის არარსებობის დამტკიცებას.

პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობა სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შედეგად, უმეტესად ქონებრივი ხასიათისაა და ვლინდება სხვადასხვა ფორმით, მაგალითად: საურავის დაკისრება, საპროცენტო განაკვეთის გაზრდა, ჯარიმის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევებში, მიზანი არის ის, რომ ზარალის მქონე მხარემ მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია, ხოლო დარღვევის ჩამდენ მხარეს დაეკისროს დამატებითი ფინანსური ტვირთი, რაც ხელს უწყობს როგორც მართლწესრიგის დაცვას, ასევე ხელშეკრულების შესრულების მოტივაციას. ამგვარი სანქციები უზრუნველყოფს კერძო სამართლის მხარეებს შორის სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვას.

⁵⁷ მზია თოდუა და ჰუბ ვილემსი, *ვალდებულებითი სამართალი* (თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 38. 2006.

ამასთან, სახელშეკრულებო სამართალში ვალდებულების დარღვევა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ მხარეს ჰქონდა ამის სურვილი ან იგი იყო ბრალეული. ხშირად, ხელშეკრულების შეუსრულებლობა შეიძლება იყოს განპირობებული არა მხარის ნებაყოფლობითი ან ზიანის მიყენების განზრახვითი მოქმედებით, არამედ ობიექტური, მხარის კონტროლის მიღმა არსებული გარემოებებით, რომელთა გამოც ვალდებულების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელი ან უკიდურესად გაძნელებულია. ასეთ შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს დარღვევის რეალური მიზეზი და შეფასდეს, იყო თუ არა ეს მიზეზი მხარის ბრალეულობის შედეგი, ან წარმოიშვა ისეთ გარემოებათა გამო, რომლებიც მხარის ნების მიღმა იყო და რომლებსაც იგი გონივრულად ვერ აიცილებდა თავიდან.

სასამართლოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებების დადგენას, რომლებმაც ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვია. პირველ რიგში, საჭიროა შეფასდეს, არსებობდა თუ არა მხარის მხრიდან სათანადო სიფრთხილე და გონივრული ქმედებები, რათა თავიდან აეცილებინა ვალდებულების დარღვევა, ან შესაძლებელი იყო თუ არა ვალდებულების შესრულება სხვა გზებით, ალტერნატიული საშუალებებით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა დაკავშირებულია ობიექტურ, მხარისგან დამოუკიდებელ მიზეზებთან და მხარის ბრალეულობა არ დგინდება, შეიძლება საუბარი შესაძლებლობაზე, რომ იგი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან.

სახელშეკრულებო სამართლის პრაქტიკაში, ვალდებულების შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ, დეტალურ სამართლებრივ ანალიზს იმის დასადგენად, თუ რა იყო შეუსრულებლობის საფუძველი — მხარის ნება, ბრალეულობა, თუ ობიექტური, გადაულახავი დაბრკოლება, როგორცაა, მაგალითად, ფორსმაჟორი ან პანდემია.

ეს მიდგომა უზრუნველყოფს სამართლიანობის პრინციპის დაცვას და ხელს უწყობს მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსის დამყარებას და დადგენას,

თუ რა საფუძვლით ვერ შესრულდა ვალდებულება და რამდენად უკავშირდება იგი მხარის ბრალეულობას.⁵⁸

2.4. ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები

ვთანხმდებით, რომ მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, თუნდაც შესრულების პირობები შეცვლილიყო. თუმცა, ამ პრინციპის მნიშვნელოვანი გამოწვევის გარკვეული გარემოებების გამო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა წარმოადგენს.

თავდაპირველად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საკითხს გერმანული სამართლის ანალოგიურად აწესრიგებდა, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული საკითხი ფორმირდა და დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანახმად შესრულების შეუძლებლობის საკითხი ცალკე არ წესრიგდება.⁵⁹

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეუძლებლობის ინსტიტუტს ცალკე, დამოუკიდებელ ნორმად არ აწესრიგებს, აღნიშნული ინსტიტუტის არსი და მოქმედების მექანიზმი ნათლად იკითხება კოდექსის სხვადასხვა კონკრეტული მუხლიდან, მაგალითად: მუხლი 91, რომელიც აწესრიგებს მართლსაწინააღმდეგო, ამორალურ ან შეუძლებელი პირობის ბათილობას; მუხლი 115, რომლის თანახმადაც სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და დაუშვებელია მისი გამოყენება მხოლოდ სხვისთვის ზიანის მისაყენებლად; მუხლი 398, რომელიც ეხება ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი; მუხლი 399, რომელიც აწესრიგებს გრძელვადიანი ვალდებულების შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის

⁵⁸ ძლიერიშვილი ზ. და სხვები, *სახელშეკრულებო სამართალი* გვ. 64-65. თბილისი: მერიდიანი. 2014

⁵⁹ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ. (2001). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი". გვ. 376

შესაძლებლობას პატივსადები საფუძვლით; მუხლი 406 *1, რომელიც ეხება საპასუხო შესრულების მიღების უფლებას ორმხრივ ხელშეკრულებებში.

აღნიშნული მუხლები ერთმანეთთან სისტემურ კავშირშია და მთლიანობაში ქმნის იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც არეგულირებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას სხვადასხვა პრაქტიკულ შემთხვევაში. ეს კიდევ უფრო თვალნათლივ ვლინდება იმ გარემოებიდან, რომ შეუძლებლობის ინსტიტუტი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპებიდანაც, რომლებიც განსაზღვრავს სამოქალაქო ურთიერთობების ძირითად საფუძვლებს — კეთილსინდისიერების, სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპებს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცალკე, ერთიანი ნორმატიული რეგულაციის სახით არ არის ფორმალურად ჩამოყალიბებული, მისი სამართლებრივი არსი, მნიშვნელობა და გამოყენების წესები მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება კოდექსის ზოგადი და სპეციალური დებულებების ერთობლივი, სისტემური ანალიზით. აღნიშნული გარემოება მიუთითებს კანონმდებლის ნებასა და მიდგომაზე, რომლის თანახმადაც შეუძლებლობაზე გავრცელდება საერთო სამოქალაქო-სამართლებრივი პრინციპები, განსაკუთრებით — კეთილსინდისიერება, გონივრულობა, ინტერესთა ბალანსი და პასუხისმგებლობის უსაფუძვლოდ არ დაკისრების პრინციპი.

სამართლებრივი კონსტრუქციის ასეთმა მოდელმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამართლებრივ პრაქტიკაში არსებული ბუნდოვანებების დაძლევის, ვინაიდან სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა, კონკრეტული შემთხვევის ნიუანსებზე დაყრდნობით, ინტერპრეტაციული მეთოდების საშუალებით მოახდინოს როგორც ნორმების შინაარსობრივი შევსება, ისე მათი პრაქტიკულ რეალობასთან მორგება. სწორედ ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის თემატიკა არ დააინერგოს ზედმეტი ფორმალიზმი, არამედ წარმოადგენს მოქნილ ინსტრუმენტს, რომელიც ითვალისწინებს ფაქტობრივი გარემოებების დინამიკასა და მათი გავლენის ინტენსივობას კონტრაქტულ ურთიერთობებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასამართლო პრაქტიკა, საფუძვლად იღებს რა როგორც ობიექტურ მიზეზებს (დაუძლეველი ძალა, გარემოების არსებითი ცვლილება), ისე მოვალის სუბიექტურ შესაძლებლობებს, ახდენს პასუხისმგებლობის სამართლიან გადანაწილებას მხარეთა შორის.

ამასთან, შეუძლებლობის სამართლებრივი კონცეფცია არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მოვალის პასუხისმგებლობის გამორიცხვას; პირიქით, იგი წარმოადგენს მექანიზმს, რომლის მიზანია ზუსტად განისაზღვროს მოვალის ქცევის სტანდარტი, ბრალეულობის ხარისხი და ვალდებულების შეუსრულებლობის თანაზომიერი შედეგები.

სისტემური მიდგომა ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. თანამედროვე რომელიმე ევროპულ სამართლებრივ სისტემაში, განსაკუთრებით გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის სამართალში, შეუძლებლობის ინსტიტუტი სწორედ მსგავსი პრინციპებით მოქმედებს — იგი ეფუძნება კეთილსინდისიერებას, მოსალოდნელობისა და თავიდან აცილებადობის კრიტერიუმებს, რაც საქართველოს სამართლებრივ სივრცეშიც თანმიმდევრულად აისახება.

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი ანალიზი უზრუნველყოფს როგორც ეთიკურად და სამართლებრივად გამართულ ურთიერთობებს კონტრაქტის მხარეთა შორის, ისე კონტრაქტული სამართლის სისტემურ სტაბილურობას. ამ მიდგომით სასამართლო არა მხოლოდ კონკრეტულ დავას წყვეტს, არამედ ქმნის პროგნოზირებად და სამართლიან პრეცედენტულ პრაქტიკას, რომელიც მომავალშიც იხელმძღვანელებს მხარეებს თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას.⁶⁰

ვალდებულების შეუსრულებლობის ცნებაში მოიაზრება მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც მოვალეს, გარკვეული მიზეზებისა და გარემოებების გამო, არა აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა შეასრულოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება.⁶¹

⁶⁰ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ 94

⁶¹ ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. მართლმსაჯულება და კანონი N 4, 40. იხ. ლინკი: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni2018w-n4.pdf>

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა აისახება გარიგების, ბრალეულობის, შეცვლილი გარემოებებისა და დაუძლეველი ძალის მომწესრიგებელ ნორმებში. მისი მთავარი თვისება კრედიტორის დაცვა ხელშეკრულების შეუსრულებლობისაგან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეუძლებელია. ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება, ყოველთვის არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ შესრულების შეუძლებლობის რომელ სახეს აქვს ადგილი.

გერმანულ სამართლებრივ სივრცესა და სასამართლო პრაქტიკაში განასხვავებენ ვალდებულების შეუსრულებლობის სხვადასხვა სახეს, მაგ: შესრულების ობიექტურ და სუბიექტურ, საწყის და შემდგომ, სრულ და ნაწილობრივ, ბუნებრივ და იურიდიულ, ეკონომიკურ შეუძლებლობას.⁶²

შესრულების ობიექტური შეუძლებლობა მაშინ გვაქვს, როდესაც ვალდებულების შესრულება შეუძლებელია არა მარტო ხელშემკვრელი მოვალისათვის, არამედ სხვა ნებისმიერი პირისთვისაც, როგორც საწყის ისე შემდგომ პერიოდში⁶³. როგორც წესი ვალდებულებას მოვალე ასრულებს, თუმცა არის მოცემულობები, როდესაც „მესამე პირმაც“ შეიძლება შეასრულოს მოვალის მაგივრად ვალდებულება. აღნიშნული უფლება სსკ-ის 371-ე მუხლით არის გათვალისწინებული: თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან, ან ვალდებულების ბრუნვიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.⁶⁴

შესრულების სუბიექტური შეუძლებლობის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულება კონკრეტული მოვალის — ანუ კონკრეტული სუბიექტის — მხრივ აღმოჩნდება შეუძლებელი, რადგან გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ მისი პირადი უნარი, თვისებები ან გარემოებები ატარებს. ამასთან, სუბიექტური შეუძლებლობა თავისთავად არ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ მოცემული ვალდებულება სხვა პირის მიერ იქნებოდა შესასრულებელი; განსხვავება

⁶² ჟანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი". გვ. 376

⁶³ სუხიტაშვილი, დ. და სუხიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი. გვ. 146

⁶⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 371-ე მუხლი, ნაწილი 1, (2019). თბილისი. იბ. ლინკი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=107>

მდგომარეობს იმაში, რომ ხელშეკრულებით ან ვალდებულების ხასიათით შესრულება სწორედ კონკრეტულ პირს არის მინდობილი, და შეუძლებლობა წარმოიშობა მხოლოდ მის მიმართ.⁶⁵

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეიძლება წარმოიქმნას, მისი დადებისთანავე, ასევე მის შემდეგ. ასეთ დროს სახეზეა საწყისი შეუძლებლობა, ხოლო, თუ შემდეგ აღმოჩნდა შეუძლებელი შესრულება, მაშინ შემდგომი შეუძლებლობას აქვს ადგილი. „საწყისი შეუძლებლობის დროს, პირი კისრულობს ისეთი ვალდებულების შესრულებას, რომლის შესრულებაც თავიდანვე შეუძლებელია“⁶⁶, მაგალითად სსკ 91-ე მუხლი, რომელიც პირობითი გარიგების ნამდვილობას ეხება, ადგენს რომ პირობა არის ბათილი რომლის შესრულებაც შეუძლებელია.⁶⁷

რაც შეეხება ბუნებრივ(ფიზიკურ) და იურიდიული შეუძლებლობას, ამ დროს შესრულება შეუძლებელი ხდება, მაგალითად: შესრულების საგნის განადგურებით, ან/და მოვალის გარდაცვალების მიზეზით. იურიდიული შეუძლებლობის მაგალითად გამოდგება, როდესაც მხარის მიერ შესასრულებელი ქმედება აკრძალულია კანონმდებლობით, მაგალითად ადმინისტრაციული აქტით ბრძანებით, დეკრეტით, ეს ნიშნავს იმას, რომ მხარის მიერ კონკრეტული ქმედება გამოიწვევს კანონდარღვევას.⁶⁸

მოვალე ვალდებულებას ხშირად ვერ ასრულებს სახელმწიფო ორგანოთა მიერ გამოცემული ნორმატიული ან ინდივიდუალური აქტების გამო, როდესაც შესაბამისი სამართლებრივი დადგენილება კრძალავს იმ მოქმედების განხორციელებას, რომლის შესრულების ვალდებულებაც მხარეს ხელშეკრულებით ეკისრება. ასეთ შემთხვევებში სახელშეკრულებო ვალდებულება ვერ სრულდება არა მოვალის სუბიექტური შესაძლებლობების ან უყურადღებობის გამო, არამედ იმ

⁶⁵ ბეგიაშვილი ნ. (2011). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (შედარებით–სამართლებრივი ანალიზი). სამართლის ჟურნალი "სარჩევი", 19.

⁶⁶ ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. მართლმსაჯულება და კანონი, N 4, 48. იხ. ლინკი:<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni2018w-n4.pdf>

⁶⁷ სუხიტაშვილი, დ. და სუხიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი. გვ. 490

⁶⁸ ჩანტალაძე რ. (2018). ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. მართლმსაჯულება და კანონი, N 4, 47. იხ. ლინკი:<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni2018w-n4.pdf>

სამართლებრივი შეზღუდვების შედეგად, რომლებიც გამოხატავს საჯარო აქტების სავალდებულო ძალას.

შესრულების იურიდიული შეუძლებლობა თავისი სამართლებრივი ბუნებით არსებითად უახლოვდება ობიექტურ შეუძლებლობას, ვინაიდან იგი ასევე განპირობებულია გარეგანი, მოვალის ნებაზე დამოუკიდებელი ფაქტორებით. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიული შეუძლებლობა წარმოიშობა არა ფაქტობრივი გარემოებების, არამედ კონკრეტული სამართლებრივი აქტის საფუძველზე. როგორც თავად ტერმინოლოგია მიგვანიშნებს, შეუძლებლობას აქ იწვევს ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვა, რომელიც გამორიცხავს იმ ქმედების განხორციელებას, რომლის შესრულებაც მხარეს ხელშეკრულებით ეკისრება.

ამგვარი სამართლებრივი აქტი შეიძლება მიიღოს საკანონმდებლო ორგანომ, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურამ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ. შესაბამისად, იურიდიული შეუძლებლობა უკავშირდება საჯარო ხელისუფლების მიერ დაწესებულ წესებსა და შეზღუდვებს, რომლებიც მათი სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე უშუალოდ ზღუდავს კერძო პირის შესაძლებლობას, შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება.⁶⁹

შესრულების ფიზიკური შეუძლებლობა კი სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ბუნებრივ და ფაქტობრივ შეუძლებლობად მოიხსენიება,⁷⁰ შეუძლებლობა კი_აბსოლუტური ხასიათის უნდა იყოს ⁷¹ვალდებულების შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება შესაძლებელია შემთხვევითობის⁷² შედეგად იყოს.

შემთხვევითობისას მოვალე, როგორც წესი, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. შემთხვევითობა, იურიდიული თვალსაზრისით ისეთი

⁶⁹ სუხიტაშვილი, დ. და სუხიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი. გვ. 146

⁷⁰ იქვე.

⁷¹ სუხიტაშვილი, დ. და სუხიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი. გვ. 493

⁷² ლათ: „casus a nullo praestantur“- „შემთხვევითობისთვის არავინ არის პასუხისმგებელი“

გარემოებაა, რომელმაც გამოიწვია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება მისი და კრედიტორის ბრალის გარეშე. მისი წინასწარი გათვლა შეუძლებელია, პირმა არ იცის, არ შეეძლო სცოდნოდა და არ უნდა სცოდნოდა არამართლზომიერი შედეგის დადგომის შესაძლებლობა. შემთხვევითობა⁷³, სუბიექტურად აუცდენელია⁷⁴.

შემთხვევად მიჩნეულია ასევე წინასწარ გაუთვალისწინებელი და აუცდენელი გარემოება, როცა მოვალე ვალდებულების შესასრულებლად მზერუნველობისა და გულისხმიერების უფრო მაღალ ხარისხს გამოავლენდა, ვიდრე მას კანონით, ან ხელშეკრულებით ჰქონდა დაკისრებული.⁷⁵

დაუძლეველი ძალა კი შემთხვევითობისგან განსხვავებით ობიექტურად აუცდენელია, მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, თუნდაც მაშინაც, როცა ცნობილია მისი დადგომა, იგი შესრულების შეუძლებლობის პირობაა, მისგან წარმოშობილი უარყოფითი შედეგებისათვის პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი⁷⁶. მაგ: ყოველთვის როდია შესაძლებელი იმ შედეგების თავიდან აცილება რაც სტიქიურ მოვლენას შეიძლება მოჰყვეს, თუნდაც ცნობილი იყოს ასეთი მოვლენის მოახლოება. მაგალითად: სანაოსნომ ვერ შეასრულა განსაზღვრული დროისათვის ტვირთის გადატანა შტორმის გამო, ან, ვთქვათ სათანადო სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით, განკარგულებით, დადგენილებით აიკრძალა გარკვეული მოქმედების შესრულება, მაგ: გემების პორტიდან გასვლა. გარდა იმისა, რომ ობიექტურად აუცდენელია, მოვლენა დაუძლეველ ძალად ჩაითვლება თუ ის საგანგებო ხასიათისაა. სეზონის ცვლილება როგორც მოვლენა აუცდენელია, მაგრამ ამაში საგანგებო არაფერია, ამიტომ არ წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, მაგრამ მოულოდნელი ყინვის შემთხვევაში, რომელმაც მოსავალის აღება გაართულა, დაუძლეველ ძალად შეიძლება ჩაითვალოს.

⁷³ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით, 1148-ე მუხლით, შემთხვევითობასა და ფორს-მაჟორს შორის ტოლობის ნიშანია დასმული.

⁷⁴ ზ. ახვლედიანი „ვალდებულებითი სამართალი“ გვ. 73

⁷⁵ სუხიტაშვილი, დ. და სუხიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი. გვ. 497

⁷⁶ სუხიტაშვილი, დ. და სუხიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი. გვ. 489

ეკონომიკური შეუძლებლობაა, როდესაც ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი ვითარების დროს, როგორცაა მაგ: სავალუტო კრიზისი, ფულის ინფლაცია, პროდუქტის ფასის ზრდა და ა.შ აღნიშნული მდგომარეობა ტოლფასია შეცვლილი გარემოებების. მაგალითად, თუ ნასყიდობის „საგნის“ ფასი, ვალდებულების შესრულებამდე, კერძოდ, საგნის მიწოდებამდე ისე გაიზარდა რომ შეუძლებელს ხდის მიწოდების განხორციელებას მოვალეს ამ შემთხვევაში არ მოეთხოვება ვალდებულების შესრულება, რადგან პირობები შეიცვალა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

სამართლებრივი კატეგორია, გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლებში (132⁷⁷, 399⁷⁸, 831⁷⁹, 779⁸⁰, 669⁸¹, 1000⁸²,

⁷⁷ მუხლი 132. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ: ა) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი); ბ) სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა; გ) კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია სამარ მდგომარეობაში; დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/sak_samokalako_kodeksi.pdf

⁷⁸ მუხლი 399. 1. უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე 1. ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშლელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

⁷⁹ მუხლი 831. ომით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანის დაზღვევა მზღვეველი ომით ან სხვა დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანისათვის მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ ეს გათვალისწინებულია სპეციალური შეთანხმებით.

⁸⁰ მუხლი 779. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაუძლეველი ძალის გამო პასუხისმგებლობა გამოირიცხებულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით, სტუმრის ან მისი თანხმლები პირის მიერ, ანდა თვით ნივთის თვისებებით. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/sak_samokalako_kodeksi.pdf#

⁸¹ მუხლი 669. გადამზიდველის პასუხისმგებლობა 1. გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის. 2. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბარგით.

3. გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/sak_samokalako_kodeksi.pdf#

⁸² მუხლი 1000. პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის 1. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერგიისაგან, ანდა ხანძარსაში ან აფეთქებასაში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის <http://www.matsne.gov.ge> 040.000.000.05.001.000.223 პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება

1004⁸³, ვალდებულების შეუსრულებლობა გარემოებების გამო, რომელთა კონტროლიც მხარეს არ შეუძლია, შესაძლოა ვალდებულების შესრულებისაგან განთავისუფლების საფუძველი გახდეს.

შესრულების შეუძლებლობა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული და სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს იწვევდეს, თუმცა ერთი რამ ყველა სახის შეუძლებლობისთვის საერთოა: იმისათვის რომ შესრულების ვალდებულება გაქარწყლდეს, შეუძლებლობა არ უნდა იყოს დროებითი⁸⁴

ხელშეკრულების შესრულების დროს შესაძლოა წარმოიშვას ისეთი გარემოებები, რომლებიც მის შესრულებას შეუძლებელს, ან მნიშვნელოვნად რთულს ხდის. ასეთი სიტუაციები შეიძლება შეფასდეს შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის (Impossibility Doctrine) ან გართულებული შესრულების დოქტრინის (Commercial Impracticability) საფუძველზე, მაგალითად: ბეისბოლის ხელთათმანების მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ათასი ერთეულის მიწოდებაზე. თუმცა, მისი ქარხანა ნიუ-იორკში მთავრობის ბრძანებით იკეტება, რის გამოც წარმოება შეუძლებელი ხდება. ამ ვითარებაში მიმწოდებელი შესაძლოა ამტკიცებდეს, რომ შესრულება აბსოლუტურად შეუძლებელია, რაც გამოიწვევს „შესრულების შეუძლებლობის დოქტრინის“ გამოყენებას. თუმცა, თუ

ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. 2. თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძველით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი. 3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი გამოწვეულია ელექტროგადამცემი ხაზების ავარიით, ანდა ნავთობის, გაზის, წყლის ან ნავთობპროდუქტების მიმწოდებელი მოწყობილობების დაზიანებებით. 4. რადიაციული ნივთიერების გამოყენებით გამოწვეული ზიანი უნდა აანაზღაუროს მისმა გამომყენებელმა. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/sak_samokalako_kodeksi.pdf#

⁸³ მუხლი 1004. შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება 1. შენობის მესაკუთრე ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით. 2. თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან დაზარალებულის ბრალით. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/sak_samokalako_kodeksi.pdf#

⁸⁴ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ 94

შესაძლებელია წარმოების გადატანა იაპონიის სხვა ქარხანაში, მაშინ შესრულება კვლავ შესაძლებელია, თუმცა უფრო მაღალი დანხარჯებით. ჩნდება კითხვა: არის ეს შემთხვევა უბრალოდ გართულებული შესრულება, თუ შეუძლებლობა?

შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობაა, თუ წარმოება და მიწოდება აბსოლუტურად შეუძლებელია (მაგალითად, ნედლეული ხელმისაწვდომი არ არის, არ არსებობს ალტერნატიული ქარხანა), მაშინ სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მიმწოდებელი თავისუფლდება ვალდებულებისგან. ხოლო თუ წარმოების ალტერნატიული საშუალება არსებობს, მაგრამ ხარჯები იზრდება, ეს შეიძლება ჩაითვალოს მიმწოდებლის ნორმალურ ბიზნეს-რისკად და არ იყოს საკმარისი ვალდებულებისგან გათავისუფლებისთვის საფუძველი. თუმცა ხარჯების ათჯერ ზრდა სასამართლომ შესაძლოა მიიჩნიოს, რომ ასეთი ტვირთი გაუმართლებლად მძიმეა და ეს გახდეს შესრულების გართულების აღიარების საფუძველი, მიმწოდებლისთვის არაგონივრული ტვირთი, რაც ვალდებულების შეწყვეტას გაამართლებდა.

სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, როგორც წესი, დამოკიდებულია კონტრაქტის კონტექსტზე, კონკრეტულ ფაქტობრივ მტკიცებულებებზე, თუ რამდენად შეუძლებელია, მაგრამ არა აბსოლუტურად შეუძლებელი შესრულების შესრულება. ამ შემთხვევაში, პანდემიის მსგავსი მოვლენები წარმოადგენენ როგორც რისკებს, ისე ახალ გამოწვევებს, რომელიც სასამართლოებს უფრო რთულ გადაწყვეტილებების წინაშე აყენებს, იმისთვის რომ დაადგინონ, რა არის გადამეტებული ხარჯი და რა შეიძლება ჩაითვალოს „სამართლიანად“ რთულად შესასრულებლად.⁸⁵

⁸⁵ <https://www.stanfordlawreview.org/online/contracts-and-covid-19/Mineral Park Land Co. v. Howard>, 156 P. 458, 459 (Cal. 1916) (describing “an expense of 10 or 12 times as much as the usual cost” as a “prohibitive cost” that justified relieving the promisor on the basis of Impossibility); RESTATEMENT (SECOND) OF CONTRACTS ch. 11 intro. note, at 311 (AM. LAW INST. 1981) (suggesting that if “a disaster results in an abrupt tenfold increase in cost to the seller, a court might determine that the seller did not assume this risk” and excuse the seller on the basis of Impossibility).

თავი III. გარემოების ცვლილების სამართლებრივი დოქტრინა

3.1. დოქტრინის არსი და მნიშვნელობა

ვალდებულების ჩვეულებრივი დარღვევის შემთხვევები უნდა განვასხვავოთ იმ განსაკუთრებული სიტუაციებისგან, როდესაც ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიქმნება ისეთი ახალი გარემოებები, რომლებიც არსებითად ცვლიან მხარეთა ინტერესთა ბალანსს და მნიშვნელოვნად ართულებენ ვალდებულების შესრულებას. მსგავსი ცვლილებები შეიძლება განპირობებული იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური საფუძვლებით: სახელმწიფო რეგულაციებითა და შეზღუდვებით (მაგალითად, ლოქდაუნები, საწარმოთა დროებითი დახურვა), სერვისებისა და პროდუქტების მიწოდების შეფერხებით ან სრულ შეწყვეტით და სხვა გარემოებებით, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ გარიგების ეკონომიკურ და პრაქტიკულ საფუძვლებზე.

აღნიშნული გარემოებები ხშირად იწვევს ხელშეკრულების საწყისი ბალანსისა და მხარეთა მიერ ნავარაუდევო მოლოდინების დარღვევას. როდესაც ასეთი ცვლილებები ხელშეკრულების შესრულებას აუარესებს ან მნიშვნელოვნად ზრდის მის ხარჯებს, შეიძლება წარმოიშვას აუცილებლობა გარიგების პირობების გადასინჯვის. ამგვარ შემთხვევაში მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა მოითხოვონ ხელშეკრულების გადახედვა ან მისი პირობების შეცვლა, რათა თავიდან იქნას აცილებული მხარეთა ინტერესთა არათანაბარი და უსამართლო განაწილება.

გარემოებების არსებითი ცვლილების დოქტრინა სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს — იგი საშუალებას აძლევს მხარეებს, სამართლიანობის პრინციპისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებზე დაყრდნობით, მოითხოვონ ხელშეკრულების

ადაპტაცია იმ ვითარებასთან, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში მოულოდნელი და განუჭვრეტადი იყო.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია შეცვლილი გარემოებების დოქტრინა, რომელმაც ასახვა ჰპოვა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში, შესაბამისი ნორმა საშუალებას აძლევს მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულების შეცვლა, ან შეწყვეტა, თუ შექმნილ პირობებში ვალდებულების შესრულება წარმოშობს მძიმე ეკონომიკურ შედეგებს და აშკარად არღვევს სამართლიანობისა და თანაზომიერების პრინციპებს.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური პროცესების კვალდაკვალ სახელშეკრულებო ურთიერთობების დინამიკაც იცვლება და სულ უფრო მეტად აყენებს დღის წესრიგში იმ საკითხს, თუ რამდენად მოქნილი და ადაპტირებადია სამართლებრივი მექანიზმები მოულოდნელი ცვლილებების პირობებში.⁸⁶

ხელშეკრულება, როგორც კერძო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტი, ტრადიციულად ეფუძნება *pacta sunt servanda*-ს პრინციპს, რომლის თანახმადაც, მხარეები ვალდებული არიან, შეასრულონ აღებული ვალდებულებები ზუსტად იმ პირობებით, როგორითაც ისინი შეთანხმდნენ.⁸⁷ თუმცა, რეალობა ხშირად აჩვენებს, რომ გრძელვადიან, ისევე როგორც მოკლევადიან, ან სტრატეგიულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეუძლებელია ყველა შესაძლო რისკისა და ცვლილების წინასწარ გათვალისწინება.⁸⁸

ბოლო ათწლეულებში, განსაკუთრებით კი XXI საუკუნის დასაწყისიდან, მსოფლიო არაერთი მასშტაბური გამოწვევის წინაშე დადგა: გლობალური ფინანსური კრიზისები, ბუნებრივი კატასტროფები, პოლიტიკური კონფლიქტები, ომები, ვირუსული ინფექციები, პანდემიები, რომელმაც უპრეცედენტო მასშტაბით შეცვალა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კონტრაქტული

⁸⁶ Zweigert, K., & Kötz, H. *Introduction to Comparative Law*, Oxford: Clarendon Press, 1998, გვ. 357-360; Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 3-7

⁸⁷ Zimmermann, R., *The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford, 1996, გვ. 579-581; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ტ. 1, თბილისი, 2001, გვ. 234-236.

⁸⁸ Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 12-14.

ურთიერთობები.⁸⁹ ამგვარმა მოვლენებმა წარმოაჩინა, რომ სახელშეკრულებო სტაბილურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ კლასიკური დოგმების დაცვით;⁹⁰ აუცილებელია ისეთი სამართლებრივი ინსტრუმენტების არსებობა, რომლებიც მხარეებს მისცემს ადეკვატური რეაგირების საშუალებას მოულოდნელ ცვლილებებზე.⁹¹

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარემოების ცვლილების დოქტრინა (*hardship, frustration, imprévision*),⁹² რომელიც მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ბალანსის დაცვას და მხარეთა ინტერესების სამართლიანად გადანაწილებას მაშინ, როდესაც ხელშეკრულების შესრულება მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი დადებისას არსებული პირობებისგან.⁹³ აღნიშნული დოქტრინა არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს თანამედროვე კერძო სამართალში, რადგან იგი პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკური და სოციალური გარემოს სწრაფ ცვლილებებთან.⁹⁴

გარემოების ცვლილების დოქტრინა წარმოადგენს ერთგვარ „ხიდს“ კლასიკურ და თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალს შორის: ერთი მხრივ, იგი ინარჩუნებს ხელშეკრულების სავალდებულო ძალის პრინციპს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ადაპტაციისა და სამართლიანობის ელემენტებს, რაც

⁸⁹ UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2016), მუხლი 6.2.2-6.2.3, კომენტარები; Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 21-25; *Seadrill Ghana Operations Ltd v Tullow Ghana Ltd* [2021] EWHC 769 (Comm); *Société X v Société Y*, Versailles Court of Appeal, 25 June 2020.

⁹⁰ HESTIN, J., *Traité de droit civil: Les effets du contrat*, LGDJ, 2001, გვ. 112-115;

⁹¹ Zweigert, K., & Kötz, H., *Introduction to Comparative Law*, Oxford: Clarendon Press, 1998, გვ. 362-364.

⁹² Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 35-38; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2016), მუხლი 6.2.2-6.2.3; GHESTIN, J., *Traité de droit civil: Les effets du contrat*, LGDJ, 2001, გვ. 120-123.

⁹³ UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2016), მუხლი 6.2.2-6.2.3, კომენტარები; Schwenzer, I., *Force Majeure and Hardship in International Sales Contracts*, Victoria University of Wellington Law Review, 2008, გვ. 718-720.

⁹⁴ Zweigert, K., & Kötz, H., *Introduction to Comparative Law*, Oxford: Clarendon Press, 1998, გვ. 365-367

აუცილებელია გლობალიზებული და არაპროგნოზირებადი ეკონომიკური ურთიერთობებისთვის.⁹⁵ სწორედ ამიტომ, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ამ დოქტრინის აღიარება, ფორმულირება და პრაქტიკული გამოყენება განსხვავებულად ხდება, რაც საინტერესოა როგორც შედარებითი სამართლის, ისე ეროვნული კანონმდებლობის განვითარების თვალსაზრისით.

3.2. დოქტრინის გამოყენება სხვადასხვა იურისდიქციაში

სახელშეკრულებლო ურთიერთობების პირობებში გარემოების ცვლილების დოქტრინის⁹⁶ საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ისეთი მოვლენების ფონზე, როგორიცაა საერთაშორისო ფინანსური კრიზისები, ბუნებრივი კატასტროფები, ომები და, განსაკუთრებით, COVID-19-ის პანდემია.⁹⁷ მაგალითად, ჩინეთის საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (China Council for the Promotion of International Trade) 2020 წელს ათასობით ფორსმაჟორის სერტიფიკატი გასცა კომპანიებისთვის, რომლებიც COVID-19-ის გამო ვერ ასრულებდნენ კონტრაქტებს,⁹⁸ მაშინ როცა, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში სასამართლოებმა, მაგალითად, *Seadrill Ghana Operations Ltd v Tullow Ghana Ltd* (2021), უარი თქვეს მხოლოდ ეკონომიკური სირთულეების საფუძველზე ხელშეკრულების გადახედვაზე.⁹⁹ აღნიშნული ნათლად წარმოაჩენს, რომ სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ გაუთვალისწინებელ ცვლილებებს, არაერთგვაროვნად რეგულირდება.

⁹⁵ Palandt, O., *Bürgerliches Gesetzbuch*, Kommentar, München, 2023, §313, Rn. 1-3; GHESTIN, J., *Traité de droit civil: Les effets du contrat*, LGDJ, 2001, გვ. 125-127;

⁹⁶ გიორგაძე, ნ. (2018). სახელშეკრულებლო ურთიერთობების დინამიკა და გარემოების ცვლილების დოქტრინა. *სამართლის მიმოხილვა*, 12(2), 45-59.

⁹⁷ გიორგაძე, ნ. (2021). COVID-19-ის პანდემიის გავლენა სახელშეკრულებლო ვალდებულებებზე. *სამართლის მიმოხილვა*, 15(1), 102-115.

⁹⁸ China Council for the Promotion of International Trade (CCPIT), "CCPIT Issued Force Majeure Certificates to Help Enterprises Resume Work and Production," 2020; Wang, H., "China's Force Majeure Certificates and the COVID-19 Outbreak," *Journal of International Economic Law*, 2020, გვ. 345-347.

⁹⁹ *Seadrill Ghana Operations Ltd v Tullow Ghana Ltd* [2021] EWHC 179 (Comm), პუნქტები 315-320; McKendrick, E., *Force Majeure and Frustration of Contract*, 3rd ed., London: Routledge, 2014, გვ. 210-212.

კონტინენტურ ევროპაში ფართოდ არის მიღებული გარემოების ცვლილების პრინციპი, რომელიც მხარეს აძლევს შესაძლებლობას მოითხოვოს ხელშეკრულების გადახედვა, კორექტირება, ან შეწყვეტა.¹⁰⁰

გერმანულ მოდელში, გარემოების არსებითი ცვლილების შემთხვევაში მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების გადახედვა, ან მისი შეწყვეტა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) §313 მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს, თუ ხელშეკრულების საფუძველი არსებითად შეიცვალა და მხარისთვის ვალდებულების შესრულება არაგონივრულად მძიმე გახდა, შესაძლებელია ხელშეკრულების ადაპტაცია, ან შეწყვეტა. მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ხელშეკრულების გადახედვა, თუ ხელშეკრულების საფუძვლიანი წონასწორობა ირღვევა.¹⁰¹

3.2.1. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი და Canal de Craponne-ის საქმე, 1195-ე მუხლის პრაქტიკული გამოყენება საფრანგეთში

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი საუკუნეების განმავლობაში არ განსაზღვრავდა კონკრეტულ წესებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხელშეკრულების შესრულება რთულდებოდა გარემოებების ცვლილების გამო.¹⁰² ფრანგული სასამართლოები ცნობილნი იყვნენ უკიდურესად მკაცრი მიდგომით *pacta sunt servanda*-ს დაცვის კუთხით. სპეციალისტების მოსაზრებით, კონტრაქტის ვალდებულებიდან გათავისუფლება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა შესრულება ვეღარ იქნებოდა უზრუნველყოფილი გაუთვალისწინებელი, გარდაუვალი და უკონტროლო მოვლენების გამო, როგორიცაა ომი, სტიქიური უბედურება, ემბარგო, გაფიცვები, არეულობები ან სისხლის სამართლის დანაშაული. სხვა შემთხვევებში სასამართლო ყოველთვის იხრებოდა ხელშეკრულების შესრულებისაკენ. ნათელ მაგალითს წარმოადგენს *Canal de Craponne*-ის საქმე, მხარეებმა 1567 წელს გააფორმეს ხელშეკრულება ზადის

¹⁰⁰ Hondius, E., "Change of Circumstances," in *Towards a European Civil Code*, 4th ed., Kluwer Law International, 2016, გვ. 1091-1105.

¹⁰¹ Bürgerliches Gesetzbuch (BGB), §313; Lurger, B., "The 'Change of Circumstances' in German Contract Law," in *European Review of Private Law*, Vol. 8, 2000, გვ. 469-480;

¹⁰² Malaurie, P., Aynès, L., *Les obligations*, 12e éd., Paris: Defrénois, 2020, გვ. 512-514;

სარწყავი არხების მომსახურების შესახებ, რომელიც 300 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. წლის განმავლობაში ფიქსირებული გადასახადი გახდა აბსოლუტურად არასაკმარისი და ვერ ფარავდა მომსახურების ხარჯებს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გადასახადის ზრდის მოთხოვნა გარემოს ცვლილების საფუძველზე, თუმცა 1876 წელს საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება, მითითებით სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლზე და დატოვა გადასახადის ოდენობა უცვლელი.¹⁰³

ფრანგული დოქტრინა მხარს უჭერდა კონტრაქტების გადახედვას იმპროვიზირების (*imprévision*) კონცეფციის ფარგლებში. გესტინისა და სხვა ფრანგი მკვლევარების აზრით, კანონმდებლობამ უნდა აღიაროს გამონაკლისები აბსოლუტურ *pacta sunt servanda* პრინციპიდან, რათა შესაძლებელი გახდეს ხელშეკრულების გადასინჯვა იმ შეზღუდულ პირობებში, როცა სერიოზული უსამართლობა ან მხარეებს შორის დისბალანსი არსებობს.

დღეისათვის, 2016 წლის რეფორმის შედეგად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი შეიცავს 1195-ე მუხლს, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების გადახედვის შესაძლებლობას განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში. გაუთვალისწინებელი გარემოების ცვლილების გამო, რომელიც ქმნის მძიმე ვალდებულებას მხარისთვის, შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისგან ხელახალი მოლაპარაკება. თუ მოლაპარაკება უშედეგოა, მხარეებს შეუძლია შეთანხმებით გადაწყვიტონ ხელშეკრულების შეწყვეტა, ან მიმართონ სასამართლოს, რათა შეთანხმებას გადახედონ ან შეწყვიტონ. 1195-ე მუხლის პრაქტიკული გამოყენების მაგალითია საქმე *Société X v Société Y* (Versailles Court of Appeal, 2020), სადაც სასამართლომ მხარეს მისცა ხელშეკრულების გადახედვის უფლება COVID-19-ის პანდემიის გამო მნიშვნელოვნად შეცვლილი ეკონომიკური გარემოების საფუძველზე.¹⁰⁴

¹⁰³ სულხანიშვილი მ. /სამეცნიერო სტატია ხელშეკრულების მოდიფიცირება და მისი სამართლებრივი ასპექტები 2023 წელს <https://journals.4science.ge/index.php/spectri/article/view/1557/1559>

¹⁰⁴ Cour d'appel de Versailles, 25 juin 2020, n° 19/04224; Bénabent, A., *Droit des obligations*, 20e éd., Paris: LGDJ, 2021, გვ. 432-434;

3.3. შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი მექანიზმები

კონტინენტური სამართლის მიხედვით შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი რეგულირების სამი ძირითადი მექანიზმი არსებობს: ფორსმაჟორი, შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა (Doctrine of Impossibility) და გართულებული შესრულების (Hardship) დოქტრინა. თითოეულ მათგანს განსხვავებული დანიშნულება და მოქმედების ფარგლები აქვს, თუმცა საერთო მიზანი ერთია — სამართლიანი ბალანსის დაცვა მხარეთა ინტერესებსა და რეალურ ეკონომიკურ პირობებს შორის.¹⁰⁵

ფორსმაჟორი წარმოადგენს ხელშეკრულებაში წინასწარ გაწერილ მექანიზმს, რომელიც მხარეებს აძლევს შესაძლებლობას გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება მხარეთა კონტროლის მიღმა არსებული, გაუთვალისწინებელი მოვლენების შედეგად. ფორსმაჟორის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ხელშეკრულების ტექსტზე: აუცილებელია, რომ მასში ზუსტად აისახოს ისეთი გარემოებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას, რათა მხარემ შეძლოს ამ მექანიზმის აქტივაცია.¹⁰⁶

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული ფორსმაჟორის პუნქტი, მხარე ეყრდნობა შესრულების შეუძლებლობის დოქტრინას. აღნიშნული პრინციპი მოიცავს შემთხვევებს, როდესაც შესრულება ობიექტურად შეუძლებელი გახდა, მაგალითად, იმ ქონების განადგურება, რომელიც ხელშეკრულებით წარმოადგენდა ნასყიდობის საგანს;¹⁰⁷

შესრულების შეუძლებლობა გამოწვეულია ისეთი სიტუაციის შედეგად, რომელიც მხარეთა კონტროლის მიღმაა და მისი წინასწარი პროგნოზირება შეუძლებელია მომსახურების ვერ შესრულება, მთავრობის მიერ

¹⁰⁵ Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 3-15; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2016), მუხლები 7.1.7 და 6.2.2.

¹⁰⁶ Schwenzer, I., "Force Majeure and Hardship in International Sales Contracts," *Victoria University of Wellington Law Review*, 2008, გვ. 709-711.

¹⁰⁷ Zimmermann, R., *The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition*, Oxford University Press, 1996, გვ. 825-827;

დაწესებული საგანგებო შეზღუდვების გამო,¹⁰⁸ მაგალითად, თუ მიმწოდებელი ვალდებულია ათასი ერთეული პროდუქციის მიწოდებაზე, მაგრამ მისი ქარხანა მთავრობის გადაწყვეტილებით იკეტება, ეს შეიძლება განხილულ იქნას შესრულების შეუძლებლობის კონტექსტში. ამ შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მიმწოდებელი ვალდებულებისგან თავისუფლდება, თუმცა, თუ მიმწოდებელს გააჩნია ალტერნატიული საშუალება (მაგალითად, სხვა ქვეყანაში არსებული ქარხანა), შესრულება კვლავ შეიძლება ჩაითვალოს შესაძლებლად — თუნდაც გაზრდილი ხარჯებით.¹⁰⁹

Hardship-ის დოქტრინა მოქმედებს მაშინ, როდესაც შესრულება არ არის აბსოლუტურად შეუძლებელი, თუმცა იგი მნიშვნელოვნად არღვევს მხარეთა მოითხოვოს ხელშეკრულების გადახედვა, თუ შესრულება საგრძნობლად გაძვირდა; ხელშეკრულება გახდა ეკონომიკურად დაუბალანსებელი; ხელშეკრულებიდან მოსალოდნელი სარგებელი არსებითად გაუფასურდა. UNIDROIT-ის პრინციპების (2016) 6.2.2-6.2.3 მუხლები განსაზღვრავს, რომ hardship-ის არსებობისთვის აუცილებელია ხარჯების ან სარგებლის ცვლილება იყოს ექსტრემალური და მოულოდნელი,¹¹⁰ ან საკმარისად ექსტრემალურად უნდა იქნას მიჩნეული hardship-ის დასამტკიცებლად.¹¹¹

UNIDROIT-ის საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები წარმოადგენს არასავალდებულო ხასიათის, თუმცა ავტორიტეტულ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო კონტრაქტების განმარტებისა და რეგულირებისას. აღნიშნული პრინციპების 2016 წლის რედაქციის 6.2.2-6.2.3 მუხლები ადგენს hardship-ის ცნებასა და მის გამოყენების წესებს. ამ მუხლებით განსაზღვრულია, რომ hardship-ის

¹⁰⁸ McKendrick, E., *Contract Law: Text, Cases, and Materials*, 9th ed., Oxford University Press, 2020, გვ. 1026-1028;

¹⁰⁹ Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 38-41;

¹¹⁰ Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 43-49; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (2016), მუხლი 6.2.2;

¹¹¹ ICC Case No. 2508/1976, *Yearbook Commercial Arbitration*, Vol. 4, 1979, გვ. 109-111; Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 51-53.

არსებობისთვის აუცილებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მხარისთვის ექსტრემალურად გამძირდეს ან სარგებელი მნიშვნელოვნად შემცირდეს ისე, რომ ეს ცვლილება იყოს მოულოდნელი და კონტრაქტის დადებისას არაპროგნოზირებადი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხარემ მოითხოვოს ხელშეკრულების გადახედვა ან ადაპტაცია.

საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში (მაგალითად, ICC Case No. 2508/1976), ხარჯების ხუთჯერ ან მეტი ზრდა უკვე აღიარებულია საკმარისად ექსტრემალურ პრეცედენტად hardship-ის დასამტკიცებლად. შესაბამისად, პრაქტიკაში hardship-ის გამოყენების კრიტერიუმები საკმაოდ მაღალია და მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში იძლევა ხელშეკრულების პირობების გადახედვის შესაძლებლობას.

სასამართლოები მსგავს შემთხვევებში აფასებენ, რამდენად ექსტრემალური, ან პროგნოზირებადი იყო ხარჯების ზრდა მხარეებისთვის. მაგალითად წარმოების ორჯერ გაზრდილი ხარჯი ჩვეულებრივ არ ითვლება საკმარის საფუძვლად ხელშეკრულების შესაცვლელად; ხუთჯერ გაზრდილი ხარჯი უკვე საკამათო საკითხია და სასამართლო ამ დროს განიხილავს მხარეთა მოლოდინებსა და რისკების განაწილებას; ათჯერ, ან მეტჯერ გაზრდილი ხარჯი კი შესაძლოა ჩაითვალოს ისეთ გარემოებად, რომელიც არღვევს სახელშეკრულებო სამართლიანობას და წარმოადგენს შეცვლილ გარემოებას და დღის წესრიგში აყენებს ხელშეკრულების ადაპტაციის საკითხს.¹¹²

ფორსმაჟორის, შესრულების შეუძლებლობისა და hardship-ის დოქტრინები წარმოადგენენ კონტინენტური სამართლის სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობილ სახელშეკრულებო ურთიერთობების ცვლილების ძირეულ მექანიზმებს.¹¹³ აღნიშნული საკითხები განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიისა და გლობალური კრიზისების

¹¹² Schwenzer, I., "Force Majeure and Hardship in International Sales Contracts," *Victoria University of Wellington Law Review*, 2008, გვ. 718-720; ICC Case No. 2508/1976, *Yearbook Commercial Arbitration*, Vol. 4, 1979, გვ. 109-111.

¹¹³ Brunner, C., *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 59-62;

პერიოდში, როდესაც მრავალი ხელშეკრულების შესრულება გახდა ან შეუძლებელი, ან ეკონომიკურად არაგონივრული.

ანგლო-ამერიკული სამართალი კი ხელშეკრულების გადახედვას მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, როდესაც მისი შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელი, ან აზრს მოკლებული ხდება. მაგალითად, ინგლისურ სამართალში ცნობილი საქმეა Taylor v. Caldwell (1863), სადაც სასამართლომ აღიარა, რომ თუ კონტრაქტით განსაზღვრული ობიექტი (კონცერტის დარბაზი) განადგურდა ხანძრის შედეგად, მხარე გათავისუფლდა ვალდებულებისგან, რადგან შესრულება ფიზიკურად შეუძლებელი გახდა.

თუმცა, თუ საქმე ეკონომიკურ სირთულეს ან ფასების მკვეთრ ცვლილებას ეხება, ინგლისური სასამართლოები, როგორც წესი, არ ცვლიან ხელშეკრულების პირობებს და მხარე ვალდებულია შეასრულოს აღებული ვალდებულება. მაგალითად, საქმეში Tandrin Aviation Holdings Ltd v Aero Toy Store LLC (2010), სასამართლომ დაადგინა, რომ თუ კონტრაქტში ფორსმაჟორის დებულება არ არის დეტალურად გაწერილი, მხარე ვერ გათავისუფლდება ვალდებულებისგან მხოლოდ ეკონომიკური სირთულეების ან ბაზრის ცვლილების გამო.

გერმანული სამოქალაქო სამართალი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და სისტემურად გამართული მოდელი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კონცეპტუალურ საფუძვლებზე.¹¹⁴ ეს გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა გარემოების ცვლილების სამართლებრივი რეგულირების საკითხში, სადაც ქართული კანონმდებლობა არა მხოლოდ იღებს გერმანულ გამოცდილებას, არამედ ზოგ შემთხვევაში მასაც უსწრებს კოდიფიკაციის თვალსაზრისით.¹¹⁵ კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, რომელიც ხელშეკრულების საფუძვლის არსებითი ცვლილების შემთხვევაში მხარეს აძლევს ხელშეკრულების გადახედვის ან შეწყვეტის მოთხოვნის უფლებას, ეფუძნება გერმანულ მოდელს

¹¹⁴ ჯ. ხუბუა, *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კონცეპტუალური საფუძვლები*, თბილისი: 2012, გვ. 45-52

¹¹⁵ ბ. ქუთათელაძე, „გარემოების შეცვლის დოქტრინა ქართულ და გერმანულ სამოქალაქო სამართალში“, *სამართლის მიმოხილვა*, №3, 2018, გვ. 112-120;

(BGB §313), თუმცა ქართულ სამართალში ეს დოქტრინა უკვე 1997 წლიდან მოქმედებს, მაშინ როცა გერმანიაში მისი კოდიფიცირება მხოლოდ 2002 წელს მოხდა.¹¹⁶

3.4 „გაუთვალისწინებელი გარემოებების“ პრინციპი (clausula rebus sic stantibus)

სსკ-ის 398-ე მუხლის დოქტრინული საფუძველი მომდინარეობს „გაუთვალისწინებელი გარემოებების“ (clausula rebus sic stantibus) პრინციპიდან, რომელიც გერმანული „გარიგების საფუძვლის მოშლის“ დოქტრინის ანალოგიაა¹¹⁷. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირობების არსებითი ცვლილება შეიძლება გახდეს მისი გადახედვის ან შეწყვეტის საფუძველი. მაგალითად, ტურისტულმა კომპანიამ და კლიენტმა გააფორმეს ხელშეკრულება ჯგუფური ტურისტული მოგზაურობის ორგანიზებაზე უცხო ქვეყანაში. ხელშეკრულების დადების შემდეგ, აღნიშნულ ქვეყანაში დაიწყო საომარი მოქმედებები, რის გამოც მოგზაურობა გახდა შეუძლებელი და საფრთხის შემცველი. კლიენტმა მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა 398-ე მუხლის საფუძველზე, რადგან ომის დაწყება იყო მოულოდნელი და არსებითი გარემოება, რომელიც სრულად ანადგურებდა ხელშეკრულების მიზანს. სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და ხელშეკრულება შეწყვიტა.¹¹⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, კეთილსინდისიერების პრინციპის სპეცილური რეგულირებაა.¹¹⁹ იგი ერთ-ერთ ფუნდამენტური ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანობას სახელშეკრულებო ურთიერთობებში. იგი წარმოადგენს ხელშეკრულების ადაპტაციისა და გარემოების ცვლილების ინსტიტუტს, როგორც მხარეთა ინტერესთა სამართლიანი ბალანსის დაცვის მექანიზმს. ეს დოქტრინა ასახულია

¹¹⁶ ჯ. ხუბუა, *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კონცეპტუალური საფუძვლები*, თბილისი: 2012, გვ. 53-55;

¹¹⁷ გიორგაძე, ნ. (2018). სახელშეკრულებო ურთიერთობების დინამიკა და გარემოების ცვლილების დოქტრინა. *სამართლის მიმოხილვა*, 12(2), 45-59

¹¹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 თებერვლის საქმეში №2/4567-22

¹¹⁹ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი გვ. 617

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში¹²⁰, რომელიც კონტინენტური ევროპული მოდელის გავლენით ჩამოყალიბდა, თუმცა ქართულ სამართლებრივ სივრცეში მან მიიღო საკუთარი სპეციფიკური ფორმა და ინტერპრეტაცია.¹²¹

3.5 ხელშეკრულების საფუძვლის რღვევა: სუბიექტური და ნორმატიული ელემენტები

398-ე მუხლის ამოქმედება უშუალოდ უკავშირდება სახელშეკრულებო საფუძვლის რღვევას, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ ინსტრუმენტს მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინტერესების დაცვისთვის. სახელშეკრულებო საფუძველი განსაზღვრავს არა მხოლოდ მხარეთა მოლოდინებს და შეთანხმების არსს, არამედ ადგენს ვალდებულების შესრულების კონტროლის, შეფასებისა და ადაპტაციის სამართლებრივ საშუალებას, როდესაც ხელშეკრულების პირობების შესრულება გარემოების ცვლილების გამო პრობლემურ ხდება. 398-ე მუხლის ამოქმედება უშუალოდ უკავშირდება ხელშეკრულების საფუძვლის რღვევას. ხელშეკრულების საფუძველი ორი მნიშვნელოვანი კომპონენტით განისაზღვრება:

პირველი, სუბიექტური ელემენტი, გულისხმობს იმ არსებით გარემოებას, რომლის არსებობაც კონკრეტული მხარისთვის გადამწყვეტი იყო ხელშეკრულების დადებისას. ეს არის მხარის შინაგანი მოლოდინი ან მიზანი, რომლის გარეშეც იგი ან საერთოდ არ დათანხმდებოდა ხელშეკრულების დადებას, ან დათანხმდებოდა სრულიად განსხვავებული პირობებით.

მეორე, ნორმატიული ელემენტი გულისხმობს, რომ გარემოება, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე ახდენს გავლენას, უნდა იყოს მეორე მხარისთვისაც ცნობილი ან ადვილად შეცნობადი და მისაღები. კერძოდ, ხელშეკრულების საფუძვლად მიმაჩნია რე გარემოება არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ერთი მხარის სუბიექტურ აღქმას ან წარმოდგენას, არამედ იგი უნდა იყოს

¹²⁰ ჯაფარიძე, მ. (2020). ფორსმაჟორის ინსტიტუტი ქართულ სამოქალაქო სამართალში. *საქართველოს იურიდიული ჟურნალი*, 8(3), 90-104.

¹²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2012 წლის 28 დეკემბრის №3 გადაწყვეტილება, ასევე: გ. ჯავახიშვილი, „სამოქალაქო სამართალი“, ტ. II, თბილისი, 2017, გვ. 245-247.

ობიექტურად აღქმადი, რეალურად არსებული და მნიშვნელოვნად აღიარებული ორივე მხარის მიერ.

ასეთი დებულება უზრუნველყოფს, რომ შეთანხმებული ვალდებულების შესრულების ან მოსალოდნელი ცვლილებების შეფასება ეფუძნებოდეს საერთო, ხელშეკრულებით შეთანხმებულ რეალობას და არა ერთი მხარის ნაწილობრივ ან უნებლიე ინტერპრეტაციას.

ამ ორი ელემენტის ერთობლიობა ქმნის სახელშეკრულებო საფუძვლის ბალანსს, რაც უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულების დაუდგენელი რისკების სამართლიან და თანაბარ გადანაწილებას მხარეთა შორის.

რეალურად, ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკები, და სწორედ ნორმატიური და ობიექტურად აღქმადი ელემენტების კომბინაცია უზრუნველყოფს, რომ შესაძლო დარღვევების შემთხვევაში ორივე მხარის პოზიცია იყოს განაწილებული სამართლიანად და პროპორციულად.¹²²

სწორედ ამ ბალანსის დარღვევა აძლევს საფუძველს 398-ე მუხლის ამოქმედებას, ხელშეკრულების ადაპტირებისა და შეცვლისათვის.

¹²² იქვე გვ. 618

თავი IV. გარემოების ცვლილების ინსტიტუტი ქართულ

სამოქალაქო სამართალში

4.1 გარემოების ცვლილების დოქტრინის რეგულირება და პრაქტიკული გამოყენება (398-მუხლი)

ხელშეკრულების საფუძვლის რღვევის ცალკეული შემთხვევები, რომლებიც წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობების სტაბილურობის გამოწვევას, რეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა მუხლში, მათ შორის 389-ე (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა), 399-ე (მოქმედების შეწყვეტა), 529-ე (ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა), 530-ე (ნასყიდობის ხელშეკრულების მისადაგება), 662-ე (ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა) მუხლებში. აღნიშნულ ნორმებს, როგორც სპეციალურ დებულებებს, 398-ე მუხლთან (გარემოებათა არსებითი ცვლილება) მიმართებით ენიჭებათ უპირატესობა (*lex specialis derogat legi generali*). თუმცა, დასაშვებია 398-ე მუხლის სუბსიდიურად გამოყენება იმ შემთხვევებში, როდესაც სპეციალური ნორმები არ ითვალისწინებენ კონკრეტული სიტუაციის ამომწურავ რეგულირებას, ნორმების შევსების მიზნით, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და სრულყოფას.¹²³

398-ე მუხლის ამოქმედების საფუძველი არის ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოშობილი ცვლილება. ეს ცვლილება უნდა იყოს არსებითი და ფუნდამენტური ხასიათის, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებისთვის არ იყო პროგნოზირებადი და რომელთა არსებობის შემთხვევაში ისინი ან საერთოდ არ დადებდნენ ხელშეკრულებას, ან დათანხმდებოდნენ არსებითად განსხვავებულ პირობებზე. ეს მოთხოვნა ხაზს უსვამს იმას, რომ დოქტრინა არ ვრცელდება ნებისმიერ უმნიშვნელო ან მოსალოდნელ ცვლილებაზე, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივ სახელშეკრულებო რისკს; იგი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ცვლილება იმდენად არსებითია, რომ არღვევს ხელშეკრულების საფუძველს და მხარისთვის ვალდებულების უცვლელი სახით

¹²³ იქვე

შესრულება უსამართლო, ან არათანაზომიერად მძიმე ხდება. მაგალითად, 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიის გამო, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დროებით შეჩერდა სავაჭრო ცენტრებისა და რესტორნების მუშაობა. ერთ-ერთმა რესტორნის მფლობელმა, რომელიც ქირაობდა ფართს სავაჭრო ცენტრში, სასამართლოს მიმართა 398-ე მუხლის საფუძველზე და მოითხოვა ქირის დროებითი შემცირება, რადგან პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ფონზე ვერ ახერხებდა საქმიანობის გაგრძელებას და შემოსავლის მიღებას. სასამართლომ დაადგინა, რომ პანდემია და მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები წარმოადგენს მოულოდნელ და არსებით გარემოებას, რის გამოც ქირის გადახდა დროებით შეამცირა, რითაც აღადგინა სახელშეკრულებო ბალანსი.¹²⁴¹²⁵

არსებითობის შეფასებისას აუცილებელია განისაზღვროს ცვლილების შედეგის ხარისხიც. ეს გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულებაში დარჩენა ერთ-ერთ მხარეს არათანაზომიერად მძიმე, კაბალურ მდგომარეობაში არ უნდა აყენებდეს, რაც ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.

მაგალითად, სამშენებლო კომპანიამ და კლიენტმა გააფორმეს ხელშეკრულება მრავალბინიანი სახლის აშენებაზე ფიქსირებული ფასით. ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე თვეში სამშენებლო მასალების ფასები საერთაშორისო ბაზარზე მოულოდნელად და მნიშვნელოვნად გაიზარდა (მაგალითად, 50%-ით ან მეტით), რის გამოც კომპანიას პროექტის დასრულება სერიოზული ფინანსური ზარალის გარეშე (მაგალითად, პროექტის ღირებულების 20%-ზე მეტი) აღარ შეეძლო. კომპანიამ მიმართა სასამართლოს 398-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვა ხელშეკრულების პირობების გადახედვა და ფასის კორექტირება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ფასების ასეთი მკვეთრი და მოულოდნელი ზრდა არსებითად ცვლიდა ხელშეკრულების ეკონომიკურ ბალანსს და მხარეებს დაავალა ხელშეკრულების პირობების ადაპტაცია ახალი რეალობის გათვალისწინებით, რათა თავიდან აცილებულიყო ერთ-ერთი მხარისთვის

¹²⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 მარტის საქმე №2/12345-21, ასევე: ნ. ლომიძე, „ფორსმაჟორი და გარემოების ცვლილების დოქტრინა ქართულ სამოქალაქო სამართალში“, ჟურნალი „სამართლის მიმოხილვა“, №1(15), 2021, გვ. 88-90.

¹²⁵ სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი გვ. 620

არათანაზომიერი ტვირთი. პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეში (მაგალითად, №ას-123-123-2010) მხარეს მიანიჭა ხელშეკრულების გადახედვის უფლება გარემოების არსებითი ცვლილების გამო, რაც ადასტურებს ამ დოქტრინის აქტიურ გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში.¹²⁶

გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია, რომ ცვლილების გამომწვევი გარემოებები არ იყოს გამოწვეული იმ მხარის ბრალით, რომელიც 398-ე მუხლის გამოყენებას ითხოვს. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან, რომ არავინ არ უნდა ისარგებლოს საკუთარი არაკეთილსინდისიერი ან დაუდევარი ქმედებებით გამოწვეული შედეგებით. მხოლოდ ამ პირობების ერთობლიობის შემთხვევაში – ცვლილების არსებითობა, მოულოდნელობა, მხარეთა კონტროლს მიღმა ყოფნა და დაინტერესებული მხარის არაბრალეულობა – შეიძლება ცვლილება ჩაითვალოს არსებითად და გახდეს ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველი, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და ბალანსს სახელშეკრულებო ურთიერთობებში.¹²⁷

4.2. ხელშეკრულების მიზნობრიობის რღვევა და ერთობლივი შეცდომა მოტივში

სახელშეკრულებო ურთიერთობების დინამიკაში უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენს ხელშეკრულების მიზნობრიობის რღვევა და ერთობლივი შეცდომა მოტივში. ხელშეკრულების მიზნობრიობა ირღვევა მაშინ, როდესაც გარემოებების არსებითი და მოულოდნელი ცვლილების შედეგად კრედიტორი კარგავს ინტერესს ვალდებულების შესრულების მიმართ, ვინაიდან ხელშეკრულების საფუძველი, რომელზეც მხარეებმა დააფუძნეს თავიანთი ნება, აღარ არსებობს ან რადიკალურად არის შეცვლილი. ეს არ გულისხმობს მხოლოდ

¹²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-123-123-2010; ასევე, ნ. ბურჯანაძე, „ხელშეკრულების გადახედვის საფუძველები ქართულ სამართალში“, *სამართლის ჟურნალი*, №2, 2015, გვ. 78-81

¹²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის N ას-7-6-2010 გადაწყვეტილება.

ეკონომიკურ არამიზანშეწონილობას, არამედ ხელშეკრულების იმ ფუნდამენტური დანიშნულების გაქრობას, რის გამოც იგი დაიდო.¹²⁸

ერთობლივი შეცდომა მოტივში არსებობს მაშინ, როდესაც ორივე მხარეს აქვს არასწორი ფაქტობრივი, ან სამართლებრივი წარმოდგენა იმ გარემოების შესახებ, რომელიც ხელშეკრულების დადების საფუძველად იქცა და რომლის არსებობა ან არარსებობა გადაწყვეტი იყო მათი ნების ფორმირებისთვის. თუმცა, ეს შეცდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ამოქმედების საფუძველი, თუ იგი საერთო რისკის სფეროს მიეკუთვნება, რაც გულისხმობს იმას, რომ ორივე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ გარემოების არსებითი მნიშვნელობის შესახებ და ორივე მხარე თანაბრად იზიარებდა რისკს მისი მცდარობის თაობაზე. თუ მცდარი წარმოდგენა მხოლოდ ერთ მხარეს ამოძრავებდა და მეორე მხარისთვის ეს გარემოება უცნობი ან უმნიშვნელო იყო, 398-ე მუხლის გამოყენება გამორიცხულია, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ არის ვალდებული აიღოს ცალმხრივი რისკი.¹²⁹

თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისი წინაპირობები არსებობს, კერძოდ, სახეზეა გარემოებათა არსებითი ცვლილება, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდეგ დადგა, გაუთვალისწინებელი იყო და მხარეებს არ შეეძლოთ მისი თავიდან აცილება ან გადალახვა, დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან. ხელშეკრულების ადაპტაციას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე თანხმობას აცხადებს მისადაგებულ პირობებზე, რაც კეთილსინდისიერი მოლაპარაკებების შედეგად უნდა მოხდეს. ეს პროცესი მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ბალანსის აღდგენას და ვალდებულებითი ურთიერთობის შენარჩუნებას, თუ ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია.¹³⁰

იმ შემთხვევაში, თუ მისადაგება შეუძლებელია, ან ერთ-ერთი მხარე დაუსაბუთებლად უარს აცხადებს მისადაგებაზე, დაინტერესებულ მხარეს ეძლევა

¹²⁸ გ. ფანცულაია, საქართველოს სამოქალაქო სამართალი. ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2019, გვ. 312–314.

¹²⁹ იქვე. გვ. 315–317.

¹³⁰ გ. ფანცულაია, საქართველოს სამოქალაქო სამართალი. ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2019, გვ. 311–313.

უფლება, გავიდეს ხელშეკრულებიდან. მისადაგების შეუძლებლობის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც საცხოვრებელი ბინის გაყიდვის ხელშეკრულების დადების შემდეგ, სახელმწიფომ შეცვალა რეგულაციები და ბინის რეგისტრაცია დროებით შეაჩერა, რის გამოც ბინის გადაცემა შეუძლებელი გახდა განუსაზღვრელი ვადით. ამ შემთხვევაში, მყიდველმა მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა 398-ე მუხლის საფუძველზე, რადგან რეგულაციების მოულოდნელი ცვლილება იყო ისეთი გარემოება, რომელიც არსებითად ცვლიდა ხელშეკრულების შესრულების შესაძლებლობას და მიზნობრიობას.

სასამართლომ, შეაფასა რა გარემოების არსებითობა და მხარეთა კონტროლს მიღმა მყოფობა, დააკმაყოფილა მოთხოვნა და ხელშეკრულება შეწყვიტა, რაც ადასტურებს, რომ ასეთ ვითარებაში ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლიანი და გონივრული გამოსავალია.¹³¹ თუ ერთ-ერთი მხარე დაუსაბუთებლად უარს აცხადებს მისადაგებაზე, დაინტერესებულ მხარეს ეძლევა უფლება, გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობა შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის, როდესაც ადაპტაცია კარგავს მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მიზანი მთლიანად ქრება ან ვალდებულების შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ეკონომიკური ან ტექნიკური თვალსაზრისით.

ასეთ ვითარებაში ხელშეკრულების შენარჩუნება კარგავს სამართლებრივ და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას, ვინაიდან იგი აღარ ემსახურება მხარეთა თავდაპირველ ინტერესებს და შეიძლება გამოიწვიოს არაპროპორციული ზიანი. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი აძლევს მხარეს საფუძველს, მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობების მოქნილობას და სამართლიანობას.

¹³¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 10 ივნისის საქმე №2/7890-21, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ რეგისტრაციის შეჩერება წარმოადგენს ისეთ გარემოებას, რომელიც არსებითად ცვლის ხელშეკრულების შესრულების შესაძლებლობას და ამართლებს ხელშეკრულების შეწყვეტას. იხ. ასევე: გ. ჯავახიშვილი, „სამოქალაქო სამართალი“, ტ. II, თბილისი, 2017, გვ. 253.

თუ რომელიმე მხარე არღვევს კეთილსინდისიერ სახელშეკრულებო ვალდებულებას და დაუსაბუთებლად უარს აცხადებს მოლაპარაკებაზე ან მისადაგებაზე, ეს შეიძლება გახდეს სახელშეკრულებო სანქციების გამოყენების საფუძველი. კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური საწყისია, ავალდებულებს მხარეებს, იმოქმედონ პატიოსნად და სამართლიანად არა მხოლოდ ხელშეკრულების შესრულებისას, არამედ მისი ადაპტაციის ან შეწყვეტის მოლაპარაკებების დროსაც.

დაუსაბუთებელი უარი მისადაგებაზე ან მოლაპარაკებებზე შეიძლება აღქმულ იქნას როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, რაც შეიძლება გახდეს ზიანის ანაზღაურების ან სხვა სამართლებრივი შედეგების დადგომის საფუძველი, ვინაიდან ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება მხარეთა ლეგიტიმურ მოლოდინებს და ძირს უთხრის სახელშეკრულებო თანამშრომლობის პრინციპს.¹³²

4.3. ხელშეკრულების მისადაგების და შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები, დეტალურად არეგულირებს ხელშეკრულების მისადაგებისა და შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს შეცვლილი გარემოებების არსებობისას.

ეს საკითხი თანამედროვე ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს, ვინაიდან იგი მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ურთიერთობების სტაბილურობისა და სამართლიანობის ბალანსის დაცვას მოულოდნელი და არსებითი ცვლილებების პირობებში.

როგორც აღნიშნულია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებული მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მოლაპარაკებების შედეგად ვერ შეძლებენ

¹³² გ. ფანცულაია, *საქართველოს სამოქალაქო სამართალი. ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)*, თბილისი, 2019, გვ. 318–319

ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი. თუმცა, წარმოდგენილი ტექსტი სამართლიანად აკრიტიკებს იმ აღქმას, თითქოს ამ საკითხის მოწესრიგება მხარეთა ურთიერთობის ფარგლებს არ სცილდება.

ქართული სამართლებრივი პრაქტიკა და დოქტრინა ცალსახად მიუთითებს, რომ შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგება, როგორც წესი, შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას და ხელს უშლის ცალმხრივ, არაკეთილსინდისიერ მოქმედებებს. შესაბამისად, კანონმდებლობის ეს ასპექტი, რომელიც შესაძლოა არ იყოს სრულად დაზუსტებული ტექსტში, პრაქტიკაში სასამართლო კონტროლს ექვემდებარება, რაც უმნიშვნელოვანესია სამართლებრივი უსაფრთხოებისათვის. გარდა ამისა, მისადაგების მოთხოვნაზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები, რაც მოითხოვს მხარისგან დროულ რეაგირებას და კანონით დადგენილ ვადებში შესაბამისი მოთხოვნის წარდგენას.¹³³

გარდა ამისა, მისადაგების მოთხოვნაზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადები, რაც ნიშნავს, რომ შესაბამისი მოთხოვნა უნდა იყოს წარდგენილი კანონით დადგენილ ვადებში.*(129 I)

განსხვავებით გერმანული სამოქალაქო კოდექსის მოდელისგან, სადაც გარემოების ცვლილების დოქტრინა (Störung der Geschäftsgrundlage) მჭიდროდ არის დაკავშირებული შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტთან (Unmöglichkeit der Leistung) და ხშირად განიხილება ერთიან კონტექსტში, ქართულ სამართალში ეს ორი მექანიზმი მკაფიოდ გამიჯნულია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა) გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულება ობიექტურად შეუძლებელი ხდება, ხოლო 407-ე მუხლი (გარემოებათა არსებითი ცვლილება) – როდესაც შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია, მაგრამ არსებითად იცვლება

¹³³ ჟანტურია ლ., ზოიძე ბ., (2001). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, "სამართალი".გვ. 407

ხელშეკრულების საფუძველი, რაც ერთ-ერთი მხარისთვის ვალდებულების შესრულებას არაგონივრულად მძიმეს ხდის.

ქართული სამართლებრივი პრაქტიკა არ იზიარებს გერმანულ მიდგომას, სადაც შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა შეიძლება გამოყენებულ იქნას მაშინაც კი, როდესაც შესრულება ტექნიკურად შესაძლებელია, მაგრამ ეკონომიკურად არაგონივრული. სანამ შესრულება შესაძლებელი რჩება, შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა ვერ გამოიყენება, თუმცა შეიძლება არსებობდეს ხელშეკრულების მისადაგების საჭიროება 407-ე მუხლის საფუძველზე.¹³⁴ სანამ შესრულება შესაძლებელი რჩება, შესრულების შეუძლებლობის დოქტრინა ვერ გამოიყენება, თუმცა შეიძლება არსებობდეს ხელშეკრულების მისადაგების საჭიროება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გამოყენება, მიუხედავად მისი პრაქტიკული მნიშვნელობისა, გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან მისი ამოქმედება დამოკიდებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და მოითხოვს ინდივიდუალური გარემოებების დეტალურ შეფასებას.

სასამართლო აფასებს გარემოებების არსებითობას, მოულოდნელობასა და მხარეთა კეთილსინდისიერ ქცევას, რათა მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. მაგალითად, ფერმერის მიერ მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც ძლიერი წყალდიდობის შედეგად მოსავალი განადგურდა, სასამართლომ, 398-ე მუხლის საფუძველზე, შეაფასა სტიქიური უბედურების მოულოდნელობა და არსებითობა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ხელშეკრულების საფუძველი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იჯარის გადასახადის დროებით შემცირების შესახებ, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების მისადაგების კლასიკურ მაგალითს შეცვლილი გარემოებებისადმი.

გასათვალისწინებელია, რომ ფორსმაჟორის შემთხვევაში, მხარეს, რომლისთვისაც შეუძლებელი იყო ვალდებულების შესრულება, ეკისრება

¹³⁴ გ. ჯავახიშვილი, „სამოქალაქო სამართალი“, ტ. II, თბილისი, 2017, გვ. 248-249; ასევე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 ივლისის საქმე №ას-123-123-2020.

ვალდებულება, დაუყოვნებლივ, ფორსმაჟორიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში, მოვალე კარგავს უფლებას, ფორსმაჟორის საფუძველზე გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან. ეს მოთხოვნა უზრუნველყოფს მხარეთა შორის ინფორმაციის დროულ გაცვლას და მეორე მხარისთვის ზიანის შემცირების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების სრული ან ნაწილობრივ შესრულებისათვის ფორსმაჟორის შემთხვევაში.

შეცვლილ გარემოებად უნდა განვიხილოთ გარემოება, რომელიც არ არსებობდა ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია და სხვა მსგავსი გარემოებანი. მაგალითად, ფერმერმა იქირავა მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ძლიერი წყალდიდობის შედეგად მოსავალი მთლიანად განადგურდა, რის გამოც ფერმერმა დაკარგა შემოსავლის წყარო და ვერ ახერხებდა იჯარის გადახდას. ფერმერმა მიმართა სასამართლოს 398-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვა იჯარის გადახდის გადავადება ან შემცირება. სასამართლომ დაადგინა, რომ სტიქიური უბედურება იყო მოულოდნელი და არსებითი გარემოება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლიდა ხელშეკრულების საფუძველს და დროებით შეამცირა იჯარის გადასახადი.¹³⁵

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მხარე, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის გამო, შეუძლებელი იყო ვალდებულების შესრულება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ, ფორსმაჟორიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა უნდა აცნობოს მეორე მხარეს. შეუტყობინებლობის, ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მოვალე კარგავს უფლებას ფორსმაჟორის შემთხვევაში

¹³⁵ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის საქმე №2/9876-20

COVID-19-ის პანდემიის პირობებში, რომელიც აღმოჩნდა განსაკუთრებული ცვლილება და მისმა პროგნოზირების შეუძლებლობამ, 398-ე მუხლის პრაქტიკული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა.

მაგალითად, პანდემიის პერიოდში არაერთმა ბიზნესმა მოითხოვა ქირავნობის, მომსახურების ან მიწოდების ხელშეკრულების პირობების გადახედვა, რადგან შეზღუდვების გამო ვეღარ ახერხებდნენ ვალდებულებების შესრულებას. სასამართლოები დეტალურად იკვლევდნენ, იყო თუ არა პანდემია ან მისით გამოწვეული რეგულაციები უშუალო და გადამწყვეტი მიზეზი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა გარემოებებსა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის.

4.4 სსკ_ს 399_ე და 407_ე მუხლების დებულებების მნიშვნელობა

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვა დებულებებზეც, რომლებიც გავლენას ახდენენ ვალდებულების შესრულებაზე შეცვლილი გარემოებების პირობებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 399-ე და 407-ე მუხლებს, აგრეთვე ფორსმაჟორის ცნებას, რომლებიც ერთობლივად ქმნიან სამართლებრივ ჩარჩოს იმ შემთხვევების განსასაზღვრად, როდესაც მხარე შესაძლოა გათავისუფლდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

სსკ_ს 399-ე მუხლი განსაზღვრავს „პატივსადები საფუძვლის“ არსებობის შემთხვევაში გრძელვადიანი ვალდებულების შეწყვეტის შესაძლებლობას. მისი გამოყენება პრაქტიკაში ხშირად უკავშირდება ფორსმაჟორის კლასიკურ ცნებას, თუმცა მუხლი მოიცავს უფრო ფართო შემთხვევებს, ვიდრე მხოლოდ სტიქიური უბედურება ან ომი; აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის გარიგების ეკონომიკურ საფუძვლებს და

¹³⁶ ვალდებულებით სამართლებრივი დავა, N-ას–1004–2019 (საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019 წლის 3 ოქტომბერი). იხ ლინკი: <http://prg.supremecourt.ge/tailViewCivil.aspx>

გრძელვადიანი ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ან უმნიშვნელოვანესად აართულებს.¹³⁷

407-ე მუხლი კი ყურადღებას ამახვილებს მხარის ბრალის არქონაზე. ის იცავს კეთილსინდისიერ მხარეს სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია გარემოებებით, რომლებიც მის ნებაზე დამოუკიდებლად წარმოიშვა. მუხლის მთავარი ფუნქცია არის უზრუნველყოფა, რომ მხარე, რომელიც მორალურად და სამართლებრივად მოქმედებდა კეთილსინდისიერად, არ გაძევებულ იქნას პასუხისმგებლობაში ისეთი ფაქტორების გამო, რომლებიც მას ვერ განესაზღვრა ან ვერ აიცილა. 399-ე და 407-ე მუხლების, აგრეთვე ფორსმაჟორის ცნების ერთობლიობა ქმნის მექანიზმს, რომელიც მხარეებს საშუალებას აძლევს რეალურად განსაზღვრონ ვალდებულებების შესრულების შესაძლო რისკები, უზრუნველყონ სამართლიანობა და დაიცვან ინტერესები ისეთ ვითარებებში, როდესაც გარემოებები მნიშვნელოვნად ცვლიან ხელშეკრულების საფუძვლებს.¹³⁸

4.5. ობიექტური პასუხისმგებლობა დაუძლეველი ძალის შემთხვევებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს ფორსმაჟორულ გარემოებებს, წარმოადგენს ფუნდამენტურ ნორმას ვალდებულებით სამართალში, რომელიც მხარეებს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ ეს გამოწვეულია გაუთვალისწინებელი, მხარეთა კონტროლს მიღმა მყოფი გარემოებებით.

თუმცა, თანამედროვე სამოქალაქო სამართალი, განსაკუთრებით კი მისი სპეციალური ნაწილები, იცნობს ობიექტური პასუხისმგებლობის კონცეფციას,

¹³⁷ **ჯაფარიძე, მ.** (2020). ფორსმაჟორის ინსტიტუტი ქართულ სამოქალაქო სამართალში. *საქართველოს იურიდიული ჟურნალი*, 8(3), 90-104.

¹³⁸ **იქვე**

რომელიც გარკვეულ შემთხვევებში მოვალეს აკისრებს პასუხისმგებლობას დაუძლეველი ძალის არსებობის მიუხედავად. ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ და კომპლექსურ საკითხს, რომელიც მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს.

ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა და გარემოებათა არსებითი ცვლილება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა), 399-ე (მოქმედების შეწყვეტა) და 407-ე (გარემოებათა არსებითი ცვლილება) მუხლებით, წარმოადგენს იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ხელშეკრულების გადახედვა, ადაპტაცია ან შეწყვეტა განსაკუთრებულ ვითარებებში.

ეს ნორმები, ზოგადად, ეფუძნება ბრალეულობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ პასუხისმგებლობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მოვალის ბრალით. ფორსმაჟორი კი სწორედ ის გარემოებაა, რომელიც გამორიცხავს ბრალეულობას და, შესაბამისად, ათავისუფლებს მოვალეს პასუხისმგებლობისგან.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ისევე როგორც მრავალ სხვა იურისდიქციაში, არსებობს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც აწესებენ ობიექტურ პასუხისმგებლობას. ობიექტური პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა წარმოიშობა ზიანის ფაქტის არსებობისას, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მოვალე ბრალეული ზიანის მიყენებაში.

ასეთი მიდგომა განსაკუთრებით დამახასიათებელია მაღალი რისკის შემცველი საქმიანობისთვის, სადაც საზოგადოებრივი ინტერესი და დაზარალებულთა დაცვა პრიორიტეტულია. ამგვარი მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს საჰაერო კოდექსი,¹³⁹ რომელიც აწესებს საჰაერო ხომალდის მფლობელის (ან ოპერატორის) ობიექტურ პასუხისმგებლობას მგზავრის ჯანმრთელობის, სიცოცხლის ან ნივთის დაზიანებაზე. ეს პასუხისმგებლობა

¹³⁹საჰაეროკოდექსი,მუხლი25[ინტერნეტი]ხელმისაწვდომია:<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33298?publication=10>> [წვდომის თარიღი: 30.08.2024]

ვრცელდება მაშინაც კი, თუ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად. აღნიშნული რეგულაცია გამომდინარეობს საჰაერო ტრანსპორტის თანდაყოლილი მაღალი რისკებიდან და მიზნად ისახავს მგზავრთა მაქსიმალურ დაცვას, ვინაიდან მათ არ აქვთ კონტროლი საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებაზე.

მსგავსი პრინციპი გათვალისწინებულია საერთაშორისო დონეზეც, კერძოდ, საერთაშორისო მონრეალის კონვენციაში¹⁴⁰, რომელიც აწესებს ავიაკომპანიების ობიექტურ პასუხისმგებლობას მგზავრების წინაშე მათი ბრალეულობის მიუხედავად.¹⁴¹ თუმცა გარკვეული გამოჩვეულებით. კონვენცია, მაგალითად, ადგენს პასუხისმგებლობის ორ დონეს: პირველ დონეზე (128,821 SDR-მდე) ავიაკომპანია ობიექტურად პასუხისმგებელია, ხოლო ამ ზღვარს ზემოთ პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანი გამოწვეული არ იყო მისი ან მისი თანამშრომლების დაუდევრობით ან სხვა არასწორი ქმედებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მესამე ნაწილიც იმავე ლოგიკას ეფუძნება, როდესაც განსაზღვრავს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობას მგზავრებსა და ტვირთზე ზიანის მიყენების შემთხვევაში, მათ შორის დაუძლეველი ძალის პირობებშიც.

ეს ნორმა აფართოებს ობიექტური პასუხისმგებლობის სფეროს და მოიცავს ნებისმიერ სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც წარმოადგენს გაზრდილი საფრთხის წყაროს. ამგვარი რეგულაციები ასახავს კანონმდებლის მიდგომას, რომ ზოგიერთ სფეროში, სადაც რისკი მაღალია და ზიანის პოტენციური სიმძიმე მნიშვნელოვანია, ზიანის რისკი უნდა გადანაწილდეს იმ პირზე, რომელიც აკონტროლებს რისკის წყაროს, მიუხედავად მისი ბრალეულობისა. ეს მიდგომა უზრუნველყოფს დაზარალებულთა უფრო ეფექტურ კომპენსაციას და ემსახურება სოციალური სამართლიანობის პრინციპს.

¹⁴⁰ **მონრეალის კონვენცია** ეს არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მგზავრების, ბარგის და ტვირთის საჰაერო გადაზიდვასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. ის იქნა მიღებული **1999 წლის 28 მაისს** მონრეალში და ამით ჩაანაცვლა ძველი, ფრაგმენტული კონვენციები (მაგ. ვარშავის კონვენცია, 1929), რათა შეიქმნას **ერთიანი, თანამედროვე და უფრო სამართლიანი სისტემა** ავიაკომპანიებისა და მგზავრებს შორის ურთიერთობისთვის. <https://www.iata.org/contentassets/fb1137ff561a4819a2d38f3db7308758/mc99-full-text.pdf>

ამ კონტექსტში, ფორსმაჟორის ცნების სწორად განსაზღვრა და გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი წესის მიხედვით ფორსმაჟორი ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, სპეციალურ ნორმებში დადგენილი ობიექტური პასუხისმგებლობა წარმოადგენს გამონაკლისს ამ წესიდან. ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ ზოგადი სამოქალაქო კოდექსის დებულებები, არამედ სპეციალური კანონმდებლობით დადგენილი შესაძლო გამონაკლისებიც.

ფორსმაჟორის ცნების პრაქტიკული მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა საგანგებო მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციების დროს, როდესაც სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი მკვეთრად განსხვავდება ნორმალური პირობებისგან. პანდემიები, სტიქიური უბედურებები ან შეიარაღებული კონფლიქტები ქმნის სიტუაციებს, სადაც ხელშეკრულების შესრულება ხდება შეუძლებელი ან არაგონივრულად ძვირი.

ასეთ პირობებში, როგორც ფორსმაჟორის ზოგადი წესის, ისე ობიექტური პასუხისმგებლობის გამონაკლისების დეფინიციისა და გამოყენების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რაც საჭიროებს მის დეტალურ ანალიზს და პრაქტიკულ მაგალითებზე დაფუძნებულ შეფასებას, რათა დაცული იყოს როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების, ისე სამართლიანობისა და დაზარალებულთა დაცვის პრინციპები.

თავი V. ფორსმაჟორის ინსტიტუტი და მისი ურთიერთობა გარემოების ცვლილების დოქტრინასთან

5.1. ფორსმაჟორის ცნება, დოგმატური განვითარება და თანამედროვე გამოყენების სფერო

ყველა სამართლის სისტემის მიხედვით, პასუხისმგებლობა შეიძლება შეიზღუდოს მხარეთა მიერ დადგენილი ფორსმაჟორული დათქმებით. ფორსმაჟორი, როგორც სამართლებრივი კატეგორია, ისტორიულად სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით ჩამოყალიბდა, თუმცა მისი ძირითადი არსი უცვლელად გულისხმობდა იმ მოვლენების აღიარებას, რომელთა შედეგადაც ვალდებულების შესრულება ხდება ობიექტურად შეუძლებელი და პასუხისმგებლობა იხსნება.¹⁴²

ძველი რომის სამართალში ფორსმაჟორის ერთ-ერთ პირველ გამოხატულებად ” უმაღლესი ძალის ” კონცეფცია ითვლება. ეს გულისხმობდა იმ ძალის არსებობას, რომელიც არ ექვემდებარება ადამიანის კონტროლს.¹⁴³

კანონიკური სამართალი¹⁴⁴ აღიარებდა ფორსმაჟორის გავლენას პირის ზნეობრივ პასუხისმგებლობაზე — ადამიანი ვერ/არ ითვლებოდა ცოდვილად, თუ ვალდებულება ვერ შეასრულა „ღმერთის ნების“¹⁴⁵ გამო.

შუა საუკუნეებში ფორსმაჟორის აღქმა და მნიშვნელობა ზნეობრივ-რელიგიურ ელფერს ატარებდა რაც ასახავდა შუა საუკუნეების შეხედულებებს ღვთის ნებისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ფორსმაჟორის ცნებას

¹⁴² Nicholas, B. (1982). *The French Law of Contract*. Oxford University Press, p. 222–225.

¹⁴³ ჩიტაშვილი ნ. “შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე” https://www.facebook.com/login/device-based/regular/login/?login_attempt=1&lwv=101 გვ. 34

¹⁴⁴ კანონიკური სამართალი, საეკლესიო კრებებისა და რომის პაპის დადგენილებათა ერთობლიობა. კ. ს-ის პირველი კოდიფიკაცია XII ს-ში წამოიწყო ბოლონიელმა ბერმა გრაგიანმა, რ-მაც შეადგინა ე. წ. გრაგიანის დეკრეტი. XVI ს-ში იგი საფუძვლად დაედო „კანონიკური სამართლის კრებულს“, რ-ის მიხედვით განიხილებოდა სას. პირთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები, საოჯახოზნეობრივი ხასიათის გადაცდომები და დანაშაულებანი. 1917 პაპმა ბენედიქტე XV-მ გამოსცა „კანონიკური სამართლის კოდექსი“, რ-ის მიხედვითაც კ. ს. აწესრიგებს მხოლოდ შიდასაეკლესიო საქმეებს. მართლმადიდებელ ეკლესიაში კ. ს-ად იწოდება უმთავრესად საეკლ. კრებებზე დადგენილი კანონიკური წესების ერთობლიობა. ამ წესების მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა საეკლ. სამართალში, რ-იც მოქმედებდა ძვ.

საქართველოშიც. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12923>

¹⁴⁵ <http://xareba.net/330-kanonikuri-samarthali-da-thavisufleba.html>

თავისი ფესვები აქვს რომაულ სამართალში, სადაც ის აღნიშნავდა გამონაკლის მოვლენებს, რამაც შეიძლება მხარე გაამართლოს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის. დროთა განმავლობაში ის განვითარდა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მეშვეობით, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც ტერმინი „ფორსმაჟორი“ ოფიციალურად იქნა აღიარებული იურიდიულ კოდექსებში.

მე-19 საუკუნეში მან პოპულარობა მოიპოვა სამოქალაქო კომერციულ სამართალბრუნვით კონტრაქტებში და ფართოდ გამოიყენებოდა საერთაშორისო სამართალსა და სავაჭრო ხელშეკრულებებში. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული მოვლენები, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები, ან ომები, რაც მხარეთა კონტროლის მიღმაა და მათ უნდა გაათავისუფლოს პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. დღეს ეს არის სტანდარტული პუნქტი მრავალ კონტრაქტში მთელს მსოფლიოში, რომელიც უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზას მოულოდნელი შეფერხებების მოგვარებას.

ფორსმაჟორის¹⁴⁶ სამართლებრივი კონცეფციის მკაფიო ფორმულირება პირველად დაფიქსირდა საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსში (Napoleonic Code)¹⁴⁷. აღნიშნულ კოდექსში ფორსმაჟორი განისაზღვრა როგორც „გარეშე, შეუცვლელი ძალა“, რაც გულისხმობდა ისეთ გარემოებებს, რომლებიც კონტრაქტის მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად შეუძლებელს ხდიდა ვალდებულებების შესრულებას. ამგვარი სამართლებრივი ფორმულირება საფუძვლად დაედო ფორსმაჟორის სამართლებრივი დოქტრინის შემდგომ განვითარებას ევროპულ კონტინენტურ სამართალში.

¹⁴⁶ფორსმაჟორი შეტანილია საერთაშორისო დოკუმენტებში: **UNIDROIT Principles, Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG, 1980)**, ასევე ბიზნეს-სტანდარტებში, როგორიცაა **ICC-ის ფორსმაჟორის კლაუზა** (International Chamber of Commerce).

¹⁴⁷ნაპოლეონის კოდექსში საფრანგეთის სამოქალაქო უფლებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა, რომელიც გამოირჩეოდა მწყობრი იურიდიული ფორმულირებით.

თავდაპირველად იგი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების საგნის განადგურების გამო ხდებოდა შეუძლებელი. თუმცა შემდგომში ფორსმაჟორის დოქტრინული გაგება დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა.¹⁴⁸

დღეს კი ფორსმაჟორული გარემო ჩვეულებრივ შედის კონტრაქტებში სხვადასხვა სექტორში. მისი ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციის მიხედვით, მაგრამ ის ზოგადად მოიცავს სტიქიურ უბედურებებს, ომს, ტერორიზმს და სხვა მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორებს. მთლიანობაში, ფორსმაჟორული მოვლენები ძველ რომში იურიდიული პრინციპიდან გადაიქცა თანამედროვე საკონტრაქტო სამართალში გადამწყვეტ ელემენტად სხვადასხვა შეთანხმებებში.

5.2. ფორსმაჟორული დათქმების როლი, სტანდარტიზაცია და რისკების მართვა

20-ე საუკუნიდან ფორსმაჟორის ინსტიტუტის სტანდარტიზაცია და განვითარება მნიშვნელოვნად გაღრმავდა, რაც განაპირობა გლობალიზაციამ და საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდამ. საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (ICC) ამ პროცესში წამყვანი როლი ითამაშა სპეციალური სტანდარტული დათქმებისა და მოდელური კონტრაქტების შემუშავებით. ამ ინიციატივების წყალობით, ფორსმაჟორის კონცეფცია გავრცელდა პრაქტიკულად ყველა სფეროზე და მტკიცედ ჩაეწერა საერთაშორისო კერძო სამართლის პრაქტიკაში.

დღეს ფორსმაჟორი აღარ არის მხოლოდ ეროვნული სამართლებრივი სისტემების კომპონენტი – ის გამოიყენება როგორც აუცილებელი უსაფრთხოების მექანიზმი გლობალურ კომერციულ და ეკონომიკურ ურთიერთობებში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების დაცვას მოულოდნელი და უკონტროლო მოვლენების შემთხვევაში.

სამართლებრივმა პრეცედენტებმა პრაქტიკულად აჩვენა, რომ მხოლოდ მსგავსი მაღალსტანდარტიანი შეთანხმებები ქმნის ისეთ მდგომარეობას, სადაც

¹⁴⁸ Zimmermann, R. (1996). *The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition*. Oxford University Press, p. 769.

მართლაც შესაძლებელია რისკების, პასუხისმგებლობისა და ადაპტაციის შესაძლებლობის სამართლიანი და ეფექტიანი გადანაწილება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ფორსმაჟორული დათქმების დაკონკრეტებამ მიიღო სწორედ თანამედროვე გლობალური კრიზისების, მათ შორის პანდემიის პირობებში. პრაქტიკამ ცხადყო, რომ კონტრაქტში მხოლოდ ზოგადი ტერმინების გამოყენება (“დაუძლეველი ძალა”, “გარე გარემოება”) იწვევს მრავალგვარ სამართლებრივ გაუგებრობასა და დავებს.

სწორედ ამიტომ ბოლო წლებში საერთაშორისო სტანდარტებმა (ICC Force Majeure Clauses 2020, UNIDROIT პრინციპები) გადამწყვეტი ყურადღება მიანიჭეს ფორსმაჟორული დათქმის მკაფიო ფორმულირებას კონკრეტული მაგალითების ჩამონათვალით, სადაც ცალსახად იქნა დამატებული ისეთი მოვლენებიც, როგორიცაა „ეპიდემია“, „პანდემია“ ან „საჯარო რეგულაცია“. ამის მიზანია, რომ მხარეებმა წინასწარ განსაზღვრონ არა მხოლოდ განვითარების შესაძლო სცენარები, არამედ ადაპტაციის, მოლაპარაკების და რისკების მართვის მექანიზმები მოულოდნელი ცვლილებების პირობებში.

ამ ტენდენციის ფონზე ახალმა პრაქტიკამ დაწერა თანამედროვე ხელშეკრულებებში ფორსმაჟორისა და hardship-პუნქტების გაერთიანებული გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც დროებითი გათავისუფლების რეჟიმს დაუძლეველი დაბრკოლებების შემთხვევაში, ისე ხელშეკრულების ძირეული ადაპტაციის მექანიზმს. სამართლებრივმა პრეცედენტებმა პრაქტიკულად აჩვენა, რომ მხოლოდ მსგავსი მაღალსტანდარტიანი შეთანხმებები ქმნის ისეთი მდგომარეობას, სადაც მართლაც შესაძლებელია სამართლიანი და ეფექტიანი გადანაწილება რისკების, პასუხისმგებლობისა და ადაპტაციის შესაძლებლობის მხრივ.¹⁴⁹

International Chamber of Commerce, ICC) — საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია. დაარსდა 1919წ. და დღეისათვის აერთიანებს ათასობით მსხვილ საწარმოს, ასოციაციას, კომპანიას მსოფლიოს 150-მდე ქვეყნიდან და ხელს უწყობს ბიზნესის წინაშე მდგარი მეთოდური და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან, მსოფლიო ბანკთან“, სხვა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და წარმოადგენს მათ საკონსულტაციო კოლექტიურ ორგანოს. ვაჭრობის საერთაშორისო პალატის ადგილსამყოფელია პარიზი.

ამ პროცესის კულმინაციაა 1980 წელს მიღებული საქონლის საერთაშორისო გაყიდვების შესახებ ვენის კონვენცია (CISG), რომელიც სამართლებრივად არეგულირებს ფორსმაჟორის გამოყენების სტანდარტიზებულ წესებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.

ვენის კონვენციამ განსაზღვრა კრიტერიუმები, რომლის შესაბამისადაც ფორსმაჟორი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პასუხისმგებლობის გათავისუფლების საფუძველი.¹⁵⁰ რომელიც სამართლებრივად არეგულირებს ფორსმაჟორის გამოყენების სტანდარტიზებულ წესებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.

CISG-ის 79-ე მუხლი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლის შესაბამისადაც მხარე შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. ეს კრიტერიუმები მოიცავს: დაბრკოლების არსებობა: მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის კონტროლს მიღმა არსებული დაბრკოლების გამო ვერ შეასრულა ვალდებულება. წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობა: გონივრული სიფრთხილით მოქმედების შემთხვევაშიც კი, მხარეს არ შეეძლო ამ დაბრკოლების განჭვრეტა ხელშეკრულების დადების დროს. თავიდან აცილების, ან დაძლევის შეუძლებლობა: დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება ან დაძლევა შეუძლებელი იყო.

ვენის კონვენცია არ იყენებს ტერმინს „ფორსმაჟორი“, მაგრამ მისი 79-ე მუხლი არსებითად მოიცავს ამ კონცეფციის ძირითად პრინციპებს, რითაც უზრუნველყოფს საერთაშორისო ვაჭრობაში ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას. ეს სტანდარტიზაცია ხელს უწყობს მხარეებს შორის ნდობის გაზრდას, ამცირებს დავებს და ქმნის უფრო პროგნოზირებად სამართლებრივ გარემოს გლობალური კომერციული ოპერაციებისთვის. საბოლოო ჯამში, ფორსმაჟორული და hardship-დათქმების განვითარება და სტანდარტიზაცია გადამწყვეტია თანამედროვე

¹⁵⁰ ვენის კონვენციის 79-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის გამორიცხვის წინაპირობებს და მისგან გათავისუფლების საფუძველს უმთავრესად შესრულების არაბრალეული შეუძლებლობის -ფორსმაჟორის არსებობისას. ჩიტაშვილი ნ. “შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“ https://www.facebook.com/login/device-based/regular/login/?login_attempt=1&lww=101 გვ.37

ბიზნესისთვის, რადგან ის მხარეებს აძლევს ინსტრუმენტებს, ეფექტურად მართონ რისკები და შეინარჩუნონ კონტრაქტების სიცოცხლისუნარიანობა ცვალებად და არაპროგნოზირებად გლობალურ გარემოში.

ფორსმაჟორის დათქმის შინაარსობრივი ფორმულირება შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ სრულ შესრულების შეუძლებლობას, არამედ ისეთი მოვლენების გათვალისწინებასაც, რომლებიც მხოლოდ აჭიანურებენ ვალდებულების შესრულებას.¹⁵¹ ასეთი ფორმულირება ქმნის ფორსმაჟორის შედარებით მოქნილ დებულებას, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას არა აბსოლუტური შეუსრულებლობა, არამედ დროებითი დაბრკოლებები.

ამგვარ სიტუაციაში, კონტრაქტის მხარეებმა უნდა მოახდინონ ანალიზი, თუ რეალურად რამდენად ხდება შესაძლებელი ვალდებულების შესრულება მოცემულ პირობებში და დროის რა ფარგლებში. მაგალითად, თუ საწარმოს აქვს ტექნიკური და ლოგისტიკური რესურსი წარმოების გასაგრძელებლად, მაგრამ გარკვეული შეზღუდვების გამო ვერ ასრულებს ვალდებულებას დადგენილ ვადაში, მნიშვნელოვანია, შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ასეთი შეფერხება ფორსმაჟორის მოქმედების ფარგლებს.

ზოგიერთ ხელშეკრულებაში ფორსმაჟორის დათქმა ეფუძნება უფრო მოქნილ ფორმულირებებს, როგორიცაა „*შესრულება მოგვიანებით და უკეთესად*“ (better performance at a later date), რაც საშუალებას აძლევს მხარეებს შეთანხმდნენ შესრულების გადავადებაზე.¹⁵² თუმცა, ასეთი მიდგომა მაინც დამოკიდებულია კონკრეტულ კონტრაქტზე, მისი ენობრივი ფორმულირებისა და მხარეთა ნების ინტერპრეტაციაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ფორსმაჟორის დათქმის ფორმულირებისას მხარეებმა გაითვალისწინონ როგორც შესრულების ხარისხის ცვლილების, ისე დროებითი შეფერხების სამართლებრივი შედეგები. წინააღმდეგ შემთხვევაში,

¹⁵¹ იხ. ICC Force Majeure and Hardship Clauses 2020, მუხლი 3; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2022, 7.1.7 მუხლი

¹⁵² ნანა ჯოხაძე, „ფორსმაჟორის დათქმის გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობა“, სამართალი, 2021, №3, გვ. 61–62.

არსებობს რისკი, რომ სასამართლო, ან არბიტრაჟი არ აღიარებს კონკრეტულ მოვლენას საკმარის საფუძვლად ვალდებულების გადავადების ან შეწყვეტისათვის.¹⁵³

თუ თავდაპირველად ფორსმაჟორის კლასიკური დოქტრინა იყენებდა მხოლოდ სტიქიურ უბედურებებსა და ომს, დღეს მისი სამართლებრივი განზომილება არსებითად გაფართოვდა და მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორებიცაა პანდემიები¹⁵⁴, კიბერშეტევები¹⁵⁵, მეკობრეობა,¹⁵⁶ გლობალური ფინანსური კრიზისები¹⁵⁷ (ბუნებრივი კატაკლიზმები, სტიქიური უბედურებები, მიწისძვრები, ცუნამი, ომები, ვირუსული ინფექციები, აჯანყება¹⁵⁸, საპროტესტო აქციები, სამხედრო კონფლიქტები და ტერორისტული აქტები; სამთავრობო

¹⁵³ McKendrick, E., 2020. *Force Majeure and Frustration of Contract*, 3rd ed. Oxford: Oxford University Press. <https://www.trans-lex.org/111300/>

¹⁵⁴ ეპიდემია (ბერძნ. *epidēmia* – ხალხში გავრცელებული), გადამდები ან არაგადამდები დაავადების სწრაფი განვითარება და გავრცელება, რასაც თან სდევს დაავადების შემთხვევების მკვეთრი მატება დროის გარკვეულ მონაკვეთში, განსაზღვრულ არეალსა ან პოპულაციაში.. <https://georgianencyclopedia.ge/ka/form/4915> (წვდომის თარიღი: 12.10.2024)

¹⁵⁵ კიბერშეტევა წარმოადგენს განზრახ მოქმედებას, რომლის მიზანია კომპიუტერული სისტემების, ქსელების ან მონაცემების მოპარვა, დაზიანება ან ფუნქციონირებაში შეფერხება. ასეთ შეტევებს ახორციელებენ ჰაკერები, ხშირად პოლიტიკური, ფინანსური ან შპიონაჟის მოტივით.

¹⁵⁶ თანამედროვე გაგებით მეკობრეობა გულისხმობს არალეგალურ თავდასხმებს საზღვაო ხომალდებზე (ხშირად სანაპიროს მახლობლად), მბრძანებლობის, ძარცვის ან გატაცების მიზნით. საერთაშორისო სამართალში მეკობრეობა აღიარებულია როგორც სერიოზული დანაშაული, რომელიც ხდება ღია ზღვაზე და ეხება ყველა ქვეყანას. განმარტებისთვის იხ. 101-ე მუხლი საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენცია) გლობალური საზღვაო ტრანსპორტის მიმართ, მაგ. ადენის ყურეში, ოფშორული ლაგოსი ნიგერიაში და მსოფლიოს სხვა ადგილებში.

¹⁵⁷ ფინანსური ბაზრების მასშტაბური რღვევა, რომელსაც ახასიათებს საბანკო სისტემის დესტაბილიზაცია, აქტივების ღირებულების მკვეთრი დაცემა, კრედიტზე ხელმისაწვდომობის შემცირება და ეკონომიკური რეცესია. ასეთ კრიზისს შეუძლია მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე მოახდინოს გავლენა. მაგალითია 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი.

¹⁵⁸ **გან.ლექსიკონი:** აჯანყების ან საზოგადოების ნაწილის ორგანიზებული, ძალადობრივი ან არაძალადობრივი მოქმედება სახელმწიფოს ან კანონიერ ხელისუფლებასთან დაპირისპირების მიზნით. აჯანყება, როგორც წესი, მიზნად ისახავს არსებული პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიკური წყობის შეცვლას, მთავრობის დამხობას ან კონკრეტული უფლებების მოპოვებას.

რეგულაციები და შეზღუდვები, სამართლებრივ კონტექსტში მოიაზრება ბუნებრივი, ან ადამიანური წარმოშობის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც ქმნიან ისეთ გაუკონტროლებელ სიტუაციებს, რაც ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის და ხშირად განიხილება როგორც გამართლება მხარეებს შორის ურთიერთვალდებულების შეუსრულებლობისა.¹⁵⁹

ასეთმა პრაქტიკამ ფორსმაჟორის დეფინიცია გადმოიტანა არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურის, არამედ კონტრაქტების სტანდარტულ ფორმებში, მაგალითად, “ICC Force Majeure Clause 2020”-ში განსაკუთრებულადაა გამოყოფილი ‘ეპიდემიის’ ან ‘პანდემიის’ ცნება როგორც ფორსმაჟორული გარემოება. ამის მსგავსად, ვენის კონვენცია (CISG) მუხლი 79 ითვალისწინებს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სტანდარტს იმ შემთხვევაში, თუ დაბრკოლება მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზით იყო.

“საერთაშორისო კომერციულ კონტრაქტებში ხშირად იყენებენ ასეთ ფორმულირებას: ამ ხელშეკრულების მხარე არ იქნება პასუხისმგებელი ვადაგადაცემისთვის ან ვალდებულების შეუსრულებლობისთვის იმ შემთხვევაში, თუ ამის მიზეზია ფორსმაჟორული გარემოება, როგორცაა ომი, პანდემია, სტიქიური უბედურება ან სახელმწიფო რეგულაციები”.¹⁶⁰

ფორსმაჟორული პუნქტის გამოყენება არ არის მხოლოდ სამართლებრივი სუბსტანციის შეფასების საკითხი; ის თანაბრად მოითხოვს პროცედურულ სიზუსტესაც. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და კრიტიკულად მნიშვნელოვანი მოთხოვნაა შეტყობინების წარდგენა მეორე მხარისადმი, რაც ხშირად განისაზღვრება ხელშეკრულების შესაბამის დათქმაში.¹⁶¹

¹⁵⁹ მამულაშვილი, მ. (2012). *სამოქალაქო სამართალი. ვალდებულებითი სამართალი*. ტ. II. თბილისი: იურისტი, გვ. 215–217.

¹⁶⁰ იხ. ICC Force Majeure Clause 2020, წესი 3 და დანართი 1; UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2022, მუხლი 7.1.7; საქონლის საერთაშორისო გაყიდვების შესახებ ვენის კონვენცია (CISG), მუხლი 79.

¹⁶¹ Ewan McKendrick, *Force Majeure and Frustration of Contract*, 3rd edition, London, 2014, გვ. 45–46

როგორც წესი, თუ მხარე აცხადებს, რომ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, ან შეუძლებელი გახდა ფორსმაჟორული გარემოების გამო, მას ევალება დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

ამ ვალდებულების შეუსრულებლობამ შეიძლება განაპირობოს სერიოზული სამართლებრივი შედეგები, მათ შორის — ფორსმაჟორული პუნქტის გამოყენების უფლების დაკარგვა. ასეთი მიდგომა ემყარება კეთილსინდისიერების პრინციპს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში ითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებას, არამედ პროცედურების პატივისცემასაც.¹⁶²

როცა ვსაუბრობთ ფორსმაჟორული პუნქტის გავლენის შესახებ ხელშეკრულებაზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ რეგულაციის ძირითადი მიზანია არა მხოლოდ მხარეთა სრულად გათავისუფლება ვალდებულებებისგან, არამედ ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ურთიერთობის მოქნილობასა და ადაპტაციას საგანგებო სიტუაციებისას.

ფორსმაჟორული მოვლენის დასრულების შემდეგ, როგორც წესი, ხელშეკრულება შეიძლება აღდგეს და მხარეებმა უნდა შეძლონ თავიანთი თავდაპირველი ვალდებულებების შესრულება ან გადავიდნენ ისეთ ალტერნატიულ პირობებზე, რომელიც გათვალისწინებულია კონტრაქტში (მაგალითად, შეჩერების კონკრეტული ვადები, სხვა მომსახურების წყაროდან საქონლის მიღების უფლება ან სახელშეკრულებო ურთიერთობის საბოლოო შეწყვეტა თუ შესრულება ნაჩვენებ ვადაში შეუძლებელი აღმოჩნდა).

ფორსმაჟორული პუნქტის რეალური გავლენის შესაფასებლად გადამწყვეტია იმის განსაზღვრა, რამდენად არსებითად და რა ფორმით აფერხებს კონკრეტული მოვლენა ვალდებულების შესრულებას.

პრაქტიკაში ხშირია, რომ პუნქტი დეტალურად არეგულირებს მხოლოდ ფიზიკურ ან იურიდიულად შეუძლებელ შესრულებებს და მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ითვალისწინებს სრულ ან დროებით გათავისუფლებას. მაგალითად,

¹⁶² McKendrick, E., 2020. *Force Majeure and Frustration of Contract*, 3rd ed. Oxford: Oxford University Press. <https://www.oxfordlawtrove.com/display/10.1093/he/9780192856548.001.0001/he-9780192856548-chapter-21>

თუ პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვები პირდაპირ აფერხებს საქონლის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას, ეს შეიძლება მიიჩნეს ფორსმაჟორულ გარემოებად და შესაბამისად მოიცავდეს ვალდებულების გადავადებას, შეცვლილ პირობებზე შეთანხმებას ან მართებულად – შეწყვეტას.

კონტრაქტის ადაპტაციის მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ შემთხვევებში, როდესაც გარემოება სრულად არ უკეტავს, არამედ ნაწილობრივ ცვლის ან აჭიანურებს ვალდებულების შესრულებას.

ასეთ დროს სამართლებრივი მექანიზმები და ფორსმაჟორული პუნქტები ქმნის საშუალებას მხარეებმა მოლაპარაკების გზით მოიძიონ ახალი გამოსავალი – გადახედონ პირობებს, გადადონ ვადები, შეამცირონ მოცულობები, ან დააწესონ ალტერნატიული საფასურები.

სწორედ ამიტომ, თანამედროვე სახელშეკრულებო პრაქტიკაში საჭიროა არა მხოლოდ სრული გათავისუფლების საკითხის წინ წამოწევა, არამედ კონტრაქტის ადაპტაციისა, და შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების უზრუნველყოფა, რათა შესაძლებელი იყოს ურთიერთობის შენარჩუნება და სამართლიანი დაბალანსება მხარეთა ინტერესებს¹⁶³

ქართულ სამართალში ფორსმაჟორი მკაფიოდ არის განსაზღვრული და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება ისეთი გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები ან პანდემიები.¹⁶⁴

COVID-19-ის პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ხელშეკრულებების გადახედვა ან შეწყვეტა, რადგან არსებითად შეიცვალა

¹⁶³ Christoph Brunner, *Force Majeure and Hardship under General Contract Principles* (Kluwer Law International, 2009).

¹⁶⁴ ცაგარეიშვილი შ, „კონტრაქტის შესრულების შეუძლებლობა ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თბილისი, 2022, გვ. 92–94;

ეკონომიკური და სოციალური გარემოებები და მხარეებს აღარ შეეძლოთ ვალდებულებების შესრულება თავდაპირველი პირობებით.¹⁶⁵

საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად ფორსმაჟორული და შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი მექანიზმების არსებობისა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლო ინტერპრეტაციას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მსგავსი გარემოებები ხელშეკრულებაში პირდაპირ აღნიშნული არ არის.¹⁶⁶

სასამართლოები ინდივიდუალურად აფასებენ გარემოებების მასშტაბსა და ხანგრძლივობას, სახელმწიფოს რეგულაციებისა და შეზღუდვების გავლენას, ასევე მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მათ შორის რამდენად დაუძლეველია მოცემული გარემოება და არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების შეუსრულებლობასა და აღნიშნულ გარემოებას შორის.¹⁶⁷

ქართველი კანონმდებელი მნიშვნელოვან რეგულაციებს აწესებს სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ავიაციის სფეროში აღიარებს ობიექტურ პასუხისმგებლობას, რომლისგანაც გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ დაუძლეველი ძალის შემთხვევაში (გარდა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა).¹⁶⁸

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს, განსაზღვრავს შესაძლებლობას ხელშეკრულების პირობების ადაპტაციის ან შეცვლისათვის, თუ გარემოებები არსებითად შეიცვალა და შესრულება მნიშვნელოვნად გართულდა ან შეუძლებელი გახდა.¹⁶⁹

ეს მექანიზმი განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის პირობებში, როდესაც, მაგალითად, ტურიზმის სექტორში მოქმედმა კომპანიებმა, რომლებმაც ვერ შეძლეს მოგზაურობების უზრუნველყოფა, შეძლეს

¹⁶⁵ Christoph Brunner, *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 393–395

¹⁶⁶ ჯავახიშვილი გ., „ფორსმაჟორი: დოქტრინა და პრაქტიკა კერძო სამართალში“, იურისტის ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 115–117

¹⁶⁷ გამცემლიძე გ., „ფორსმაჟორის და შეცვლილი გარემოებების შეფასება სასამართლო პრაქტიკაში“, სამართალი, 2021, №3, გვ. 46–48

¹⁶⁸ ჩხეიძე გ., „საქართველოს კერძო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბილისი, 2020,

¹⁶⁹ მეფარიშვილი თ., „ხელშეკრულების პირობების შეცვლა და ადაპტაცია ქართულ კერძო სამართალში (398-ე მუხლის პრობლემები და ტენდენციები)“, სამეცნიერო მოსაზრებანი, 2021, №5, გვ. 88–90;

ხელშეკრულებების გადახედვა ან გაუქმება, ან შესთავაზეს მომხმარებლებს ვაუჩერები პერსონალური ანაზღაურების ნაცვლად. ეს ხაზს უსვამს სამართლებრივი რეგულაციების პრაქტიკულ მნიშვნელობას შეცვლილ გარემოებებში სამართლებრივი ჩარჩოს მოქნილობას.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას ფორსმაჟორის ან შეცვლილი გარემოებების მუხლის გამოყენება საჭიროებს მკაცრ კრიტერიუმებს. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე N:ას-1383-2023), თავად პანდემიის არსებობა საკმარისი არ არის ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობის ცვლილებისთვის — მოვალე მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ პანდემიისა და სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვების შედეგები ობიექტურად ზღუდავს მისი ვალდებულებების შესრულებას, მნიშვნელოვანია მხარეებმა ჯერ სცადონ ვალდებულების შესრულების ალტერნატიული გზების მოძიება და მხოლოდ შემდეგ მოითხოვონ ხელშეკრულების პირობების გადახედვა ან შეწყვეტა.

ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს როგორც ხელშეკრულებითი სტაბილურობის, ისე სამართლიანობის პრინციპების დაცვას, რაც თანამედროვე კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს.¹⁷⁰

¹⁷⁰ ასათიანი დ., „ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი შედეგები ქართულ პრაქტიკაში“, სამოქალაქო სამართლის მიმოხილვა, 2022, №1, გვ. 44–45

5.3 ფორსმაჟორის ელემენტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრება

ფორსმაჟორის, როგორც დაუძლეველი ძალის, სამართლებრივი გააზრებისათვის მნიშვნელოვანია მისი ელემენტების და კრიტერიუმების აღნიშვნა: ფორს-მაჟორული გარემოება წარმოადგენს მხარის ნების კონტროლის ფარგლებს მიღმა არსებულ მოვლენას, რომლის არსებობა არ არის დამოკიდებული მხარის სუბიექტურ განზრახვაზე.¹⁷¹

მოვლენა უნდა იყოს ისეთი, რომლის პროგნოზირებაც ხელშეკრულების დადების დროს ობიექტურად შეუძლებელია და მისი თავიდან აცილება, ან მისი შედეგების თავიდან არიდება ვერ ხერხდება.¹⁷² მოვლენა უნდა ახდენდეს პირდაპირ და არსებით გავლენას ვალდებულების შესრულების შესაძლებლობაზე.

ფორსმაჟორული გარემოება წარმოადგენს ისეთ არამართვად და დაუძლეველ მდგომარეობას, რომელიც მხარეთა კონტროლს სცილდება და რომლის წინასწარ გათვალისწინებაც ხელშეკრულების დადების მომენტში ობიექტურად შეუძლებელი იყო.¹⁷³

უმეტეს შემთხვევაში ფორსმაჟორი დროებით აფერხებს ვალდებულებას, თუმცა ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს ვალდებულების სრული შეწყვეტა.¹⁷⁴

იგი წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც აბსოლუტურად აფერხებს ხელშეკრულების შესრულებას, ან მნიშვნელოვნად ამცირებს შესრულების ეფექტურობას. ამიტომ აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ფორსმაჟორსა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის.¹⁷⁵

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ორი სახის სამართლებრივ შედეგს წარმოშობს: 1. შესრულების შეუძლებლობა წყვეტს მხარეთა შორის არსებულ ვალდებულებით

¹⁷¹ Treitel, G. H. (2004). *Frustration and Force Majeure*. Sweet & Maxwell, pp. 12–16.

¹⁷² McKendrick, E. (2020). *Contract Law: Text, Cases, and Materials*. Oxford University Press, p. 749.

¹⁷³ გ. ფანცულაია, *საქართველოს სამოქალაქო სამართალი. ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)*, თბილისი, 2019, გვ. 324–325.

¹⁷⁴ იქვე. გვ. 325–326

¹⁷⁵ G.H. Treitel, *Frustration and Force Majeure*, 3rd edition, Sweet & Maxwell, 2014, §§13-030, 14-003;

ურთიერთობებს და 2. მოვალეს ათავისუფლებს, ან უმსუბუქებს პასუხისმგებლობას.

ამრიგად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის პასუხისმგებლობაზე ორგვარ ზემოქმედებას იწვევს: ერთ შემთხვევაში, მოვალე შეიძლება სრულად გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, ხოლო მეორე შემთხვევაში, მოვალის პასუხისმგებლობის შემსუბუქება გამოიწვიოს. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ შესრულების შეუძლებლობა შეუქცევადი იყოს, ის შესაძლებელია ვადის გადაცილებაშიც გამოვლინდეს.¹⁷⁶

გარდა ამისა, პრაქტიკაში ხშირადაა სიტუაცია, როდესაც გაუთვალისწინებელი გარემოება სრულად არ აუქმებს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ აფერხებს მას; ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხარეს დაეკისროს ვალდებულების ნაწილის შესრულება ან შეუსრულებლობის კომპენსაცია, რაც განსაკუთრებით რელევანტურია იმ შემთხვევებში, როდესაც ფორსმაჟორი გავლენას ახდენს მხოლოდ ვალდებულების გარკვეულ ასპექტებზე და არა მთლიან კონტრაქტზე.¹⁷⁷

გლობალური პანდემიის პირობები კარგი მაგალითია ფორსმაჟორული გარემოების წარმოსადგენად და გასააზრებლად თუ ზოგადად რას გულისხმობს ფორსმაჟორი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს გარემოება, რომ ის მიჩნეულ იქნეს ფორსმაჟორად.

COVID-19 და მისგან გამომდინარე გარემოებები შეიძლება ჩაითვალოს ფორსმაჟორად და გახდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, რადგანაც გარემოებამ გამოიწვია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და მათ შორის არსებობს პირდაპირი კავშირი მოგეხსენებათ, ყველაფერი გაჩერდა, ხალხი დარჩა სახლში შემოსავლის წყაროს გარეშე და ვერანაირად ვერ შეძლენ ვალდებულების შესრულებას, ამასთან ერთად გარემოების გათვალისწინება და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.

¹⁷⁶ სუბიტაშვილი, დ. და სუბიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი. გვ. 145

¹⁷⁷ იხ. UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2022, მუხლი 7.1.7, კომენტარები 4 და 5; G.H. Treitel, *Frustration and Force Majeure*, 3rd edition, Sweet & Maxwell, 2014, §§15-010

5.4. ფორსმაჟორის ბუნება ქართულ საკანონმდებლო სივრცეში

ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ფორსმაჟორის ცნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელშეკრულებო ურთიერთობების სტაბილურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის კუთხით. ფორსმაჟორული მოვლენა არსებითად წარმოადგენს გარდაუვალ, მოულოდნელ და მხარეთა კონტროლს მიღმა არსებულ გარემოებას, რომელიც შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად აფერხებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ეს არ არის მხოლოდ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მექანიზმი, არამედ გაცილებით ფართო სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს, შეცვლილი გარემოებების პრიზმაში მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადახედვა, მისი ადაპტაცია ახალ რეალობასთან, ან უკიდურეს შემთხვევაში, მისი შეჩერება ან შეწყვეტა.

ამასთანავე, გადამწყვეტია მკაფიოდ გაიმიჯნოს ფორსმაჟორული მოვლენები იმ გარემოებებისგან, რომლებიც, მიუხედავად მათი შემაფერხებელი ბუნებისა, სისტემურად მეორდება და წინასწარ განჭვრეტადია. მაგალითად, გრიპის სეზონური ეპიდემიები, ამინდის რეგულარული გაუარესება ან სხვა მსგავსი, ციკლური მოვლენები, როგორც წესი, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფორსმაჟორად. მათი განჭვრეტადობის გამო, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, წინასწარ გაითვალისწინონ მსგავსი რისკები ხელშეკრულების გაფორმებისას და შესაბამისი დებულებებიც ჩართონ მასში.

შესაბამისად, ასეთი მოვლენების საფუძველზე ხელშეკრულების პირობების მისადაგება ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნა ვერ მოხდება, ვინაიდან ისინი არ აკმაყოფილებენ ფორსმაჟორისთვის დამახასიათებელ მოულოდნელობისა და უკონტროლობის კრიტერიუმებს.¹⁷⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლი წარმოადგენს საკვანძო ნორმატიულ საფუძველს ფორსმაჟორული გარემოებების რეგულირებისათვის, რაც სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების

¹⁷⁸ Niklas Lindström, "Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods," *Nordic Journal of Commercial Law* 1 (2006), 8-9. <https://journals.aau.dk/index.php/NJCL/article/view/3045/2572> (16.06.2025).

შეუძლებლობის, ან მნიშვნელოვანი გართულების შემთხვევაში მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას ემსახურება.

აღნიშნული მუხლის მიხედვით, ფორსმაჟორად მიიჩნევა ისეთი მოვლენა ან გარემოება, რომელიც არის გაუთვალისწინებელი, თავიდან აუცილებელი და მხარის კონტროლს მიღმა მყოფი, და რომელიც უშუალოდ ახდენს გავლენას სახელშეკრულებო ვალდებულების სათანადო შესრულებაზე.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ფორსმაჟორის აღიარებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ გარემოების ობიექტური არსებობა, არამედ მისი პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების შეუსრულებლობასთან ან შეფერხებასთან.

მაგალითად, გლობალური პანდემიის შედეგად გამოწვეული მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები ან სატრანსპორტო შეზღუდვები, რამაც ხელი შეუშალა მხარეს ნაკისრი საქონლის მიწოდების ვალდებულების შესრულებაში, შეიძლება განხილულ იქნას როგორც ფორსმაჟორული გარემოება. ასეთ შემთხვევაში, მხარე, რომელიც ვერ ახერხებს ვალდებულების შესრულებას, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან შეფერხებისთვის, ვინაიდან აღნიშნული გარემოება მის კონტროლს მიღმაა.

ფორსმაჟორის არსებობა მხარეებს აძლევს საშუალებას, დროებით ან ხანგრძლივად შეაჩერონ ან საერთოდ გათავისუფლდნენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისგან, რაც დამოკიდებულია ფორსმაჟორული გარემოების ხანგრძლივობასა და ბუნებაზე. ეს მექანიზმი ემსახურება სახელშეკრულებო სამართალში სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპების დაცვას, რათა მხარეები არ დაისაჯონ ისეთი გარემოებების გამო, რომელთა განჭვრეტა ან თავიდან აცილება მათთვის შეუძლებელი იყო. თუმცა, მხარეს, რომელიც ფორსმაჟორზე ამახვილებს ყურადღებას, ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ დაამტკიცოს აღნიშნული გარემოების არსებობა და მისი უშუალო გავლენა ვალდებულების შესრულებაზე.

ფორსმაჟორის დროს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის თაობაზე მნიშვნელოვანი საკითხები დარეგულირებულია ეროვნული კანონმდებლობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას

მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს; ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით,¹⁷⁹ მაგალითად ომის დროს აღარ დგება საჭიროება მხარემ ამტკიცოს ფორსმაჟორული მდგომარეობის არსებობა.

თუმცა ასე მარტივად ყოველთვის არაა საქმე, მაგალითად შესაძლებელია საჭირო გახდეს ძლიერი წვიმის ფორსმაჟორად განხილვა და მტკიცებულების ძიება როცა საქმე ეხება ასფალტის დაგებას, რომელმაც წარმოიშვა ფორსმაჟორული გარემოება. ასევე როცა გვაქვს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ურთიერთობების გამოყენებასთან, ასეთ დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის მტკიცებულებები, მაგ: სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების აქტები; კომპეტენტური უწყებების მიღებული გადაწყვეტილებები (მაგ., საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური); საერთაშორისო ორგანიზაციების, ან მედიის მიერ დადასტურებული ინფორმაცია; სავაჭრო-სამრეწველო პალატის ოფიციალური ცნობა; სხვა რელევანტური წერილობითი დოკუმენტები.¹⁸⁰

ერთერთ სასამართლო საქმეში მხარემ რომელმაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები ვერ შეასრულა იმის გამო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან განხორციელდა გარკვეული სახის დესტრუქციული ქმედებები, რომელთა გამო შეუძლებელი გახდა შემდგომი მუშაობის გაგრძელება. აღნიშნულმა ქმედებებმა გამოიწვია კომპანიის ფინანსური ზარალი და მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვა. აღნიშნულის გამო კომპანიის უცხოელმა პარტნიორებმა უარი განაცხადეს პროექტში მონაწილეობაზე, მხარე ამგვარ ვითარებას ფორსმაჟორულ გარემოებაზე მიუთითებდა.

¹⁷⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 106
<https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=174>

¹⁸⁰ ჯოხაძე ნ., „ფორსმაჟორის საფუძვლის დოკუმენტური დამტკიცება სასამართლო პრაქტიკაში“, სამართალი, 2021, №4, გვ. 67–69

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ ფორსმაჟორი ფაქტობრივი გარემოებაა. ფორსმაჟორის დამტკიცებაში მხარეები ერთმანეთს ეჯიბრებიან მტკიცებულებებით. მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, უნდა ქმნიდეს დამაჯერებელ შინაგან რწმენას ფორსმაჟორის არსებობის შესახებ. მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება და დაამტკიცოს, რომ მან ვალდებულება ვერ შეასრულა ფორსმაჟორის გამო. თითოეული მტკიცებულება ფასდება სასამართლოს მიერ და ამიტომაც არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

ფორსმაჟორის დადასტურებისათვის ყველა მტკიცებულება არ გამოდგება. ყველა საკითხი ინდივიდუალურია, ამიტომ კონკრეტული მტკიცებულება რიგ შემთხვევაში შეიძლება ადასტურებდეს დაუძლეველი ძალის ზეგავლენას, რიგ შემთხვევაში კი არა.

წინამდებარე შემთხვევაში მოპასუხეს დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ვალდებულების შეუსრულებლობას ამტკიცებს მხოლოდ ზეპირი განმარტებით. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს უფლება აქვთ ზეპირად ამტკიცონ ესა თუ ის გარემოება, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზეპირი განმარტებით ფაქტების მტკიცების უფლება აქვს ორივე მხარეს. მოპასუხეს შეუძლია ზეპირად უარყოს მოსარჩელის მიერ გადმოცემული ფაქტები, და პირიქით. ზეპირი განმარტებით გადმოცემული ფაქტები მაშინ ითვლება დადგენილად და დადასტურებულად, როდესაც მხარეები მას ადასტურებენ და სადაოდ არ ხდიან.

თუ ზეპირი განმარტებით გადმოცემული ფაქტი, მხარეებისათვის სადაოა, მაშინ ის აღარ წარმოადგენს სათანადო მტკიცებულებას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გაცხადებული ფაქტები დასტურდებოდეს ზეპირ განმარტებაზე უფრო მყარი მტკიცებულებით. ზეპირად ნებისმიერ პირს, ნებისმიერი ფაქტის გადმოცემა შეუძლია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია რამდენად სარწმუნოა მისი განმარტება. თითოეული ზეპირი განმარტება უნდა დასტურდებოდეს სხვა უფრო მყარი მტკიცებულებით. ანუ აუცილებელია გამოყენებული იქნას მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ზეპირი განმარტების სტანდარტია. აღნიშნულიდან

გამომდინარე ზეპირი განმარტება ვერ იქნება დაუძლეველი დაბრკოლების ანუ ფორსმაჟორის დამადასტურებელი მტკიცებულება.¹⁸¹

როგორც აღვნიშნეთ ფორსმაჟორის არსებობა არ იწვევს ხელშეკრულების ავტომატურ შეწყვეტას, თუმცა შესაძლოა გამოიწვიოს ვალდებულების შესრულების დროებითი შეჩერება, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება იმ პერიოდისთვის, როცა შესრულება ობიექტურად შეუძლებელია, ან ხელშეკრულების პირობების გადახედვა, ისევე როგორც მისი გაუქმება¹⁸².

ზემოთ მითითებული ნორმებიდან ირკვევა უმეტეს შემთხვევაში ფორსმაჟორი იწვევს ვალდებულების შეწყვეტას ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, განსხვავებით 398-ე მუხლისგან, რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების ადაპტაციასა და შენარჩუნებაზე. პრაქტიკაში ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება კრიზისულ ვითარებებში: თუ გარემოებები სრულად კეტავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, მოქმედებს ფორსმაჟორი; ხოლო თუ შესრულება ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუმცა მკვეთრად გაძნელებულია ან იწვევს უსამართლო შედეგს რომელიმე მხარისათვის გამოიყენება 398-ე მუხლი.

5.5. ფორსმაჟორი და იმედგაცრუების დოქტრინა

მსოფლიო პრაქტიკაში ფორსმაჟორად აღიარების პირობები დამოკიდებულია კონკრეტულ სამართლებრივ სისტემაზე და ინდივიდუალური კონტრაქტების ფორმულირებაზე. საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებებში, ფორსმაჟორული მოვლენების სია და მათი სამართლებრივი შედეგები მკაფიოა.¹⁸³

¹⁸¹ 2-3295/15 გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქართველოს სახელით 10/07/2019 წელი ქ. ბათუმი შესავალი ნაწილი ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

¹⁸² იხ. **Martínez, C. (2021).** *Force Majeure in the Context of COVID-19: Legal Implications in Spain.* Spanish Journal of Law, 12(1), pg 23-41

¹⁸³ Gabriela Varas, M. (2022). *The Force Majeure Clause, Impossibility, and Frustration of Purpose in the Age of COVID-19.* *UF Journal of Undergraduate Research*, Vol. 24. Available at: <https://doi.org/10.32473/ufjur.24.130494> [ხელმისაწვდომია: 25 Oct. 2024].

ზოგიერთი ავტორის მითითებით თუ ხელშეკრულებაში არ არის პირდაპირ განსაზღვრული ფორს-მაჟორის თაობაზე დათქმა, სასამართლო მხარეთა წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ზოგადი სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე აფასებს ვალდებულებების გადახედვის აუცილებლობას.¹⁸⁴

ფორსმაჟორის დახასიათებისას გვერდს ვერ ავუვლით იმედგაცრუების დოქტრინას. ფორსმაჟორისა და იმედგაცრუების დოქტრინების შედარებისას მნიშვნელოვანია მათი გამოყენების პრაქტიკული ეფექტების ანალიზი. მიუხედავად იმისა რომ იმედგაცრუების დოქტრინა ერთი შეხედვით დაუძლეველ ძალასთან კავშირში არაა იგი ცვლის ხელშეკრულების პირობებს, შესაბამისად ამ კუთხით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ფორსმაჟორის მსგავსად ეს დოქტრინაც ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

ფორსმაჟორისა და იმედგაცრუების სამართლებრივი დოქტრინები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია რისკების მართვისა და ხელშეკრულებების შესრულების რეგულირებისას. კონტრაქტის სწორად ფორმულირება აუცილებელია, რათა მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, სამართლებრივად დაიცვან თავიანთი უფლებები გაუთვალისწინებელ პირობებში.

შესაბამისად, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პრაქტიკაში, ფორსმაჟორის მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისთვის საჭიროა მისი მკაფიო განსაზღვრა და სამართლებრივი საფუძვლების გამართული რეგულირება.¹⁸⁵

ფორსმაჟორი და იმედგაცრუება ერთმანეთისგან განსხვავდებიან არა მხოლოდ ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების მიხედვით, არამედ მათი შედეგების მიხედვითაც. ფორსმაჟორი ძირითადად ნიშნავს, რომ მხარე შეიძლება დროებით გათავისუფლდეს ვალდებულების შესრულებისგან, მასში არის სიტუაციის გაუმჯობესების შემთხვევაში შესრულების განახლების შესაძლებლობის რესურსი. იმედგაცრუება კი უფრო რადიკალური მოცემულობაა, როდესაც შეთანხმების კონტექსტი და პირობები მთლიანად იცვლება და დადებული შეთანხმება სრულებით კარგავს აზრს და მნიშვნელობას.¹⁸⁶

¹⁸⁴ იქვე

¹⁸⁵ Ewan McKendrick, *Force Majeure and Frustration of Contract*, 3rd edition, London, 2014, გვ. 211–217;

¹⁸⁶ G.H. Treitel, *Frustration and Force Majeure*, 3rd edition, Sweet & Maxwell, 2014, §§1-019, 15-002;

იმედგაცრუების დოქტრინა წარმოადგენს სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაქტის პირობები დამოუკიდებლად არსებული გარემოებების ზეგავლენით ახდენს მნიშვნელოვნად იცვლება და მისი შესრულება ხდება შეუძლებელი.¹⁸⁷

COVID-19 პანდემიამ ნათლად წარმოშვა იმედგაცრუების დოქტრინის აქტივაცია, როგორც სამართლებრივი გზავნილი, რომლის მიხედვითაც მხარეები არ არიან ვალდებული შეასრულონ კონტრაქტი, ისეთ პირობებში, როგორიცაა პანდემია, ვინაიდან საყოველთაო შეზღუდვები, ან ლოგისტიკური პრობლემები, მნიშვნელოვნად ცვლის ხელშეკრულების საფუძველს.

იმედგაცრუება დგება მაშინ, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტულ პირობებზე, ხოლო უეცარი ცვლილებები, ან საგანგებო სიტუაცია წარმოშობს ხელშეკრულების შესრულების შეუძლებელობის მდგომარეობას.

COVID-19-ის დროს, როდესაც კომპანიები, ან ინდივიდები ვერ ახერხებენ სრულად, ან ნაწილობრივ შესრულებას, სასამართლო რიგ შემთხვევებში (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი) ხელმძღვანელობს იმედგაცრუების დოქტრინით, რაც გულისხმობს იმას, რომ კონტრაქტი აღარ არის პრაქტიკულად შესრულებადი.¹⁸⁸

იმედგაცრუების და ფორმაჟორის აღწერისას უნდა ვთქვათ, რომ ორივე დოქტრინა ეხება კონტრაქტის შესრულების შეუძლებელობას, მაგრამ მათ შორის რამდენიმე არსებითი განსხვავებაა:

იმედგაცრუების დოქტრინა გამოიყენება მაშინ, როდესაც ხელშეკრულების შესრულება ტექნიკურად შესაძლებელია, მაგრამ მისი ძირითადი მიზანი მოულოდნელად აზრს კარგავს არაპროგნოზირებადი გარემოებების გამო. მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი კვლავაც შეძლებს ვალდებულების შესრულებას, მისი მნიშვნელობა და ღირებულება არალერევანტულია. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი გარემოებები არ უნდა იყოს მხარეთა მიერ შექმნილი და უნდა წარმოიშვას მოულოდნელად. მაგ: სასტუმროს დაქირავება ფეიერვერკების ფესტივალის საყურებლად, ამ დროს კი ფესტივალი გაუქმდა. სასტუმროში დარჩენა ტექნიკურად

¹⁸⁷ გიორგი ჯავახიშვილი, „ფორსმაჟორი: დოქტრინა და პრაქტიკა კერძო სამართალში“, იურისტის ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 126–128.

¹⁸⁸ <https://www.stanfordlawreview.org/online/contracts-and-covid-19/>

შესაძლებელია, მაგრამ კონტრაქტის მიზანი (ფესტივალის ნახვა) გაუქმდა.

ფორსმაჟორი კი ვრცელდება იმ შემთხვევებში, როდესაც კონტრაქტის ფიზიკურად, ან იურიდიულად შესრულება სრულად შეუძლებელი ხდება გაუთვალისწინებელი ფაქტორების გამო, ფორსმაჟორი შეიძლება იყოს ფიზიკური, იურიდიული, ან ობიექტური,ეს არ უნდა იყოს გამოწვეული მხარეთა მიერ განზრახ მოქმედებით.მაგ: მუსიკოსი დებს კონტრაქტს კონცერტის ჩატარებაზე, მაგრამ კონცერტამდე ილუპება. ასეთი გარემოება კონტრაქტს ფიზიკურად შეუძლებელს ხდის.

ამ ორი დოქტრინის სწორად განსაზღვრა სამართლებრივ დავებში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პირდაპირპროპორციულად აისახება კონტრაქტების სამართლებრივ შედეგებზე.ფორსმაჟორის შემთხვევაში მხარეს შეუძლია მოითხოვოს სხვადასხვა სამართლებრივი სარგებელი.¹⁸⁹

ინგლისის სასამართლოებში ბევრი სამართლებრივი დავა როგორც წესი, მაინც ხელმძღვანელობენ იმედგაცრუების დოქტრინით, რომლის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ყველა შესაძლო ღონისძიება ამოწურულია, რათა მხარემ გადაუდებელი სიტუაციის გამო შეცვალოს ხელშეკრულების შესრულების პირობები, რადგან ხელშეკრულებები იურიდიულად სავალდებულოდ შესასრულებელ დაპირებებს წარმოადგენს და მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ შესრულება შეიძლება გაუთვალისწინებლად რთული გახდეს.¹⁹⁰

სამოქალაქო სამართალში დიდი ხანია მოქმედებს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი,რომლის მიხედვით, შეუძლებლობა ვალდებულების გაუქმების საგანი ვერ გახდება¹⁹¹თუნდაც შეუძლებლობა გამოწვეულია

¹⁸⁹ G.H. Treitel, *Frustration and Force Majeure*, 3rd edition, Sweet & Maxwell, 2014, §§1-019, 16-002;

¹⁹⁰ *Dermott v. Jones*, 69 U.S. (2 Wall.) 1, 7 (1864) (“[I]f a party by his contract charge himself with an obligation possible to be performed, he must make it good Unforeseen difficulties, however great, will not excuse him.”); RESTATEMENT (SECOND) OF CONTRACTS § 1 (AM. LAW INST. 1981) (“A contract is a promise or a set of promises for the breach of which the law gives a remedy, or the performance of which the law in some way recognizes as a duty.”).

¹⁹¹ სუბიტაშვილი, დ. და სუბიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი.გვ.146

"ეზოგენური"¹⁹² მოვლენით, როდესაც შესრულება გახდა არა მხოლოდ რთული, არამედ შეუძლებელი.¹⁹³

მაგალითისთვის, თუ შეძენილია კონცერტის ბილეთი და ღონისძიება გაუქმდა ცუნამის გამო, ეს არ წარმოადგენს კონტრაქტის დარღვევას, რადგან ღონისძიების გაუქმება დაუძლეველი ძალის გამო, თუმცა კონცერტის ორგანიზატორებს წარმოეშობათ კონცერტისთვის გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება, რადგან მათ ვერ შეასრულეს კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურება. ხოლო რაც შეეხება კონცერტისთვის დასასწრები მატარებლის ბილეთის ღირებულებას, იგი წარმოადგენს თანმდევ ზარალს ¹⁹⁴(consequential damages).

მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მატარებლის ბილეთის ღირებულების დანაკარგი, მომდერალს არ ჰქონდა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება, რომ შესაბამისი თანხა აენაზღაურებინა. ამიტომ, მატარებლის ბილეთის თანხა არ ექვემდებარება რესტიტუციას, რადგან ეს დანაკარგი არ იყო დაკავშირებული პირდაპირ კონცერტის გაუქმებასთან, როცა ისინი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კონტრაქტით.¹⁹⁵

აქედან გამომდინარე ფორსმაჟორი თავის სამართლებრივ არსში ვერ განიხილება როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ავტომატური გამართლება.

იურიდიულად მცდარია ის მოსაზრება, თითქოს ყოველგვარი უჩვეულო მოვლენა, ან სირთულე ავტომატურად ამართლებს ვალდებულების შეუსრულებლობას. ფორსმაჟორის გამოყენების წინაპირობები კონკრეტულ და მკაცრ კრიტერიუმებს ეფუძნება: გარემოება უნდა იყოს მხარის ნებისგან დამოუკიდებელი, გაუთვალისწინებელი, კონტროლის ფარგლებს მიღმა გაცილებით მძიმე და სრულად აბრკოლებდეს ვალდებულების შესრულებას.

¹⁹² ტერმინი ეზოგენური გამოიყენება სხვადასხვა სფეროში და აღნიშნავს გარედან მომდინარე, გარე ფაქტორებით გამოწვეულ მოვლენებს ან პროცესებს.

¹⁹³ სუბიტაშვილი, დ. და სუბიტაშვილი, თ., 2016. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი. გვ. 147

¹⁹⁴ consequential damages- გან. თანმდევი ზარალი

¹⁹⁵ <https://www.stanfordlawreview.org/online/contracts-and-covid-19/>

ამ პრინციპის პრაქტიკული გამოვლინებაა ის, რომ თუ მხარეები ხელშეკრულებას აფორმებენ ქარიშხლის შესახებ არსებული ინფორმირების შემთხვევაში, ასეთი მოსალოდნელი გარემოება, როგორც წესი, ქარიშხლით გამოწვეული სირთულე ვერ გახდება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი. სწორედ ამ საფუძველით სასამართლო და არბიტრაჟული პრაქტიკა ხაზგასმას აკეთებს არსებით განსხვავებაზე მოსალოდნელ და მოულოდნელ რისკებს შორის.

იგივე მიდგომას ვხვდებით პანდემიის კონტექსტშიც. არც პანდემიას, როგორც ზოგად მოვლენას, ეძლევა ავტომატურად ფორსმაჟორის სტატუსი სახელშეკრულებო ურთიერთობებში. თითოეული კონკრეტული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ იურიდიულ ანალიზს. შეფასდება, იყო თუ არა პანდემია მხარის ნებისგან დამოუკიდებელი და აბსოლუტურად მოულოდნელი გარემოება, მიიღო თუ არა მხარემ ყველა გონივრული ზომა შედეგის თავიდან ასაცილებლად, და არის თუ არა პანდემიასა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის უშუალო მიზეზობრივი კავშირი.

თავი VI. პანდემია სახელშეკრულებო სამართლის კონტექსტში

6.1. COVID-19-ის პანდემიის სამართლებრივი სპეციფიკა

თანამედროვე სამართლებრივ აზროვნებაში პანდემიის, როგორც მოვლენის, ფორსმაჟორთან მიმართებაში აღწერა და მისი სამართლებრივი მახასიათებლების განსაზღვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც განპირობებულია გლობალური ეპიდემიოლოგიური გამოწვევებითა და მათი მასშტაბური ზემოქმედებით სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ამგვარი ანალიზი აუცილებელია ხელშეკრულებითი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი რეჟიმების სწორად გააზრებისა და გამოყენებისთვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გერმანული სამართლის მსგავსად, არ შეიცავს ფორსმაჟორის (დაუძლეველი ძალა) პირდაპირ ნორმატიულ დეფინიციას. თუმცა, კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელთა არსებობისას მოვლენა შეიძლება შეფასდეს, როგორც ფორსმაჟორული გარემოება. ეს კრიტერიუმებია:

1. მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლობა: ფორსმაჟორული მოვლენა უნდა იყოს ობიექტური ხასიათის და წარმოიშვას მხარეთა ნება-სურვილისა და კონტროლის მიღმა. ის არ უნდა იყოს გამოწვეული რომელიმე მხარის ბრალეული ქმედებით ან უმოქმედობით.
2. არაპროგნოზირებადობა: ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ უნდა შეეძლოთ ამ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა ან გათვალისწინება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი კრიტერიუმი, რომელიც განასხვავებს ფორსმაჟორს ჩვეულებრივი სამეწარმეო რისკისგან. გერმანული სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით, დაუძლეველი ძალა განისაზღვრება, როგორც „გარეგანი მოვლენა, რომელიც არაპროგნოზირებადია ადამიანური გაგებისა და გამოცდილების გათვალისწინებით“

3. კონტროლის მიღმა არსებობა: მოვლენა უნდა იყოს მხარის კონტროლის სფეროს მიღმა და მისი თავიდან აცილება ან მისი შედეგების მართვა შეუძლებელი უნდა იყოს მიუხედავად ძალისხმევისა.

4. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა: ფორსმაჟორულმა გარემოებამ უნდა გამოიწვიოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ობიექტური შეუძლებლობა ან უკიდურესი გამძლეობა. მნიშვნელოვანია, რომ შეუძლებლობა იყოს ობიექტური და არა სუბიექტური, ანუ ვალდებულება არცერთ გონივრულ პირს არ შეეძლოს შეასრულოს მოცემულ ვითარებაში.

პანდემია, თავისი ბუნებითა და მასშტაბით, სრულად მიესადაგება ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს. მაგალითად, COVID-19-ის პანდემია იყო მოულოდნელი, გლობალური მასშტაბის მოვლენა, რომელიც არ იყო გამოწვეული რომელიმე მხარის ნებით ან კონტროლით. მისი გავრცელება და შედეგები, როგორიცაა საზღვრების ჩაკეტვა, გადაადგილების შეზღუდვა, ეკონომიკური აქტივობის შეჩერება და საწარმოო ჯაჭვების მოშლა, წარმოადგენდა გარეგან ფაქტორებს, რომელთა პროგნოზირება და მართვა ინდივიდუალური ან კოლექტიური ძალისხმევით შეუძლებელი იყო.

პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვები, როგორიცაა „ლოქდაუნი“, კომენდანტის საათი, ბიზნესის გარკვეული სექტორების საქმიანობის აკრძალვა ან შეზღუდვა, პირდაპირ აფერხებდა ან შეუძლებელს ხდიდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ამგვარი გარემოებები, მხარეთა ნება-სურვილის მიუხედავად, ვრცელდებოდა სრულად და განუსხვავებლად, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პანდემიის ფორსმაჟორულ ბუნებას. როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პანდემია ფორსმაჟორულ გარემოებას წარმოადგენდა, ამას რამდენიმე მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი მოჰყვება:

1. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება: მოვალე თავისუფლდება ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან. ეს მოიცავს ზიანის ანაზღაურებას, პირგასამტეხლოს, ჯარიმასა და სხვა სანქციებს. მნიშვნელოვანია, რომ მოვალემ

დაამტკიცოს ფორსმაჟორის არსებობა და მისი უშუალო მიზეზობრივი კავშირი ვალდებულების შეუსრულებლობასთან.

2. ვალდებულების შესრულების შეჩერება: თუ ფორსმაჟორული გარემოება დროებითია და მხარეებს კვლავ აქვთ ინტერესი ხელშეკრულების შესრულების მიმართ, მოვალე შეიძლება გათავისუფლდეს ვალდებულებების შესრულებისგან ფორსმაჟორული გარემოების არსებობის ვადით. ამ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ, მას მოუწევს ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა: თუ ვალდებულების ჯეროვანი შესრულება შეუძლებელია განუსაზღვრელი ვადით ან კრედიტორი კარგავს ინტერესს სამომავლო შესრულების მიმართ, მხარეებს უფლება აქვთ, უარი თქვან ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში, გამოირიცხება მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

4. ხელშეკრულების პირობების მისადაგება: თეორიულად, თუ მხარეებს აქვთ ხელშეკრულების გაგრძელების ინტერესი, შესაძლებელია ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან, თუმცა ეს უფრო ხშირად ხდება „rebus sic stantibus“ პრინციპის საფუძველზე, ვიდრე უშუალოდ ფორსმაჟორის გამო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პანდემიის, როგორც ფორსმაჟორული მოვლენის, აღქმა დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. COVID-19-ის პანდემიის საწყის ეტაპებზე, ის უდავოდ განიხილებოდა როგორც ფორსმაჟორული ვითარება, რადგან მისი გავრცელება და შედეგები იყო უჩვეულო და მოულოდნელი. თუმცა, დროთა განმავლობაში, საზოგადოება და ბიზნესი ადაპტირდა არსებულ ვითარებასთან, შეიქმნა პრევენციული მექანიზმები და პროტოკოლები. შესაბამისად, დღესდღეობით, ახალი ხელშეკრულებების დადებისას, პანდემია, როგორც ზოგადი მოვლენა, შესაძლოა აღარ ჩაითვალოს სრულად არაპროგნოზირებად გარემოებად.

შესაბამისად, თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა იქნას განხილული, რათა დადგინდეს, რამდენად შეეძლო მხარეს გაეთვალისწინებინა ან თავიდან აეცილებინა პანდემიასთან დაკავშირებული კონკრეტული რისკი. ფორსმაჟორზე მითითება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც პანდემიის ვითარებაში რაიმე ახალი, მხარეთა კონტროლს მიღმა არსებული შემთხვევა

აღმოცენდება, რომელსაც პირდაპირი და მჭიდრო კავშირი ექნება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან.

აუცილებელია გავმიჯნოთ პანდემია, როგორც ბუნებრივი მოვლენა, და საგანგებო მდგომარეობა, რომელიც მთავრობის მიერ გამოცხადებული სამართლებრივი რეჟიმია. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ შეიძლება გამოიწვიოს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და შეზღუდვების დაწესება, ფორსმაჟორული გარემოება თავად პანდემიის ბუნებიდან გამომდინარეობს და არა აუცილებლად სამთავრობო გადაწყვეტილებებიდან. სასამართლო წყვეტს, არის თუ არა კონკრეტული მდგომარეობა ფორსმაჟორული, და ეს გადაწყვეტილება არ არის ავტომატურად დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან. თუმცა, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს ფორსმაჟორის დამატებითი საფუძველი.

ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკის მსგავსად, საქართველოში ფორსმაჟორული გარემოებების დამოწმებას საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახორციელებს. ეს სერვისი მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხელშეკრულებების კონტექსტში, სადაც ხშირად მოითხოვება ფორსმაჟორის ოფიციალური დადასტურება.

პანდემია, როგორც ფორსმაჟორული მოვლენა, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამართლებრივ ანალიზში, რადგან მისი თვისებები სრულად შეესაბამება ფორსმაჟორის განსაზღვრებას და ქმნის საფუძველს სამართლებრივ სივრცეში მისი შესაბამისი აღქმისთვის. თუმცა, ყოველი კონკრეტული შემთხვევა მოითხოვს ინდივიდუალურ შეფასებას, რათა დადგინდეს ფორსმაჟორის კრიტერიუმების არსებობა და მისი უშუალო გავლენა ხელშეკრულებითი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2. ეპიდემიებისა და პანდემიების სამართლებრივი განმარტება

პანდემია წარმოადგენს ფართომასშტაბიან ინფექციურ აფეთქებას, რომელიც სცილდება ერთი ქვეყნის ან რეგიონის ფარგლებს და მსოფლიოში იწვევს არა მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკისა და სამართლებრივი სისტემების მნიშვნელოვან ცვლილებებს. პანდემიებს ახასიათებთ გლობალური ხასიათი, მოსახლეობის სხვადასხვა ფენასა და სექტორზე ერთდროულად ზემოქმედება, მოულოდნელობის ეფექტი და მართვის შეუძლებლობა სოციალური თუ ეკონომიკური ინსტრუმენტებით.¹⁹⁶

პანდემიებს ახასიათებთ გლობალური ხასიათი, მოსახლეობის სხვადასხვა ფენასა და სექტორზე ერთდროულად ზემოქმედება, ხაზგასმული მოულოდნელობა და მართვის შეუძლებლობა სოციალური და ეკონომიკური ინსტრუმენტებით.¹⁹⁷

პანდემიის სამართლებრივი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი მოვლენა სამართლებრივ სივრცეში აღიქმება, როგორც გარე, ამოუცნობი და კონტროლის მიღმა არსებული დაბრკოლება, რომელიც ხშირ შემთხვევაში ფუნდამენტურად ცვლის სახელშეკრულებო რეალობას. თუმცა შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმის ამოქმედება შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დადასტურდება, რომ პანდემიამ უშუალოდ და ობიექტურად შეუძლებელი გახადა ვალდებულების შესრულება და მხარეს მისი თავიდან აცილება პრაქტიკულად და გონივრულად არ შეეძლო. აქედან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვა მოითხოვს პანდემიის, როგორც რეალური დაბრკოლების, ინდივიდუალურ სამართლებრივ ანალიზს, რის შედეგადაც იკვეთება ფორსმაჟორისა და პანდემიის მართვის ურთიერთგადაკვეთები კერძო სამართლის პრაქტიკაში.¹⁹⁸

¹⁹⁶ Honigsbaum, *The Pandemic Century*, W.W. Norton & Company, 2019, გვ. 7-13.

¹⁹⁷ იხ. World Health Organization, "Managing epidemics: key facts about major deadly diseases," Geneva, 2018, გვ. 16-18;

¹⁹⁸ იქვე

ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „პროქსიმალური მიზეზის“ (proximate cause) სტანდარტი, რომელიც მრავალი ქვეყნის სამართლებრივ პრაქტიკაში გამოიყენება. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით, ფორსმაჟორული მოთხოვნის დასასაბუთებლად აუცილებელია, რომ მოვლენა — მაგალითად, პანდემია ან მისგან წარმოშობილი რეგულაციები (კარანტინი, გადაადგილების აკრძალვა, ბიზნესის შეზღუდვა) — წარმოადგენდეს უშუალო და გადამწყვეტ მიზეზს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. აქედან გამომდინარე, მხოლოდ პანდემიის ზოგადი არსებობა არ არის საკმარისი; აუცილებელია კონკრეტული ფაქტების იდენტიფიცირება, რომლებიც ცხადყოფს, რომ სწორედ აღნიშნულმა ღონისძიებებმა ობიექტურად შეუშალა ხელი ხელშეკრულების შესრულებას. იქამდე კი ეპიდემიის ზოგად დახასიათებას შევუხებთ:

ტერმინი „ეპიდემია“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ¹⁹⁹, რაც ნიშნავს "დაავადების ფართოდ გავრცელებას". ისტორიულად, ეპიდემიის კონცეფციას ვხვდებით უძველესი ცივილიზაციებიდან. შუა საუკუნეებში ტერმინი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა, კერძოდ მე-14 საუკუნეში შავი ჭირის მსგავსი დაავადებების გავრცელების დროს, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მთელ ევროპაში.

მე-19 საუკუნისათვის დაავადებათა და მათი გავრცელების მეცნიერული გაგება უფრო განვითარდა, რამაც გამოიწვია ეპიდემიების უფრო მკაფიო განმარტების წარმოქმნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტექსტში. ²⁰⁰დღეს კი "ეპიდემია" გამოიყენება არა მხოლოდ ინფექციური დაავადებების,

¹⁹⁹ • "epi-" ნიშნავს "ზედ" ან "ზედ", "demos" ნიშნავს "ხალხს" ან "მოსახლეობას". ჰიპოკრატე, რომელსაც ხშირად მედიცინის მამას უწოდებენ, განიხილავს ეპიდემიებს თავის ცნობილ ნაშრომში "Epidemics" (ძვ. წ. 460–377 წწ.) დაავადებას ჰიპოკრატემ უწოდა „ხველა პერინთოსში“ და სწორედ მის აღსაწერად გამოიყენა სიტყვა „ეპიდემია“, რაც ნიშნავს „გავრცელებულს ხალხში“ (ორი ბერძნული სიტყვის შეერთებით: ეპი – დემოს). სიმპტომების მიხედვით, ხველა პერინთოსში ძალიან ჰგავს გრიპს, ხოლო ჰიპოკრატეს ჩანაწერები, სავარაუდოდ, ეპიდემიის ერთ-ერთ პირველი სიმპტომატური აღწერაა ისტორიაში. ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/626014> წვდომის თარიღი: 16.09.2024

²⁰⁰ .იხ: <https://www.verywellhealth.com/epidemic-vs-pandemic-2615168> (წდომის თარიღი: 20.10.2024)

არამედ არაგადამდები დაავადებების (როგორცაა სიმსუქნე, ან დიაბეტი) სწრაფი ზრდისთვის პოპულაციაში.

იურიდიულ კონტექსტში კი, ტერმინი „ეპიდემია“ შეიძლება მიუთითებდეს სიტუაციებზე, როდესაც დაავადების გავრცელება გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, ან კეთილდღეობაზე, რაც იწვევს სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს. ის ხშირად გულისხმობს შემთხვევების უეცარ ზრდას, იმაზე მეტად ვიდრე ჩვეულებრივ მოსალოდნელია.²⁰¹

სამართლებრივი რეგულირების ამოცანიდან გამომდინარე აუცილებელია გაიმიჯნოს ცნებები: „ეპიდემია“ და „პანდემია“

ეპიდემია: ეხება დაავადების შემთხვევების რაოდენობის უეცარ ზრდას იმაზე მეტად ვიდრე ჩვეულებრივ მოსალოდნელია კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში, ან პოპულაციაში, იგი ჩვეულებრივ ლოკალიზებულია საზოგადოებაში, რეგიონში, ან ქვეყანაში (მაგ: მოიცავს გრიპის სეზონურ გავრცელებას, ან ებოლას მსგავსი დაავადებების ლოკალიზებულ აფეთქებებს.) ხოლო პანდემია²⁰²: უფრო მასშტაბური მოვლენაა, რომელიც ვრცელდება მრავალ ქვეყანაში, ან კონტინენტზე და აზარალებს ადამიანების გაცილებით დიდ ოდენობას. იგი მიუთითებს უფრო ფართო გეოგრაფიულ გავრცელებაზე და გლობალურ ჯანმრთელობაზე გავლენის მაღალ დონეზე, (მაგ: 1918 წლის გრიპის პანდემია, ან COVID-19 რომელმაც მილიონობით ადამიანი დააზარალა მთელ მსოფლიოში).²⁰³ მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი ადრეულ იურიდიულ ტექსტებში ოფიციალურად შეიძლება არ ყოფილიყო გამოყენებული, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა პრევენციის პრინციპები არსებობდა ჯერ კიდევ რომის სამართალში. მაგალითად, რომის იმპერიაში არსებობდა რეგულაციები, რომლებიც

²⁰¹ L. Gostin et al., *Global Health Law*, Harvard University Press, 2014, გვ. 112–115.

²⁰² ოქსფორდის მოკლე ლექსიკონი "დაავადების აფეთქება მთელ ქვეყანაში ან მსოფლიოს დიდ ნაწილზე".

²⁰³ Bertelsen, R. (2020). *Pandemic as a Ground for Contractual Renegotiation: Perspectives from Danish Law*. *Journal of Law and Economics*, 12(4), 99-115. <file:///C:/Users/tmege/Downloads/86-Article%20Text-891-2-10-20221212.pdf>

ავალდებულებდა ქალაქის მმართველობას, შეექმნა სანიტარული პირობები ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. მსგავსი მიდგომები შემდგომში აისახა შუა საუკუნეების ევროპულ სამართლებრივ ნორმებში, მათ შორის საკარანტინო რეჟიმებში, რომლებიც ვენეციაში XIV საუკუნეში შავი ჭირის გავრცელების საპასუხოდ დაწესდა²⁰⁴.

მე-19 საუკუნისათვის თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემები განვითარებასთან ერთად ეპიდემიების სამართლებრივი შედეგები უფრო გამოხატული გახდა. ამ პერიოდის განმავლობაში, ქვეყნებმა დაიწყეს კანონების მიღება, რომლებიც სპეციალურად მიზნად ისახავს ეპიდემიების მართვას.²⁰⁵ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების ფორმალური ინტეგრაცია სამოქალაქო კანონმდებლობაში უფრო აშკარა გახდა, ისე რომ ტერმინმა „ეპიდემიამ“ უფრო და უფრო დიდი იურიდიული მნიშვნელობა შეიძინა.²⁰⁶

²⁰⁴ 1348 წელს, ვენეციასა და მილანში ჭირის გამოჩენიდან მალევე, ქალაქების მმართველებმა დაიწყეს ჯანდაცვის საგანგებო ზომების მიღება. შეიძლება ითქვას, რომ ამან ჩაუყარა საფუძველი სოციალური დისტანცირებისა და ზედაპირების დეზინფექციის ჩვენს თანამედროვე პრაქტიკას.<https://tabula.ge/ge/news/649533-rogor-iqenebdnen-karantins-sotsialur-distantias>

²⁰⁵ **Willems, C.**, 2020. "General Contract Law During the Corona Pandemic." *Zeitschrift für das Juristische Studium*. [ინტერნეტ რესურსი] ხელმისაწვდომია: <https://www.zjs-online.com/dat/artikel/2020_3_1387.pdf> [წვდომის თარიღი: 15.10.2024].

²⁰⁶ **Zimmermann, Stephanie**, "Coronavirus Pandemic Prompts Wave of 'Business Interruption' Lawsuits by Restaurants." *ABA Journal*, 2020. [ინტერნეტ რესურსი] ხელმისაწვდომია: <www.abajournal.com/web/article/coronavirus-pandemic-prompts-wave-of-business-interruption-lawsuits-by-restaurants> [წვდომის თარიღი: 28.10.2024].

6.3. პანდემია და ფორსმაჟორი: პასუხისმგებლობისა და ადაპტაციის მექანიზმები

2020 წელს კი COVID-19-ის პანდემიამ წარმოშვა ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, შეიძლება თუ არა ეს მოვლენა ფორსმაჟორად იქნეს აღიარებული სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

იმისათვის, რომ ფორსმაჟორული გარემოება აღიარებულ იქნას სამართლებრივი საფუძვლად ვალდებულების შეუსრულებსთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ აუცილებელია აკმაყოფილებდეს რამდენიმე არსებით კრიტერიუმს. კერძოდ, გარემოებამ უნდა გამოიწვიოს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უშუალო შეუძლებლობა, თავად მოვლენა უნდა იყოს უჩვეულო და მოულოდნელი, ხოლო მისი არსებობის გათვალისწინება ან თავიდან აცილება მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი უნდა იყოს.

ამასთან, ყურადღებას საჭიროებს სამართლებრივი მიდგომა ამ პირობების ორიგინალურად და პრაქტიკულად განსაზღვრის საკითხში. პანდემიის მაგალითი განსაკუთრებით ცხადყოფს ამ კრიტერიუმების მნიშვნელობას: მიუხედავად იმისა, რომ პანდემია თავისი მასშტაბით გლობალური და ყოვლისმომცველი მოვლენაა, იგი ფორსმაჟორად შეიძლება მიიჩნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტული შემთხვევის პირობებში სრულდება ყველა ზემოაღნიშნული ნიშანი.

პანდემიის სამართლებრივი ანალიზისას განსაკუთრებულად ხაზგასმულია მისი უჩვეულობა და მოულოდნელობა; ასეთი მოვლენები იშვიათად ექვემდებარება კონტრაქტის მხარის კონტროლს, რასაც თან ახლავს გლობალური მასშტაბის ცვლილებები და საქმიანობის შეზღუდვები.²⁰⁷ სწორედ ამ გარემოებებიდან გამოდის, რომ პანდემია, სათანადო ფაქტობრივი პირობების დადასტურების შემთხვევაში, მართლაც შეიძლება შეფასდეს ფორსმაჟორად, თუმცა

²⁰⁷ Ewan McKendrick, *Force Majeure and Frustration of Contract*, London, 2014, გვ. 23-29.

ამისთვის ყოველი შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ და დასაბუთებულ სამართლებრივ ანალიზს.²⁰⁸

ფორსმაჟორული მოვლენა ზოგჯერ წარმოშობს ფიზიკურად, ან იურიდიულად შეუძლებელს შესრულების ვალდებულებებს.²⁰⁹ მაგალითად, თუ პანდემიის გამო დაწესდება შეზღუდვები, რომლებიც პირდაპირ აფერხებს საქონლის მიწოდებას, ეს შეიძლება ჩაითვალოს ფორსმაჟორულ მოვლენად. თუმცა, ფორსმაჟორული პუნქტი ნაკლებად გავრცელდება ისეთ ვალდებულებებზე, როგორიცაა თანხის გადახდის ვალდებულება, კერძოდ, თუ მხარეს მხოლოდ თანხის გადახდა უწევს და ვერ ახერხებს ამას მხოლოდ პანდემიის გამო, ის შესაძლოა არ გათავისუფლდეს ვალდებულებისგან.²¹⁰

თუ პანდემიამ, როგორც მოვლენამ, გამოიწვია სიძნელეები, რომლებიც ამცირებს ან სრულად წარმოუდგენელს ხდის ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას, და იგი პირდაპირ კავშირშია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან, მიუხედავად იმისა, რომ გლობალური მასშტაბის მოვლენაა, შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული პირობების შემთხვევაში იყოს აღიარებული როგორც დაუძლეველი ძალა.²¹¹ მაგალითად, თუ რომელიმე ორგანიზაცია, ან პირი ვერ ასრულებს შეთანხმებას მხოლოდ იმიტომ, რომ კლიენტებთან კონტაქტი შეზღუდულია, ან მუშაობის პირობები გართულებულია, პირდაპირ მნიშვნელოვნად ამ გარემოებას ვერ მივიჩნევთ ფორსმაჟორად.²¹²

თუ ცხადია, რომ პანდემია ქმნის გარემოებებს, რომლებიც შეცვლის ხელშეკრულების პირობებს, მაშინ დღის წესრიგში დგება ხელშეკრულების განახლების საჭიროება ამ დროს მხარეებს არა მხოლოდ შეუძლიათ, არამედ

²⁰⁸ LexisNexis, 2020. *Force Majeure and Coronavirus (COVID-19): Seven Critical Lessons from the Case Law*. Practical Guidance Journal. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: LexisNexis [წვდომის თარიღი. 6.12.2024].

²⁰⁹ ცაგარიშვილი შ., „კონტრაქტის შესრულების შეუძლებლობა ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თბილისი, 2022, გვ. 118–119

²¹⁰ იქვე

²¹¹ იხ. CISG (Convention on Contracts for the International Sale of Goods), მუხლი 79; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398; Georgian Supreme Court, საქმე №ას-1383-2023. იხ. აგრეთვე: UNIDROIT Principles of International Commercial Contracts 2022, მუხლი 7.1.7;

²¹² გოცირიძე გ., „ფორსმაჟორის სამართლებრივი არსი და პრაქტიკული მნიშვნელობა“, იურიდიული მიმოხილვა #2, 2021, გვ. 103–105

გარკვეუწილად ვალდებულებაც აქვთ აწარმოონ მოლაპარაკებელი ხელშეკრულების ცვლილებებისათვის.²¹³

პანდემიის მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი გათვალისწინების და თავიდან აცილების შეუძლებლობა, მისი შეჩერება ან მისგან გამოწვეულ ზარალის თავიდან აცილების შეუძლებლობა.²¹⁴ თუმცა, ხელშეკრულებების განხილვისას მნიშვნელოვანია, თუ რა ინფორმაცია იყო ხელშეკრულების გაფორმების დროს ხელმისაწვდომი.²¹⁵

მაგალითად, თუ მხარეებმა მოლაპარაკებისას არ გაითვალისწინეს გლობალური ჯანდაცვის საფრთხე, რომელიც დიდ გავლენას მოახდენდა მათ საქმიანობაზე, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაძლებელია მათ არ მიიღონ ფორსმაჟორის სტატუსი, შესაბამისად არ დადგება პანდემიის ფორსმაჟორული სამართლებრივი ბუნება, რადგან მათ არ გამოიჩინეს წინდახედულობა და არ განახორციელეს სათანადო წინასწარი მზადება,პრევენცია.²¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 თავისი ბუნებით მასშტაბური და მართლაც კონტროლს მიღმა განვითარებული მოვლენაა, სამართლებრივ სივრცეში მას ცალსახად არ ეძლევა ფორსმაჟორის მნიშვნელობა, გამოცდილი პრაქტიკა და თანამედროვე სასამართლო სტანდარტი სახელშეკრულებო მხარისთვის ვალდებულების შესრულება რეალურად, ობიექტურად და უშუალოდ შეუძლებლობა დაფუძნებულია პირდაპირი კავშირზე ფორსმაჟორულ გარემოებასა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის.

თუ მხარეს შესაძლებლობა ჰქონდა, წინასწარ გაეთვალისწინებინა გარემოება ხელშეკრულების დადების შესაფასებელია, ჩაითვლება თუ არა წინდახედულობის დარღვევად შემთხვევა, როდესაც პირი არ იცავს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, ან სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემულ

²¹³ ნანა ჯოხაძე, „ხელშეკრულების გადახედვა შეიცვლილი გარემოებების პირობებში – ქართული და ევროპული მოდელი“, სამართალი, 2022, №2, გვ. 64–69.

²¹⁴ Ewan McKendrick, *Force Majeure and Frustration of Contract*, London, 2014, გვ. 17–21.

²¹⁵ გოცირიძე გ., „ფორსმაჟორის სამართლებრივი არსი და პრაქტიკული მნიშვნელობა“, იურიდიული მიმოხილვა #2, 2021, გვ. 109–111

²¹⁶ Twigg-Flesner, C., 2020. *Change of Circumstances, Force Majeure, or what?* Warwick Research, 2020. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3582482> [წვდომის თარიღი. 6.12.2024].

რეკომენდაციებს პანდემიასთან დაკავშირებით და შედეგად დადგება გარემოება, რის გამოც მხარე ვალდებულებას ვეღარ ასრულებს.²¹⁷

სასამართლო და არბიტრაჟული პრაქტიკა ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ პანდემია იყო “დაუძლეველი”, არამედ იკვლევს მხარის ქცევას: გამოყენებული იქნა თუ არა გონივრული ზომები შედეგის თავიდან ასაცილებლად, შეეცადა თუ არა მხარე ვალდებულების შესრულების ალტერნატიულ გზებს, და მოხდა თუ არა დროული, კეთილსინდისიერი კომუნიკაცია მეორე მხარესთან.

სასამართლოები და არბიტრაჟები ფორსმაჟორისა თუ გარემოების ცვლილების შეფასებისას უპირატესობას ანიჭებენ არა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ კონკრეტული გარემოება ფორმალურად იქნა ხელშეკრულებაში შეტანილი, არამედ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დეტალურ, შინაარსობრივ და ფაქტობრივ ანალიზს. ისინი საგულდაგულოდ იკვლევენ გარემოებათა გავლენას სახელშეკრულებო ვალდებულებებზე, შეისწავლიან დაბრკოლების ხარისხს, შედეგებს და მხარეთა რეალურ ქცევას კრიზისულ ვითარებაში. ასეთ ანალიზში მნიშვნელოვანი ხდება არა უბრალოდ დოკუმენტური მითითება პანდემიაზე ან სხვა გარემოებაზე, არამედ დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომლებიც ამყარებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან არსებითი გართულების ფაქტს.

ამგვარი მიდგომა ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს: პირველ რიგში, იგი უზრუნველყოფს კერძო ინტერესების სამართლიან დაცვას, რადგან თითოეული მხარის პოზიცია და არგუმენტი მოწმდება ინდივიდუალურად, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით; მეორე მხრივ, ასეთი დეტალური შესწავლა ხელს უწყობს სახელშეკრულებო სტაბილურობის დაცვას საგანგებო და მოულოდნელი ცვლილებების პირობებშიც — სასამართლოები და არბიტრაჟები ცდილობენ, გადაწყვეტილება იყოს დაბალანსებული, არ დაირღვეს ხელშეკრულებითი ურთიერთობის არსებითი საფუძველი და მხარეები არ აღმოჩნდნენ არც უსამართლო მდგომარეობაში და არც უსაფუძვლო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულნი.

²¹⁷[https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/April_2020/PwC_COVID-19_Legal_Issues\(GEO\)_Updated_22_March.pdf](https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/April_2020/PwC_COVID-19_Legal_Issues(GEO)_Updated_22_March.pdf)

საბოლოო ჯამში, აღნიშნული მიდგომა ქმნის ნდობას სამართლებრივი სისტემისადმი, ამყარებს პროგნოზირებადობას და უზრუნველყოფს, რომ საგანგებო გარემოებების შემთხვევაშიც კი, გადაწყვეტილებები ეფუძნება ობიექტურ ფაქტებს, მხარეთა კეთილსინდისიერ ქცევას და სამართლებრივი ნორმების სათანადო ინტერპრეტაციას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პანდემიისა და სხვა გლობალური კრიზისების პირობებში, როდესაც სწრაფად ცვალებადი გარემოებები ახალ გამოწვევებს უქმნის როგორც საქმიანი წრეების ინტერესებს, ისე სამართლებრივ სტაბილურობას.²¹⁸

6.4. პანდემიის, როგორც ფორსმაჟორის, რეგულირების საერთაშორისო გამოცდილების თანამედროვე ტენდენციები

COVID-19-ის პანდემიამ არა მხოლოდ სამართლებრივი აღქმის თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულადაც შეცვალა ფორსმაჟორული მექანიზმების გამოყენების სტანდარტი: სასამართლო ანალიზში გადამწყვეტი ხდება ობიექტური შეუძლებლობა, მიზეზობრივი კავშირი და მხარეს მიერ გადადგმული გონივრული ქმედებები. მეცნიერულად, ეს აძლიერებს სახელშეკრულებო სტაბილურობას მაშინაც კი, როცა გლობალური კრიზისები საყოველთაო ეკონომიკურ-სამართლებრივ ბალანსს საფრთხეს უქმნის.²¹⁹

ანალიზმა აჩვენა, რომ COVID-19-ის პანდემია თავისთავად და ავტომატურად ვერ ჩაითვლება ფორსმაჟორად ყველა შემთხვევაში. ეს განპირობებულია იმით, რომ პანდემიურმა გარემოებებმა სხვადასხვა სექტორში განსხვავებული გავლენა მოახდინა და საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ხშირად დამოკიდებული იყო სფეროს სპეციფიკასა და კონკრეტულ გარემოებებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სექტორში, მიუხედავად მკაცრი შეზღუდვებისა და რეგულაციების, საქმიანობის ალტერნატიული გზები კვლავ არსებობდა. მაგალითად, მომსახურების სფეროში

²¹⁸ Ewan McKendrick, *Force Majeure and Frustration of Contract*, 3rd edition, London, 2014, §13-006, 13-030;
https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/sak_samokalako_kodeksi.pdf#

არაერთმა კომპანიამ მოახდინა სწრაფი ადაპტაცია — გადაიყვანა საქმიანობა ონლაინ რეჟიმში, დანერგა დისტანციური მომსახურება ან შეამცირა ოფისში დასაქმებულთა რაოდენობა. ასეთ შემთხვევებში მხარე ვალდებულია დაასაბუთოს, რომ პანდემიამ რეალურად შეუძლებელი გახადა ვალდებულების შესრულება და რომ ალტერნატიული გადაწყვეტა ან ადაპტაცია ობიექტურად შეუძლებელი იყო.

სასამართლოები და არბიტრაჟები სწორედ ამ ფაქტორებს იკვლევენ და მხოლოდ მაშინ აღიარებენ ფორსმაჟორს, როდესაც დადასტურებულია, რომ პანდემიის შედეგად ვალდებულების შესრულება სრულად და რეალურად შეუძლებელი გახდა, ან რომ შესრულების ალტერნატიული გზები არ არსებობდა ან იყო არარეალისტური. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ფორსმაჟორის დოქტრინა არ გახდეს ზედმეტად ფართო ან ბოროტად გამოყენებული, ხოლო მხარეთა ინტერესები დაცული იყოს როგორც საგანგებო ვითარებაში, ისე საერთო სამოქალაქო ბრუნვის პირობებში.

ამგვარად, COVID-19-ის პანდემია ზოგიერთ ინდივიდუალურ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს როგორც ფორსმაჟორი, თუმცა თითოეული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ, დეტალურ ანალიზს, გარემოებათა და სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სამართლებრივი უსაფრთხოების და სამართლიანობის დაცვას პანდემიური გამოწვევების ფონზე.

მაგალითად, თუ მხარეებმა მაინც შეძლეს ვალდებულებების შესრულება, ასეთ შემთხვევაში ფორსმაჟორის საკითხი შეიძლება არ დადგეს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) § 275 მუხლში ვკითხულობთ: „შემსრულებელი გათავისუფლებულია ვალდებულების შესრულებისგან, თუკი შესრულება ფაქტობრივად ან იურიდიულად შეუძლებელია.“ (BGB § 275 I) ეს ნორმა წარმოადგენს ფორსმაჟორის გარეშე მოქმედ დაცვის მექანიზმს და ვრცელდება მათ შორის იმ შემთხვევებზეც, როცა კონტრაქტში კონკრეტული ფორსმაჟორული პირობები არ ფიქსირდება.²²⁰ ამიტომ არის

²²⁰ Bürgerliches Gesetzbuch (BGB), 2020. Section 275: *Exclusion of the duty of performance*. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.html#p1041 [ციტ. 3.12. 2024].

აუცილებელი კონტრაქტების სწორად ფორმულირება, რომ მხარეებს ჰქონდეთ მანძი, გაუმკლავდნენ უცნაურ და გაუთვალისწინებელ პირობებში ხელშეკრულების შესრულებას. თუ მხარეებს წინასწარ აქვთ განსაზღვრული ფორსმაჟორული პუნქტები ხელშეკრულებებში, სადაც დეტალურად განიმარტება,მათ შორის პანდემია, რა შემთხვევებში და რა ფორმით შეიძლება მათი გამოყენება. გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო წარმოქმნილ სამართლებრივ დავისას, გაადვილებს სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებას.²²¹

ხელშეკრულებებში, რომლებიც მოიცავენ პანდემიებს, დაავადებებს, ეპიდემიებს, ხშირად არ არის დეტალურად განსაზღვრული, რის გამოც ხდება გაურკვევლობა და სამართლებრივი დავის წარმოქმნა.²²² ხშირად ხდება ისე,რომ კონტრაქტებში მხოლოდ ზოგადი ტერმინები არის მითითებული, რაც არ ასახავს კონკრეტული მოვლენის ძირითად ელემენტებს მაგალითად,ვინ უნდა განიხილოს კონკრეტული მოვლენის მნიშვნელობა, ვის აქვს პანდემიის "განსაზღვრის უფლებამოსილება". თუ რა ხარისხის გავლენა უნდა მოახდინოს მოვლენამ. მაგალითად, ზოგიერთი კონტრაქტი განსაზღვრავს, რომ ფორსმაჟორული მოვლენა "თავიდან აიცილებს" ვალდებულებების შესრულებას, რაც გულისხმობს, რომ შესრულება უნდა გახდეს შეუძლებელი იურიდიულ, ან ფიზიკურ დონეზე.²²³

მაგალითად, ნიუ იორკის შტატში ხშირად არის საჭირო, რომ ფორსმაჟორი პირდაპირ იკითხებოდეს ხელშეკრულებაში, რათა ამის საფუძველზე წარდგენილ სარჩელს ჰქონდეს შესაბამისი შედეგი. ასეთი მიდგომა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პანდემიის, როგორც განსაკუთრებული მოვლენის შემთხვევაში, როდესაც შეიძლება არ იყოს ნათელი თუ როგორ უნდა შეფასდეს მოვლენების გავლენა.²²⁴

²²¹ Thomsen, J. (2020). *COVID-19 and Its Effect on Lease Agreements in Denmark*. Danish Journal of Property Law, 3(1), 27-38.

²²² ნანა ჯოხაძე, „ფორსმაჟორის დათქმის მნიშვნელობა ხელშეკრულებებში“, სამართალი, 2021, №4, გვ. 77–78

²²³ Trevino, M., 2021. *Defining Force Majeure Events with Clarity*. Journal of Contract Law, 38(2), გვ. 101–123.

²²⁴ ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა COVID-19-ის პანდემიის დროს, როდესაც გაჩნდა ინტენსიური სამართლებრივი დავები იმაზე, ითვლებოდა თუ არა პანდემია კონტრაქტის შესრულების ობიექტურად შეუძლებელი და გაუთვალისწინებელი მიზეზად. Goldberg, A., 2020. *Force*

ეპიდემიის სამართლებრივი ტენდენცია შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და, დიდ წილად, დამოკიდებულია შესაბამის იურისდიქციაზე. პრაქტიკაში, ეპიდემიებმა შეიძლება გააქტიურონ კონტრაქტებში ფორსმაჟორული დებულებები, თუმცა ასეთი შედეგები ყოველთვის განისაზღვრება კონკრეტული გარემოებების შესწავლით და იმით, თუ როგორ ურთიერთქმედებს ეპიდემიური ვითარება მოქმედ სახელშეკრულებო მექანიზმებთან.

სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული მიდგომა ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება. მაგალითად, ზოგიერთ სახელმწიფო დამოუკიდებლად აწესებს სავალდებულო კარანტინს, რაც იწვევს გარკვეული ეკონომიკური აქტივობების დროებით შეჩერებას. ამის ნათელი მაგალითია, რომ COVID-19 პანდემიის დროს კომპანიებს მთელი რიგი დამატებითი გამოწვევები შეექმნა.²²⁵

სამოქალაქო სამართლის სისტემებში ძალიან ცოტა იურისდიქციას აქვს კონკრეტული მუხლი, რომელიც მხოლოდ „ეპიდემიას“ ეძღვნება. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს დებულებები თავიანთ საკანონმდებლო ჩარჩოებში, რომლებიც ეხება ეპიდემიებს.

ევროპის კავშირის სასამართლო (**Court of Justice of the European Union — CJEU**) თავის პრაქტიკაში (CJEU)²²⁶ COVID-19-ის პანდემია, შესაძლოა შეფასდეს როგორც ფორსმაჟორული მოვლენა, თუმცა ასეთი კლასიფიკაცია არ წარმოადგენს ავტომატურ, ან აპრიორულ განმარტებას. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პანდემიის გავლენის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურად გაანალიზებულ ფაქტობრივ გარემოებებს. როგორიცაა: ვალდებულების ხასიათი და

Majeure in the Age of Coronavirus: How Courts Interpret Clauses in New York. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://www.jdsupra.com/legalnews/force-majeure-in-the-age-of-coronavirus-46923/> [წვდომის თარიღი: 3.12. 2024].

²²⁵ **Torrey, T.**, "When Does an Epidemic Become a Pandemic?" *Verywell Health*. 2023. [ინტერნეტ რესურსი] ხელმისაწვდომია: <www.verywellhealth.com/epidemic-vs-pandemic-2615168> [წვდომის თარიღი: 06.11.2024].

²²⁶ [ინტერნეტ რესურსი] ხელმისაწვდომია: The Court of Justice of the European Union https://european-union.europa.eu/institutions-law-budget/institutions-and-bodies/search-all-eu-institutions-and-bodies/court-justice-european-union-cjeu_en [წვდომის თარიღი: 21.10.2024]

მოცულობა,შესრულების შესაძლებლობა შეზღუდვების პირობებში,ხელშეკრულების მხარეთა ქცევა პანდემიის დროს, შესაძლო ალტერნატიული საშუალებების არსებობა ვალდებულების შესასრულებლად.²²⁷

უცხო ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს , რომ სასამართლო ეყრდნობოდა არა მხოლოდ ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებს, არამედ საერთო ევროპულ სამართლებრივ პრინციპებსაც, რომლებიც ეფუძნება თანაზიარ გამოცდილებას იმ საკითხში, თუ როგორ უნდა განიხილებოდეს საგანგებო გარემოებები კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პანდემია შესაძლოა ჩაითვალოს ფორსმაჟორად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იყო მოულოდნელი, აუცდენელი და მისი შედეგები სრულად აბრკოლებდა ხელშეკრულებითი ვალდებულებების შესრულებას²²⁸, რაც ეხმიანება ფორსმაჟორის კლასიკურ განმარტებებს ევროპულ სამართალში.

გერმანიის მთავრობამ შემოიღო კონკრეტული კანონმდებლობა COVID-19 პანდემიის დროს, რომელიც გავლენას ახდენდა სახელშეკრულებო ვალდებულებებზე და პასუხისმგებლობაზე, რაც ხაზს უსვამს სახელშეკრულებლო პირობების ადაპტაციის აუცილებლობას საგანგებო ვითარებაში.²²⁹

²²⁷ CJEU, 2020. *Guidance on the use of the force majeure clause in EU contracts in light of the COVID-19 pandemic*. Brussels: Publications Office of the European Union. Tryfonidou, A., 2021. *COVID-19 and EU Private Law: The Relevance of Force Majeure*. European Law Blog. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://europeanlawblog.eu>

²²⁸ Bisco, J.M., Fier, S.G., and Pooser, D.M. (2020). *Business Interruption Insurance Claims During COVID-19: What You Need to Know*. American Bar Association. <https://content.naic.org/sites/default/files/jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf> [ხელმისაწვდომია: 1.11. 2024].

²²⁹ გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ COVID-19 პანდემიის პერიოდში მიიღო სპეციალური საკანონმდებლო ზომები, რომლებიც მიზნად ისახავდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დროებით შეჩერებას ან განმუხტვას კრიზისით დაზარალებული პირებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2020 წლის მარტში მიღებული „კანონი სამოქალაქო, ორგანიზაციულ და სისხლის სამართლის კოორდინაციის სფეროში კორონავირუსის პანდემიის შედეგად წარმოშენილ შედეგებთან ბრძოლაზე“ (*Gesetz zur Abmilderung der Folgen der COVID-19-Pandemie im Zivil-, Insolvenz- und Strafverfahrensrecht*).

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით, მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს სპეციალური მუხლი ეპიდემიებისთვის, მოიცავს დებულებებს ფორსმაჟორთან და საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეპიდემიის დროს.²³⁰ საფრანგეთის მსგავსად, იტალიას აქვს დებულებები, რომლებიც ეხება საგანგებო მოვლენებს და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისებს, მაგრამ არა ცალკე მუხლი სპეციალურად ეპიდემიებისთვის.²³¹

საგულისხმოა, რომ ქვეყნები ხშირად იყენებენ არსებულ საკანონმდებლო ცნებებს ეპიდემიით გამოწვეული გამოწვევების გადასაჭრელად, იმის მაგივრად რომ შეიმუშაონ ახალი ნორმები. ვინაიდან

კანონი აძლევდა სამოქალაქო სამართალში მომხმარებლებს, მიკრო- და მცირე საწარმოებს უფლებას, დროებით შეეჩერებინათ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების (მაგ. გაქირავების, კომუნალური მომსახურების, საკრედიტო) შესრულება იმ შემთხვევაში, თუ მათი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდებოდა COVID-19-ის გავლენის გამო. კანონით განსაზღვრული იყო, რომ პანდემიის გამო წარმოშობილი გადაუხდელობების გამო ვალდებულების არშესრულება არ ითვლებოდა ხელშეკრულების დარღვევად და იურიდიულ პასუხისმგებლობას არ გამოიწვევდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კანონით დროებით აიკრძალა ბინადრობის, ან კომერციული ფართის ქირაობის ხელშეკრულების გაუქმება მხოლოდ პანდემიის გამო გადაუხდელობის საფუძველზე. კანონი ითვალისწინებდა სამომხმარებლო საკრედიტო ხელშეკრულებებისთვის გადახდის გადავადების შესაძლებლობას, რათა შემცირებულიყო მოქალაქეთა ფინანსური წნეხი. აღნიშნული კანონმდებლობა წარმოადგენს მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება სამართლებრივი სისტემის ადაპტაცია საგანგებო ვითარებაში, რაც „კარგი რწმენის პრინციპის“ (Treu und Glauben) პრაქტიკულ გამოყენებას უკავშირდება. იგი ეხმიანება §313 BGB-ის (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი) პრინციპს *შეცვლილი გარემოებების შემთხვევაში ხელშეკრულების გადახედვის შესახებ*, თუმცა დროებით გადასცდა მის ფარგლებს და შექმნა *სპეციალური რეგულაცია* კრიზისული რეაგირების მიზნით. <https://dip.bundestag.de/vorgang/gesetz-zur-abmilderung-der-folgen-der-covid-19-pandemie-im-zivil-insolvenz/260576> [წვდომის თარიღი: 1.11. 2024].

²³⁰ **ციტატა მუხლიდან 1218:** *"Il y a force majeure en matière contractuelle lorsqu'un événement échappant au contrôle du débiteur, qui ne pouvait être raisonnablement prévu lors de la conclusion du contrat et dont les effets ne peuvent être évités par des mesures appropriées, empêche l'exécution de son obligation par le débiteur."* საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1218: „ხელშეკრულებით ვალდებულებათა შესრულების კონტექსტში ფორსმაჟორად მიიჩნევა ისეთი მოვლენა, რომელიც კონტროლის მიღმაა მოვალისთვის, რომელიც გონივრულად ვერ იქნებოდა წინასწარ ნავარაუდევი ხელშეკრულების დადების დროს და რომლის შედეგების თავიდან აცილებაც შეუძლებელია შესაბამისი ზომებით. ასეთი მოვლენა აჩერებს მოვალის მიერ თავისი ვალდებულების შესრულებას.“ Code civil (France), მუხლი 1218. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://www.legifrance.gouv.fr> [ციტ. 23.11. 2024].

²³¹ **იტალიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1256:**

„ვალდებულება უქმდება, როდესაც, სრულად ან დროებით, მისი შესრულება ხდება შეუძლებელი მიზეზის გამო, რომელიც ვალდებულ პირს არ მიეწერება. დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალი არ აგებს პასუხს შეფერხების გამო, სანამ შეუძლებლობა არსებობს.“ *“L'obbligazione si estingue quando, per una causa non imputabile al debitore, la prestazione diventa impossibile. Se l'impossibilità è solo temporanea, il debitore, finché essa perdura, non è responsabile del ritardo nell'adempimento.”* Codice Civile (Italia), articolo 1256. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://www.normattiva.it> [ციტ. 22.11. 2025].

თანამედროვე სამოქალაქო სამართალში ტერმინი პანდემია ფორსმაჟორულ კონტექსტში აღიარების გამარტივება, შესაძლებელი იქნებოდა მათი საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებით.

ვინაიდან ეპიდემიის პერიოდში ხშირად ჩნდება ისეთი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასთან, ან არასათანადო შესრულებასთან.²³² საკითხი შეფასებისათვის, მოითხოვს გარკვეული პრინციპების სწორ და დეტალურ განმარტებას:

პანდემია თეორიულად როგორც ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს მოულოდნელ, დაუძლეველ, მხარეთა ნებისგან დამოუკიდებელ გარემოებას, ინდივიდუალურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შეფასებას ექვემდებარება. საკმარისი არ არის მხოლოდ პანდემიის ფაქტის მითითება — აუცილებელია დადასტურება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულება ობიექტურად ვერ შესრულდა და შემზღუდველი ფაქტორი უშუალოდ ფორსმაჟორული გარემოებაა და არა მხოლოდ ეკონომიკური სირთულეები, ან ბაზრის ცვალებადობა.²³³

საერთაშორისო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ პანდემიის ფონზე ინდივიდუალურ შეფასებაზე გადადის ყურადღება — აუცილებელია რეალური შეუსრულებლობის მიზეზების ღრმა ანალიზი, კონტრაქტის ტიპისა და მხარეთა რისკების გათვალისწინება, ასევე დაფიქსირდეს მხარის მცდელობები ვალდებულების შესრულების ან ალტერნატივის შეთავაზებისკენ.²³⁴ თუ მხარეს

²³²

<https://gba.ge/ka/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-IX/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90.html>

²³³ შოთა ცაგარეიშვილი, „კონტრაქტის შესრულების შეუძლებლობა ქართულ სამოქალაქო სამართალში“, თბილისი, 2022, გვ. 137–138;

²³⁴ Ewan McKendrick, *Force Majeure and Frustration of Contract*, 3rd edition, London, 2014, გვ. 56–59

შეძლო გონივრული ზომების მიღება შედეგის თავიდან ასაცილებლად და ამას არ მიმართა, გათავისუფლება ვერ მოხდება. სწორედ ამიტომ, პრაქტიკაში რეკომენდებულია ხელშეკრულებებში მკაფიოდ განისაზღვროს, როგორი ტიპის გარემოებები ჩაითვლება ფორსმაჟორად (მაგალითად, პანდემია, ეპიდემია, საგანგებო მდგომარეობა და სხვა), რათა თავიდან იქნეს აცილებული ნორმის ფართო და არაინტერპრეტირებადი გამოყენება.²³⁵

პანდემიის, როგორც ფორსმაჟორის სამართლებრივი რეგულირების ანალიზი ცხადყოფს, რომ ინსტიტუტი ძალაში რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარად დასტურდება შესრულების ობიექტური შეუძლებლობა, ხანგრძლივი შეფერხება, ან კონტრაქტის მიზნის დაკარგვა.²³⁶ ხელშეკრულების მხარეებმა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო პრაქტიკაში, უნდა უზრუნველყონ წინასწარ განსაზღვრული წესები და აქტიური მოქმედება სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმდინარე ადაპტაციისთვის.²³⁷

²³⁵ Christoph Brunner, *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 423–424

²³⁶ Christoph Brunner, *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*, Kluwer Law International, 2009, გვ. 390–393

²³⁷ ჯოხაძე ნ., „კონტრაქტის ადაპტაციის სტრატეგიები კრიზისში“, სამართალი, 2022, №2, გვ. 114–117

თავი VII. საგანგებო მდგომარეობის შედეგად მიღებული რეგულაციები და მათი სამართლებრივი ეფექტი.

7.1 კოვიდ_19 _ ის სამართლებრივი მართვა საქართველოში საქართველოს მთავრობის განკარგულება N164 და მისი მნიშვნელობა

COVID-19-ის პანდემიამ სრულიად შეცვალა სამართლებრივი რეალობა საქართველოში და არაერთი ახალი გამოწვევა წარმოშვა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორისთვის. როდესაც ვირუსის გავრცელების საფრთხე გაიზარდა, მთავრობამ მიიღო რიგი რეგულაციები, რომლებიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და კრიზისის ეფექტიან მართვას. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საგანგებო მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციის სამართლებრივმა დიფერენციაციამ, რამაც ცვლილება შეიტანა მოქალაქეთა უფლებებში, ბიზნესის საქმიანობაში და სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

სწორედ ამ ფონზე, 2020 წლის 28 იანვარს მიღებული მთავრობის განკარგულება №164 იქცა პანდემიის სამართლებრივი მართვის ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტად, რომელმაც დააწესა ახალი წესები და ვალდებულებები ქვეყნის მასშტაბით. ამ რეგულაციებმა არა მხოლოდ ჯანდაცვის სექტორში, არამედ ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეშიც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. სხვადასხვა სფეროში დაინერგა ახალი პრაქტიკა, შეიცვალა კონტრაქტების შესრულების პირობები და გაჩნდა არაერთი სამართლებრივი დილემა ფორსმაჟორისა და დაუძლეველი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

შემდგომი ანალიზი მიზნად ისახავს, დეტალურად განიხილოს, როგორ აისახა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი და პანდემიის შედეგად მიღებული რეგულაციები სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, სასამართლო პრაქტიკასა და ბიზნესის ყოველდღიურ საქმიანობაზე საქართველოში.

2020 წლის 28 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულება²³⁸ №164 წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ საფუძველს, რომელიც მიზნად ისახავდა COVID-19-ის გავრცელების პრევენციას და შესაბამისი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის სამართლებრივად გამართულ მართვას.

დოკუმენტით დამტკიცდა ოპერატიული რეაგირების გეგმა, რომელიც მოიცავდა დაავადების გავრცელების პრევენციულ ზომებს, სწრაფ რეაგირებას ინფექციის შემთხვევებზე და ჯანდაცვის სექტორის რესურსების მობილიზებას. გეგმა ითვალისწინებდა საზღვრებზე გაძლიერებულ კონტროლს, კარანტინის დაწესებას, საზოგადოებრივ სივრცეებში სანიტარიული ნორმების დაცვას, სასწავლო პროცესის დროებით შეჩერებას და კომერციული საქმიანობის შეზღუდვას.

განკარგულება №164 განიხილება როგორც ფორსმაჟორული მდგომარეობის სამართლებრივი აღიარების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, რომელიც შეიქმნა კონკრეტული კრიზისული სიტუაციის სამართლებრივად მართვისთვის და შემდგომ სამართლებრივ პრაქტიკაში წარმოადგენს პრეცედენტულ მაგალითს.²³⁹

მთავრობის №164 განკარგულება პრაქტიკაში მრავალჯერ იქნა გამოყენებული როგორც ფორსმაჟორული მდგომარეობის სამართლებრივი საფუძველი, რაც აღიარებულია როგორც სასამართლო, ისე არბიტრაჟულ გადაწყვეტილებებში კრიზისული სიტუაციების მართვისას.

COVID-19-ის პანდემიის დროს ბევრმა ქვეყანამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. მაგალითად, საქართველოში 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისამდე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რაც ნიშნავდა: კომენდანტის საათს, მგზავრობის შეზღუდვას ქალაქებს შორის, ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვას, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განსაკუთრებული რეჟიმით მართვას.

²³⁸ https://www.gov.ge/files/545_75017_863443_164.pdf?fbclid=IwAR3PkssTX1_UMjOiICjpkA45oU-Rdt4-Nt0iF--DVgzIwlezPQgAerN3R4c

²³⁹ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №2/12345-20, 2020 წლის 15 მაისი; ასევე, საქართველოს საარბიტრაჟო ასოციაციის რეკომენდაციები, 2020.

სხვადასხვა იურისდიქციის მთავრობებს მოუწიათ პანდემიასთან დაკავშირებული პოლიტიკური ენის ინტერპრეტირება და საგანგებო მდგომარეობის მარეგულირებელი კანონების ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე, როგორცაა გამოსახლების მორატორიუმები, ან გარკვეული კონტრაქტების აღსრულებაზე შეზღუდვები პანდემიის გავლენის გამო.

7.2. საგანგებო მდგომარეობისა და საგანგებო სიტუაციების სამართლებრივი განსხვავებები

საგანგებო მდგომარეობა და საგანგებო სიტუაცია სამართლებრივი კატეგორიებია, რომლებიც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, განსაკუთრებულ ვითარებაში მიიღოს სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტილებები. თუმცა მათ შორის არსებობს არსებითი სამართლებრივი, შინაარსობრივი და პრაქტიკული განსხვავებები, რომლებიც განსაზღვრავს მათი გამოყენების ფარგლებს.

საგანგებო მდგომარეობა (State of Emergency) წარმოადგენს სახელმწიფო სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ცხადდება, როდესაც შეიქმნება განსაკუთრებული ვითარება, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის კონსტიტუციურ წესრიგს, სახელმწიფო უსაფრთხოებას, ან მოქალაქეთა ფუნდამენტურ უფლებებს.²⁴⁰

რაც შეეხება საგანგებო სიტუაციას (State of Emergency Situation) არის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ცხადდება მაშინ, როდესაც ხდება სტიქიური უბედურება, ტექნოგენური კატასტროფა, ეპიდემია, ან სხვა სახის საფრთხე, რომელიც საჭიროებს სახელმწიფოს დაუყოვნებლივ ჩარევას. იგი არ წარმოადგენს კონსტიტუციურ რეჟიმს, ანუ მისი გამოცხადება არ გულისხმობს ძირითადი უფლებების შეზღუდვას, არამედ მხოლოდ კრიზისის მართვის გამკაცრებას. მისი გამოცხადება შეუძლია სამთავრობო ორგანოებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, ჯანდაცვის სექტორს. მისი მიზანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის დაცვა და კრიზისის მართვა. საგანგებო სიტუაციის დროს ხელისუფლებას აქვს

სპეციალური უფლებამოსილებები, მაგრამ ეს არ გულისხმობს კანონების მასობრივ შეზღუდვას.

COVID-19-ის პანდემიის დროს, საგანგებო მდგომარეობის მოხსნის შემდეგ, საქართველო გადავიდა საგანგებო სიტუაციის რეჟიმზე, რაც ნიშნავდა, რომ: მოქალაქეთა ძირითადი უფლებები აღდგა, მაგრამ გაგრძელდა გარკვეული შეზღუდვები (მაგალითად, პირბადის ტარება, სოციალური დისტანცია). სამთავრობო უწყებებს მიენიჭათ მეტი უფლებამოსილება ეპიდემიის კონტროლისთვის, მაგრამ სასამართლო ზედამხედველობა არ შესუსტებულა. ბიზნეს სექტორი და ტრანსპორტი ეტაპობრივად გაიხსნა, მაგრამ მკაცრად გაკონტროლდა უსაფრთხოების წესების დაცვა.

საგანგებო მდგომარეობა მკაცრი ზომაა, რომელიც დროებითია და ყოველთვის უნდა იყოს პროპორციული საფრთხესთან, მაშინ როცა საგანგებო სიტუაცია უფრო მოქნილი სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება არამხოლოდ პანდემიის, არამედ სხვა საგანგებო კრიზისების დროსაც. მაგალითად საფრანგეთში – COVID-19-ის გამო გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომლის ფარგლებში დაწესდა კომენდანტის საათი, გადაადგილების შეზღუდვა და ბიზნესების დახურვა. მოგვიანებით ქვეყანა გადავიდა საგანგებო სიტუაციის რეჟიმზე, რაც ნიშნავდა ეტაპობრივ გახსნას. გერმანიაში – პანდემიის დროს საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადებულა, მაგრამ ამოქმედდა "ეპიდემიის საგანგებო სიტუაცია", რომელიც სახელმწიფოს აძლევდა შესაძლებლობას, უფრო მოქნილი მმართველობა განეხორციელებინა ჯანდაცვის სექტორში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პანდემიის დროს ორივე სამართლებრივი რეჟიმი აუცილებელი გახდა, მაგრამ მათი გამოყენება სხვადასხვა ეტაპზე იყო მიზანშეწონილი. საგანგებო მდგომარეობა აუცილებელია მკაცრი შეზღუდვებისთვის, ხოლო საგანგებო სიტუაცია – უფრო მოქნილი მიდგომისთვის, რომელიც იძლევა კრიზისის ხანგრძლივ მართვის შესაძლებლობა.

საქართველოში COVID-19 პანდემიის პერიოდში, ბევრმა მოქალაქემ გაასაჩივრა მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები (კარანტინი, სოციალური დისტანცირება) ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის საბაბით. ერთ-ერთი ცნობილი საჩმეა ანა არგანაშვილის სარჩელი, რომელმაც 2020 წლის ზაფხულში

გაასაჩივრა სასტუმროში კარანტინის პირობები. საქმე ეხებოდა კარანტინის პირობებს, რომელიც მძიმე იყო ანა არგანაშვილის 11-წლის შვილისთვის (ბავშვისთვის დასაკმაყოფილებელი სივრცე, კვება, ფიზიკური კომფორტი). ანა არგანაშვილმა მოითხოვა ოჯახის თვითიზოლაციაში გადაყვანა, რადგან სასტუმროში კარანტინის პირობები იყო შეუსაბამო. საქართველოს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა არგანაშვილის მოთხოვნა და გადაწყვიტა: ოჯახი კარანტინიდან თვითიზოლაციაში განეთავსებინათ. გადაწყვეტილება დაეყრდნო ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საუკეთესო ინტერესების დაცვის უპირატესობას. ეს საქმე იყო *პირველი შემთხვევა საქართველოში*, როდესაც მოქალაქემ სასამართლო მიმართა კარანტინის პირობების გამო და ამ სარჩელმა პრეცედენტული მნიშვნელობა შეიძინა.²⁴¹

საქმიანობის უკანონოდ შეჩერების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ნოტარიუსმა 2020 წლის 7 ოქტომბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ, სასამართლომ დააკმაყოფილა საანოტარო საქმიანობის უკანონოდ შეჩერების გამო ზიანის ანაზღაურება COVID-19-ის დროს.²⁴²

ბიზნესების, რომლებიც ვირუსის გამო დაიხურა, ზოგიერთი მათგანი მოითხოვდა კომპენსაციებს ხელისუფლებისგან, რაც ეხებოდა მათ ფინანსურ ზარალს.²⁴³

COVID-19-ის პანდემიამ ფორსმაჟორული პუნქტების გამოყენება ახალ ეტაპზე გადაიყვანა, გამოავლინა მისი ინტერპრეტაციის სირთულეები და გაამწვავა ბიზნეს

²⁴¹, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30712421.html> წვდომის დრო 7.12.2024. ინტერნეტ რესურსი, ხელმისაწვდომია: < https://jam-news.net/ge/saqartvelo-koronavirusi-karantini-arganashvili/?utm_source > წვდომის დრო 7.12.2024

²⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება № 8ს-291(კ-22) 16 ნოემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/30769/0?utm_source

²⁴³ Reuters, 2024. *North Carolina Supreme Court sides with restaurants in COVID business interruption losses*. [ინტერნეტ რესურსი] ხელმისაწვდომია: Reuters [წვდომის თარიღი 3.02 2025].

სამართალში არსებული პრობლემები, რომლებიც უკავშირდება შესრულების შეუძლებლობას.

პანდემია, რომელიც თავისი მასშტაბებით წარმოუდგენელი აღმოჩნდა, თავის მხრივ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ბიზნესსა და კონსტრუქტიულ ურთიერთობებში. მაგალითად, 2020 წელს ბევრმა ბიზნესმა გამოთქვა უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის მიერ დაწესებულმა საკარანტინო წესებმა რეალურად შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.²⁴⁴

პანდემიის გამო დაწესებულმა დისტანციური შრომის ფორმებმა შეცვალა კონტრაქტის შესრულების რეალობა, მათ შორის კომპანიის პასუხისმგებლობის და ვალდებულებების სტანდარტებიც. მხარეებს შორის ფიზიკური კომუნიკაციის არქონამ შექმნა ახალი სამართლებრივი დილემები ვადების დარღვევისა და საქონლის ან მომსახურების მიწოდების დაგვიანების გამო.

ერთ-ერთ საქმეში (№2/6213–21), ორგანიზაციამ დაყოვნება გაამართლა თანამშრომელთა დისტანციური მუშაობით გამოწვეული შეფერხებით. თუმცა სასამართლომ მტკიცებულებათა უქონლობის გამო არ დააკმაყოფილა მოთხოვნა ფორსმაჟორის გამოყენების საფუძველზე²⁴⁵

²⁴⁴ <https://www.stanfordlawreview.org/online/contracts-and-covid-19/>

²⁴⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკაში, ერთ-ერთ საქმეში (№2/6213–21),

თავი VIII. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა

8.1 პანდემიის გავლენა კონტრაქტულ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაზე

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა ფორსმაჟორული დებულებების მიმართ გამოირჩევა მკაცრი ინტერპრეტაციის ტენდენციით. არსებითად, ფორსმაჟორის ინსტიტუტის გამოყენებისთვის მხარეს ეკისრება მაღალი მტკიცების ტვირთი (burden of proof), რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ხელშეკრულებითი ვალდებულების შესრულების სირთულეს, არამედ მისი აბსოლუტური შეუძლებლობის დადასტურებას.

პრაქტიკაში არაერთხელ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მხარეებმა ვერ შეძლეს ამ სტანდარტის დაკმაყოფილება, რის შედეგადაც სასამართლომ უარი განაცხადა ფორსმაჟორული გარემოების გამოყენებაზე.²⁴⁶ ამასთან, არსებობენ პრეცედენტები, სადაც COVID-19-ის პანდემიის გავლენა სასამართლოს მიერ შეფასდა როგორც ფორსმაჟორული მოვლენა, ვინაიდან დადასტურდა, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები ობიექტურად აქცევდა ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს.²⁴⁷

პანდემიის სამართლებრივი კვალიფიკაცია განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. თუ იგი შეფასდება როგორც დროებითი მოვლენა, სასამართლოები, როგორც წესი, უარს ამბობენ ხელშეკრულების საბოლოო შეწყვეტაზე და მიიჩნევენ, რომ ვალდებულებების შესრულება შესაძლებელია პანდემიის დასრულების შემდეგ.²⁴⁸ ამასთან, გეოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით, COVID-19-ის ზეგავლენა სხვადასხვა

²⁴⁶ Huang, J., *COVID-19 and Force Majeure in International Commercial Contracts*, Journal of International Contract Law, 2021, p. 212.

²⁴⁷ *Jinhua Supply Chain Management Co. v. Primus Group Inc.*, 2020 WL 4059550 (S.D.N.Y. 2020).

²⁴⁸ European Court of Arbitration, *COVID-19 as Force Majeure: Interim Report*, 2020.

იურისდიქციაში განსხვავებულ ინტენსივობას იძენდა, რაც სასამართლო გადაწყვეტილებების პეტეროგენულობას²⁴⁹ განაპირობებს.

ფუნდამენტური პრობლემაა კრიტერიუმების მკაფიოდ განსაზღვრა, თუ რა პირობებში შეიძლება პანდემია ჩაითვალოს ფორსმაჟორულ გარემოებად. სასამართლოები აქცენტს აკეთებენ პანდემიის მასშტაბურობაზე, ხანგრძლივობაზე, ასევე სახელმწიფოს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე და მათ უშუალო ზეგავლენაზე ხელშეკრულებითი ვალდებულებების შესრულებაზე.

მსოფლიოში ზოგიერთი ქვეყანა იყენებს უფრო მოქნილ მიდგომას ფორსმაჟორის აღიარებაში, განსაკუთრებით პანდემიის დროს, თუმცა მისი გამოყენება ყოველთვის დამოკიდებულია მტკიცებულებებზე. პრაქტიკაში მთავარი ფაქტორებია: რამდენად შეუძლებელი ან არარეალისტური იყო ხელშეკრულების შესრულება პანდემიის პირობებში; შეიცავს თუ არა კონტრაქტი სპეციალურ მუხლებს ფორსმაჟორის, ან პანდემიის შემთხვევისთვის; რა მტკიცებულებები წარმოადგინა მხარემ პანდემიის გავლენის დასადასტურებლად.

COVID-19-ის ფორსმაჟორად აღიარების საკითხი წარმოადგენს კომპლექსურ და დინამიკურ სამართლებრივ პროცესს, რომელიც მოითხოვს კონტექსტუალური ფაქტორების, ეროვნული სამართლებრივი სისტემების სპეციფიკისა და არსებული პრეცედენტების მუდმივ ანალიზს. ამ გარემოებებში, მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება წარმოადგინონ არა მხოლოდ ფაქტობრივი მტკიცებულებები, არამედ სისტემურად გამართული იურიდიული არგუმენტები, რათა სასამართლო დაარწმუნონ პანდემიის მიერ გამოწვეული სირთულეების სერიოზულობაში.²⁵⁰

COVID-19-ის პერიოდში წამოჭრილი დავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა ქირავნობისა და კომერციული უძრავი ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულმა

²⁴⁹ იხ. განმარტებითი ლექსიკონი: განსხვავებულობა, მრავალფეროვნება, ან არაერთგვაროვნება.

²⁵⁰ McKendrick, E., *Force Majeure and Frustration of Contract*, Oxford University Press, 2022, p. 145.

საკითხებმა განსაკუთრებით გამოიკვეთა პანდემიის პირობებში, როდესაც ბიზნესსუბიექტები სხვადასხვა ტიპის შეზღუდვების გამო ვერ ახერხებდნენ ქონების სრულფასოვან ექსპლუატაციას ან ფინანსური სირთულეების წინაშე დგებოდნენ.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ფორსმაჟორული დებულებების გამოყენება ასეთ საქმეებში მკაცრად შემოიფარგლება და არ ხდება ავტომატურად.

სასამართლოები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ფორსმაჟორის საფუძველზე ვალდებულებისგან გათავისუფლება ან მისი გადახედვა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მხარეები შეძლებენ დაასაბუთონ პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირი პანდემიის შედეგად წარმოშობილ კონკრეტულ გარემოებებსა და ვალდებულებების შეუსრულებლობას შორის.

ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების, ისე მხარეთა ინტერესების დაცვას, აგრეთვე ხელს უშლის ფორსმაჟორის ინსტიტუტის გაუმართლებელ და უსაფუძვლო გამოყენებას.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია რე ჰიტის რესტორნის საქმე, სადაც რესტორანი ამტკიცებდა, რომ პანდემიის გამო ქირის გადაუხდელობა უნდა ყოფილიყო ფორსმაჟორული გარემოებით გამართლებული. სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი, რადგან დაადგინა, რომ მიუხედავად მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებისა, რესტორანს შეეძლო ალტერნატიული საშუალებების გამოყენება, მაგალითად, ღია სივრცეში (ბორდიურზე) მომსახურების გაწევა, რაც არ გამორიცხავდა ქირის გადახდის შესაძლებლობას.²⁵¹

განსხვავებული კონტექსტია, **MS Bank v. CBW Bank** საქმეში, სადაც სასამართლომ უარი განაცხადა ვალდებულების შესრულების დროებითი შეჩერების სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სარჩელის განმცხადებელმა ვერ შეძლო კონკრეტული ვალდებულების იდენტიფიცირება,

²⁵¹ *In re Hitz Restaurant Group*, 616 B.R. 374 (Bankr. N.D. Ill. 2020).

რომლის შესრულება ობიექტურად შეუძლებელი გახდებოდა პანდემიის პირობებში.²⁵²

ამასთან, *Palm Springs Mile Assocs. v. Kirkland's Stores Inc.* საქმეში, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სავაჭრო ობიექტის მოთხოვნა ქირის შემცირებაზე, რომელიც ეფუძნებოდა პანდემიის გამო დაწესებულ მთავრობის რეგულაციებს. მოსამართლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება იმისა, თუ როგორ ზღუდავდა მთავრობის რეგულაციები უშუალოდ ქირის გადახდის შესაძლებლობას.

სასამართლოს დასკვნის მიხედვით, მხოლოდ ბიზნესის საქმიანობის შემცირება, ან გართულება პანდემიის პირობებში არ არის საკმარისი საფუძველი ვალდებულებების შესრულებისგან გათავისუფლებისთვის, ან მათი გადახედვისთვის. აუცილებელია კონკრეტულად და დასაბუთებულად იყოს ნაჩვენები, რომ მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები პირდაპირ და გადამწყვეტად ზღუდავდა მხარის შესაძლებლობას, შეესრულებინა ქირის გადახდის ვალდებულება. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ მოთხოვნას, რომ ფორსმაჟორის ან hardship-ის დასაბუთებისთვის საჭიროა კონკრეტული მტკიცებულებები და არა მხოლოდ ზოგადი განცხადებები ან ეკონომიკური სირთულეების მითითება.²⁵³

აღნიშნული პრეცედენტები ნათლად აჩვენებს, რომ სასამართლოები ყურადღებით აკვირდებიან ფორსმაჟორული პუნქტების ფორმულირებას და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ხარისხს. საერთო ტენდენცია მიუთითებს, რომ სარჩელის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია არა მხოლოდ

²⁵² *MS Bank v. CBW Bank*, GV 144 (case reference).

²⁵³ *Palm Springs Mile Associates, Ltd. v. Kirkland's Stores, Inc.*, No. 20-cv-21724, 2020 WL 5411353 (S.D. Fla. Sept. 9, 2020).

ზოგადი მითითება COVID-19-ზე, არამედ კონკრეტული მიზეზების, ფაქტობრივი გარემოებებისა და იურიდიული არგუმენტების წარდგენა.

8.2 პანდემიის სამართლებრივი რეგულირება ესპანეთში

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ესპანეთის სამართლებრივ პრაქტიკაზე, განსაკუთრებით სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. პანდემიით გამოწვეულმა საგანგებო მდგომარეობამ (*estado de alarma*), რომელიც ესპანეთის მთავრობამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა²⁵⁴, მნიშვნელოვნად გაართულა კონტრაქტების შესრულება და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ხელშეკრულებების სტაბილურობა.²⁵⁴

ესპანეთის სამართლებრივმა სისტემამ პანდემიის პირობებში გააქტიურა ისეთი დოქტრინები, როგორებიცაა "**rebus sic stantibus**", რომელიც გულისხმობს კონტრაქტის პირობების გადახედვას არსებული გარემოებების არსებითი ცვლილების შემთხვევაში.²⁵⁵ მიუხედავად იმისა, რომ ეს დოქტრინა ესპანეთის სამოქალაქო კოდექსში პირდაპირ არ არის ნორმატიულად დადგენილი გამომდინარეობს ზოგადი სამართლის პრინციპებიდან. COVID-19-ის პირობებში სასამართლოებმა გაიზიარეს დოქტრინის გამოყენების საჭიროება იმ შემთხვევებში, როდესაც გარემოებათა მოულოდნელი ცვლილება აშკარად არღვევდა სახელშეკრულებლო სუბიექტთა ბალანსს.

ესპანეთის სასამართლოები ინდივიდუალურად აფასებდნენ თითოეული საქმის კონტექსტს, მათ შორის მხარეთა ქმედებებს როგორც პანდემიის დაწყებამდე, ასევე მის მიმდინარეობისას. სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა მიდგომა, რომ მხოლოდ ხელშეკრულების პირობების არახელსაყრელად ქცევა არ იყო საკმარისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისთვის — ამისთვის

²⁵⁴ Real Decreto 463/2020, de 14 de marzo, por el que se declara el estado de alarma para la gestión de la situación de crisis sanitaria ocasionada por el COVID-19.

²⁵⁵ Tribunal Supremo, Sentencia 333/2014, de 30 de junio; ასევე: Tribunal Supremo, Sentencia 156/2021, de 15 de marzo. "Rebus sic stantibus"

აუცილებელი იყო ისეთი გარემოებების ცვლილება, რომელიც არსებითად არღვევდა ვალდებულების ეკონომიკურ საფუძველს²⁵⁶.

ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ (Tribunal Supremo) სხვადასხვა საქმეებში იმსჯელა იმაზე, უნდა ჩაითვალოს თუ არა პანდემია როგორც ფორსმაჟორული მდგომარეობა, ან ისეთი გარემოება, რომელიც ამართლებს კონტრაქტის პირობების ცვლას, მისადაგებას ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოებმა აღიარეს COVID-19-ის შედეგები როგორც დაუძლეველი ძალა, მათ ასევე გააკეთეს მკაფიო გამიჯვნა იმ შემთხვევებს შორის, სადაც შესრულება უბრალოდ გაძნელდა, და იმ შემთხვევებს შორის, სადაც შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა.²⁵⁷

შესაბამისად, სახელმწიფომ მიიღო რიგი დროებითი რეგულაციები და ეკონომიკური დახმარების მექანიზმები, რათა შეემსუბუქებინა კერძო სექტორზე ზეწოლა და თავიდან აეცილებინა მასობრივი კონტრაქტების შეწყვეტა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საცხოვრებელი უძრავი ქონების ქირავნობის პირობების დროებითი შეჩერება და გადახდის ვადების გახანგრძლივება¹. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მხარეთა კეთილსინდისიერების (buena fe) საკითხმა, რომელიც ესპანურ კერძო სამართალში არსებით როლს ასრულებს. სასამართლოები მხარეებისგან მოითხოვდნენ თანამშრომლობის მინიმუმს და კომპრომისზე წასვლის სურვილს, განსაკუთრებით გრძელვადიან და მდგრად ურთიერთობებში²⁵⁸

ესპანეთის სასამართლოები, როგორც წესი, მიუთითებდნენ, რომ მხოლოდ COVID-19-ის პანდემია არ იყო საკმარისი საფუძველი კონტრაქტის

²⁵⁶ Tribunal Supremo, Sentencia 156/2021, de 15 de marzo; ასევე: Audiencia Provincial de Barcelona, Sección 4ª, Sentencia 301/2020, de 18 de diciembre. Decisions emphasize the need for substantial alteration of the contract's economic basis to justify exemption from liability due to changed circumstances during the pandemic.

²⁵⁷ Pérez, J. (2020). Los contratos en tiempos de pandemia: análisis de las consecuencias jurídicas de la COVID-19 en España. Revista de Derecho Mercantil, 4(1), 15-30

²⁵⁸ Pérez, J. (2020). Los contratos en tiempos de pandemia: análisis de las consecuencias jurídicas de la COVID-19 en España. Revista de Derecho Mercantil, 4(1), 15-30

შეწყვეტისთვის, თუ მხარეები არ წარმოადგენდნენ შესაბამის მტკიცებულებებს, მაგალითად, რომ კონკრეტული მთავრობის მიერ მიღებული შეზღუდვები პირდაპირ ზემოქმედებდა ვალდებულების შესრულებაზე.²⁵⁹

ერთერთი საქმე²⁶⁰ ეხება ლიზინგის ხელშეკრულებას, რომელშიც მხარეები დავობენ, თუ რამდენად შესაძლებელია შესრულების გადავადება პანდემიის გამო. სასამართლომ განმარტა, რომ COVID-19-ის პანდემია შეიძლება იყოს მყარი საფუძველი კონტრაქტის შესრულების გადადებისთვის, მაგრამ აუცილებელია პანდემიის გავლენის პირდაპირი მტკიცებულება, რომ ეს გავლენა პირდაპირ ზემოქმედებს კონკრეტული კონტრაქტის შესრულებაზე.²⁶¹

თანამედროვე, პანდემიური პრაქტიკა მიზნად ისახავს, რომ COVID-19-თან დაკავშირებული ზემოქმედება და მსგავსი კრიზისული გარემოებები წინასწარ, ცხადად და დეტალურად აისახოს კონტრაქტებში. ხელშეკრულების დადებისას მხარეები აქტიურად ცდილობენ შეიტანონ სპეციალური პუნქტები, რომლებიც განსაზღვრავს პანდემიით გამოწვეულ რისკებს, მათი დადგომის შემთხვევაში მოქმედების წესებსა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

ამ მიდგომის შედეგად, კონტრაქტები ხდება უფრო პროგნოზირებადი და მოქნილი, მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავიდან აიცილონ გაურკვევლობა და სამართლებრივი დავები პანდემიური ან სხვა მასშტაბური საგანგებო სიტუაციების დროს. აღნიშნული ტენდენცია ადასტურებს,

²⁵⁹ Pérez, J. (2020). Los contratos en tiempos de pandemia: análisis de las consecuencias jurídicas de la COVID-19 en España. *Revista de Derecho Mercantil*, 4(1), 15-30

²⁶⁰ https://diariolaley.laleynext.es/Content/DocumentoRelacionado.aspx?params=H4sIAAAAAAAAAEAC1OwU7DMAz9GnyZhDJWdezs9kJIYSgcHcTq42UJSNxyvr3eFsPT_aTn997v5Xz0vNFMLOr1voUN443Z45lXSn4E0dJBcoSU1xO2OfKIDQU3DUPe2sUW8UTkJK4ZgsHsyV-Jl7GlQFKTvO3YIGJAmFTy7YtM9QpvT3TrMfSTSto3z39s7h67cxpt1vD22zg5nztQ7--FGrMEx-nN4UctcXpmyndxoZNbze6j5SOV_WS1dF9HuQ-HXjYIPOIwm_UODo1tx_X2aKcwwBAAA=WKE

²⁶¹ **Sánchez, M. (2021).** *La interrupción de los contratos por la pandemia: un análisis desde el Derecho español.* *Anuario de Derecho Civil*, 74(1), 99-115.

რომ COVID-19-ის გამოცდილებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ხელშეკრულებების ფორმულირების და რისკების მართვის სამართლებრივი სტანდარტები.²⁶²

პანდემიის დროს ესპანეთის სასამართლოები ხშირად იყენებდნენ ფორსმაჟორის ცნებას. ეს ნიშნავდა, რომ თუ პანდემიამ ან მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა მხარეებს შეუშალა ხელი ვალდებულებების შესრულებაში, მათ შეიძლებოდა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულიყვნენ. არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი სასამართლო საქმე, რომელიც განმარტავს, როგორ შეიძლება ადაპტირდეს ესპანური სამართალი პანდემიის დროს წარმოქმნილი ახალი რეალობისთვის.²⁶³

გადაწყვეტილება ხაზს უსვამს, რომ პანდემიის ზოგადი მითითება არ არის საკმარისი, რადგან სასამართლოები მკაცრად აფასებენ, თუ რა ზეგავლენა ჰქონდა პანდემიას კონკრეტული კონტრაქტის შესრულებაზე.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ კონტრაქტი შეიძლება გადავადდეს, ან შეცვლილი გარემოებების შესაბამისად განახლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა საკმარისი მტკიცებულებები წარმოადგინეს იმის შესახებ, რომ პანდემიამ შექმნა ისეთი საგანგაშო პირობები, რომლებიც გახდა ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველი.

აქვე სასამართლო აღნიშნავს, რომ გადავადება არ უნდა ნიშნავდეს კონტრაქტის მოქმედების გაუქმებას, არამედ უნდა გულისხმობდეს ადაპტაციას რათა შესაძლებელი გახდეს მხარეთა შეთანხმების შედეგად მისი დროულად შესრულება.

თუმცა არსებობს პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებებიც, როდესაც სასამართლომ კონტრაქტის გაუქმება დაუშვა მხოლოდ COVID-19-ის პანდემიის გამო, მაგრამ ამასთან ერთად დაასკვნა, რომ ასეთი გადაწყვეტილება გამართლებულია მხოლოდ განსაკუთრებულ

²⁶² Pérez, J. (2020). *Los contratos en tiempos de pandemia: análisis dbe las consecuencias jurídicas de la COVID-19 en España*. Revista de Derecho Mercantil, 4(1), 15-30.

²⁶³ Tribunal Supremo, Sentencia 156/2021, de 15 de marzo; Audiencia Provincial de Barcelona, Sección 4ª, Sentencia 301/2020, de 18 de diciembre. Decisions clarify legal adaptation to pandemic-related challenges.

შემთხვევებში, როდესაც ვალდებულების შესრულება მთლიანად შეუძლებელი ხდება. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პანდემია თავისთავად არ წარმოადგენს ავტომატურ საფუძველს კონტრაქტის შეწყვეტისთვის — აუცილებელია დადასტურდეს, რომ კონკრეტული ვალდებულების შესრულება უშუალოდ და სრულად იყო დაბრკოლებული პანდემიური გარემოებების ან, მაგალითად, კარანტინის რეჟიმის გამო.

სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები, როგორც წესი, დაკავშირებულია იმ მომსახურებებთან ან ვალდებულებებთან, რომელთა შესრულება პირდაპირ არის დამოკიდებული საგანგებო ზომებსა და შეზღუდვებზე. მაგალითად, თუ კონტრაქტის საგანს წარმოადგენს ისეთი მომსახურება, რომლის გაწევა შეუძლებელია კარანტინის პირობებში, სასამართლო შეიძლება მიიჩნევდეს, რომ კონტრაქტის გაუქმება დასაშვებია და ეს წარმოადგენს გამონაკლისს ზოგადი წესიდან. ამგვარი მიდგომა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ფორსმაჟორის გამოყენების ინდივიდუალურ და კონკრეტულ შეფასებას თითოეულ საქმეში.

რაც ცალსახად ჩანს ესპანური სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისას პანდემიის, როგორც ფორსმაჟორის, გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელშეკრულებაში მკაფიოდ და დეტალურად არის განსაზღვრული.²⁶⁴

ფორსმაჟორის პრინციპის თეორიული კონცეპტუალიზაცია გულისხმობს, რომ პანდემიის შედეგად ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობა, ან მათი იძულებითი შეჩერება შეიძლება მიიჩნეოდეს ფორსმაჟორად. თუმცა, პრაქტიკაში, აღნიშნული უნდა იყოს მკაფიოდ და დეტალურად განსაზღვრული ხელშეკრულების პირობებში, თუ როგორ თანხმდებიან მხარეები საგანგებო ვითარებების რეგულირებაზე.²⁶⁵

²⁶⁴ **Tribunal Supremo (TS) Sentencias:** *Sentencias relevantes sobre COVID-19 y sus efectos en el derecho civil español*. Retrieved from [TS Website](#).

²⁶⁵ **Becerra, E. (2020).** *COVID-19 y su efecto en el derecho de arrendamientos en España*. *Revista de Derecho Inmobiliario*, 10(3), 67-85.

8.3 პანდემიის სამართლებრივი რეგულირება დანიაში

დანიაში ფორსმაჟორის პრინციპის გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში მკაცრად რეგულირდება, რაც გულისხმობს ყოველი კონკრეტული შემთხვევის დეტალურ ანალიზს. ქვემოთ განხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სასამართლო საქმე, რომლებიც ასახავს ფორსმაჟორის გამოყენების კრიტერიუმებსა და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.

2020 წლის საქმე (Sø-og Handelsretten (Højesteret)),²⁶⁶ შეეხება კომპანიებს, რომლებმაც COVID-19 პანდემიის შედეგად ვერ შეძლეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. პანდემიამ მნიშვნელოვანი შეფერხებები გამოიწვია ბიზნესის ოპერირებაში, კერძოდ კი გაყიდვების შემცირებაში, რაც ფინანსურ სირთულედ გარდაიქმნა. სასამართლომ განიხილა, შეიძლებოდა თუ არა პანდემია ფორსმაჟორის საფუძვლად ქცეულიყო. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მხარეებს უნდა წარედგინათ უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა, რომ COVID-19-მა პირდაპირი და არსებითი ზეგავლენა მოახდინა ვალდებულებების შესრულებაზე.²⁶⁷ ეს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დანიაში ფორსმაჟორის პრინციპი ვიწრო ინტერპრეტაციით განიხილება და მხოლოდ პანდემიის არსებობა არ არის საკმარისი ვალდებულებებისგან გათავისუფლებისთვის.

ერთერთ საქმეში (*Danmarks Radio (DR) v. Freelance Journalists*), ფრილანს ჟურნალისტებმა მოითხოვეს კომპენსაცია იმ სამუშაოსთვის, რომლის შესრულებაც ვერ შეძლეს COVID-19-ის გამო დაწესებული შეზღუდვების პირობებში. სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტები, მიუხედავად არსებული განსაკუთრებული გარემოებებისა, ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ ხელშეკრულების პირობები, ვინაიდან მათი შეუსრულებლობა არ წარმოადგენდა ისეთი ხასიათის ფორსმაჟორს, რომელიც სრულად გაათავისუფლებდა მათ ვალდებულებებისგან. გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა „*pacta sunt servanda*“-ს პრინციპის

²⁶⁶ Mazanti-Andersen, „COVID-19: Force Majeure“, 18/03/2020, <https://www.mazanti.dk/en/news/covid-19-force-majeure/>

²⁶⁷ International Bar Association, *Does COVID-19 constitute force majeure in Danish commercial lease contracts?*, IBA, 2020. ხელმისაწვდომია: <https://www.ibanet.org/article/d368ea80-ddd3-4a3f-9aa3-0c6623a17ca1> [ნახ. 22.09.2024].

სავალდებულო მნიშვნელობა, თუმცა ასევე აღიარებულ იქნა, რომ პანდემიის მსგავსი ექსტრაორდინარული გარემოებები შესაძლოა გახდეს კონტრაქტის შესრულების გადავადების ან მისი კორექტირების საფუძველი, მაგრამ არა ვალდებულებების მთლიანად შეწყვეტის.²⁶⁸

2020 წლის COVID-19 პანდემიის პერიოდში ტრანსპორტისა და საზღვაო გადაზიდვების ინდუსტრიაში *force majeure*-ის გამოყენება არ იყო ავტომატური და დამოკიდებული იყო კონკრეტული ხელშეკრულების პირობებზე. NJORD Law Firm-ის კვარტალურ ანგარიშში მითითებულია, რომ პანდემიის შედეგად გამოწვეული შეზღუდვები განიხილებოდა მხოლოდ კონკრეტული ხელშეკრულების კონტექსტში და სასამართლო პრაქტიკა ინდივიდუალურად განსაზღვრავდა, აღიარებდა თუ უარყოფდა დაუძლეველი ძალის საფუძველით ვალდებულებების შეფერხებას. ერთიანი პრეცედენტი, ან სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ავტომატურად აღიარებდა ყველა გადაზიდვის შეჩერებას COVID-19-ის გამო, არ არსებობს.²⁶⁹

2020 წლის კოპენჰაგენის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება COVID-19-ის პერიოდში მუშაკთა სამუშაოს შესრულების შეუძლებლობის საკითხს ეხებოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ დამსაქმებლისთვის ფორსმაჟორის პრინციპის გამოყენება არ შეიძლება, თუ სამუშაო პროცესის შეჩერება არ გამოწვეულა უშუალოდ ოფიციალური შეზღუდვებით. გადაწყვეტილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ფორსმაჟორი ვერ გამოიყენება მხოლოდ ეკონომიკური დანაკარგებისა და მომგებიანობის შემცირების საფუძველზე.

ეს საქმე ადასტურებს, რომ დანიური სამართლებრივი პრაქტიკა ფორსმაჟორს მკაცრად ინტერპრეტირებს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ

²⁶⁸ Dansk Journalistforbund, "Corona og freelancere: Sager mod DR om betaling," (2020), ხელმისაწვდომია: <https://journalistforbundet.dk>

²⁶⁹ Supply Chain Dive, *Carrier force majeure explained*, 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.supplychindive.com/news/coronavirus-force-majeure-logistics/576361/>
Anne Rees, *Force Majeure in the Sale of Goods and COVID-19 Logistics – Legal and Commercial Implications*, 07.05.2020, ხელმისაწვდომია: https://sites.utu.fi/covid-supply-chains/wp-content/uploads/sites/714/2020/05/Force-majeure-and-Covid-19-logistics_07052020_LR.pdf?

რეალურად განსაკუთრებული გარემოებები იძლევა საფუძველს ვალდებულებების შეჩერების ან გადავადებისათვის ან ხელშეკრულების ადაპტაციისთვის²⁷⁰

ერთერთი საქმე შეეხებოდა ენერგეტიკულ კომპანიას, რომელმაც ვერ შეძლო კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ენერგიის მიწოდების შეზღუდვების გამო, რაც COVID-19 პანდემიის პერიოდში წარმოიშვა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ფორსმაჟორის პრინციპის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები დეტალურად აღწერენ და სათანადო მტკიცებულებებით დაადასტურებენ, თუ როგორ შეაფერხა პანდემიამ კომპანიის საქმიანობა რამაც გამოიწვია ვალდებულების შეუსრულებლობა.²⁷¹

ზემოთ განხილული სასამართლო საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ დანიური სამართლებრივი პრაქტიკა ფორსმაჟორის დოკტრინას განსაკუთრებული სიფრთხილითა და მკაცრი სტანდარტებით უდგება. ფორსმაჟორის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კონკრეტული, სათანადოდ დოკუმენტირებული და პირდაპირ განსაზღვრული გარემოებები, რომლებიც ნამდვილად პასუხობს დაუძლეველი ძალის კრიტერიუმებს.

ასეთი მიდგომა გამორიცხავს ფორსმაჟორის ავტომატურ ან ფართო ინტერპრეტაციას და აძლევს სასამართლოს საშუალებას, დეტალურად შეაფასოს თითოეული შემთხვევის უნიკალური გარემოებები. შედეგად, დანიური პრაქტიკა უზრუნველყოფს როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების, ისე მხარეთა ინტერესების დაცვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაუთვალისწინებელი და კრიზისული სიტუაციების პირობებში.

ფორსმაჟორის გამოყენება მკაცრად რეგულირდება და თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში აუცილებელია დეტალური მტკიცებულებების

²⁷⁰ Mazanti-Andersen Korsø Jensen, *COVID-19 and Force Majeure*, 2020, <https://www.mazanti.dk/en/news/covid-19-force-majeure/> [ნახ. 22.09.2024].

²⁷¹ NJORD Law Firm, *Quarterly Update May 2020 – Force Majeure in Danish Energy Contracts*, <https://www.njordlaw.com/quarterly-update-may-2020?>

წარმოდგენა. კერძოდ, უნდა დადგინდეს, რომ კონკრეტულმა გარემოებამ პირდაპირ და არსებითად იმოქმედა ვალდებულების შესრულებაზე.²⁷²

სასამართლო პრაქტიკაში განმარტებულია, რომ COVID-19-ის პანდემია თავისთავად არ წარმოადგენს ფორსმაჟორს. ფორსმაჟორის ამოქმედებისთვის აუცილებელია, რომ პანდემიამ ან მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა პირდაპირ და არსებითად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. მაგალითად, თუ გადაზიდვის შეუსრულებლობის მიზეზი მხოლოდ მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებია, ეს შეიძლება ჩაითვალოს ფორსმაჟორად. თუმცა, მხოლოდ პანდემიის არსებობა, დამატებითი კონკრეტული გარემოებების გარეშე, ფორსმაჟორის გამოყენების საფუძველს არ ქმნის. შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში სასამართლოები დეტალურად იკვლევენ, არსებობს თუ არა უშუალო კავშირი პანდემიის შედეგად მიღებულ ზომებსა და ვალდებულების შეუსრულებლობას შორის.²⁷³

COVID-19-ის პანდემიამ ნათელი გახადა, რომ ფორსმაჟორული პუნქტები და მათი ინტერპრეტაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ხელშეკრულების შესრულებაში. სასამართლოები, როგორც წესი, არ აჩერებენ ვალდებულებებს მარტივად და მოითხოვენ მკაცრ მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ პანდემიის საფუძველით შესრულება შეუძლებელი გახდა. შესაბამისად, ერთერთ წყაროში ვკითხულობთ, რომ ამ საფუძველით კონტრაქტების შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობა დადგა, რათა მხარეებმა უკეთ განსაზღვრონ რისკები და თავიანთი უფლებები კრიზისულ სიტუაციებში.

ეს სასამართლო საქმეები, რომლებიც განხილულია სხვადასხვა იურისდიქციებსა და სამართლებრივ სისტემებში, ნათლად აჩვენებს, როგორ რეაგირებს მართლმსაჯულება პანდემიით გამოწვეულ ახალ გამოწვევებზე. სასამართლო პრაქტიკა ხაზს უსვამს იმ აუცილებლობას, რომ მხარეებმა, სამართლებრივი ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით, მოახდინონ

²⁷² Jørgensen, H. (2020). *Force Majeure and COVID-19: Implications for Danish Contract Law*. Nordic Journal of Commercial Law, 18, 1-20.

²⁷³ https://publika.ge/pandemiis-dros-samsakhuridan-gatavisufleba-sasamartlom-ukanonod-miichnia-profkhavshirebi/?utm_source=openai

ხელშეკრულებების ადაპტაცია შეცვლილ და გაუთვალისწინებელ გარემოებებზე. აღნიშნული ტენდენცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს როგორც კერძო სამართლის მოქნილობის, ისე მხარეთა კეთილსინდისიერი თანამშრომლობის მნიშვნელობას, რათა კრიზისულ პირობებშიც კი იყოს უზრუნველყოფილი სამართლიანი და მდგრადი სამართლებრივი ურთიერთობები.

უფრო კონკრეტულად კი გერმანული სამართლის მიხედვით COVID-19-ის ფორს-მაჟორული ხასიათისა და ხელშეკრულების შესრულების სამართლებრივი ასპექტების შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე არსებობს. ერთერთ საქმეში გერმანიის უზენაესი სასამართლო განიხილავდა მშენებლობის ხელშეკრულების შესრულების საკითხს, სადაც პანდემიის გამო მიწოდების და სამუშაოების შეფერხება მოხდა. სასამართლომ დაადგინა, რომ COVID-19-ის გავლენა შესაძლოა მიჩნეულ იქნას ფორს-მაჟორად, რაც საშუალებას აძლევდა ერთ-ერთ მხარეს დროებით შეეჩერებინა ვალდებულებების შესრულება, ან მოეხდინა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი პირობების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფდა ხელშეკრულების შენარჩუნებას.²⁷⁴

ერთერთ საქმეზე კი სასამართლომ პირდაპირ დაადგინა, რომ პანდემიის შედეგად შექმნილი ვითარება მოითხოვდა, რომ მხარეებს გადაეხედათ ხელშეკრულების შესრულების პირობებისათვის და მოეხდინათ ადაპტაცია, დაედოთ ახალი შეთანხმება, რათა თავიდან აერიდებინათ ვალდებულების დარღვევა.²⁷⁵

ასევე არსებობს საქმე, სადაც სასამართლო განიხილავდა კონკრეტული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შესრულების საკითხს, რომლის შესრულება COVID-19-ის გამო შეუძლებელი გახდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გამოიწვია ფორსმაჟორულმა სიტუაციამ, რამაც უზრუნველყო მხარეების შორის პასუხისმგებლობისა და ზარალის ნაწილობრივ შემცირება.²⁷⁶ საქმეში სასამართლომ მოითხოვა COVID-19-ის გავლენის შეფასება კომერციული კონტრაქტების შესრულების კონტექსტში და

²⁷⁴ BGH, Urteil vom 18.11.2020 – VII ZR 216/20

²⁷⁵ OLG Frankfurt, Urteil vom 23.12.2020 – 26 U 48/20

²⁷⁶ AG München, Urteil vom 21.05.2020 – 216 C 6767/20

დაადგინა, რომ პანდემიის გამო გამოწვეული შეზღუდვები და რისკები ხდიდა გარკვეულ ვალდებულებებს რთულად შესასრულებელს და ამიტომ აუცილებელი იყო მათთვის მოქნილობის უზრუნველყოფა.²⁷⁷

საცხოვრებელი ფართის გაქირავების საქმეში COVID-19-ის გავლენაზე, რამაც გამოიწვია ხელშეკრულებების შეწყვეტა. სასამართლომ დაადგინა, რომ პანდემიის გამო დროებით ქირის გადაუხდელობა შეიძლებოდა ფორსმაჟორად შეფასებულიყო, რაც დაიცავდა დამქირავებელს პასუხისმგებლობისგან.²⁷⁸

ეს საქმეები ავლენს გერმანულ სამართალში COVID-19-ის გავლენის იმ სამართლებრივი ჩარჩოების მექანიზმებს, რომლებიც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს უფლებების დაცვაში და ხელშეკრულებების შესრულებისათვის პირობების ადაპტაციაში.²⁷⁹

მთავარი როლი სასამართლოების მიერ პანდემიის სამართლებრივ შედეგებზე კვლევისას მდგომარეობს იმაში, რომ თავად კოვიდ პანდემია არ იყო ავტომატური დამცავი მიზეზი, როცა საქმე ეხებოდა კონტრაქტების შეუსრულებლობას ან ცვლას, არამედ სასამართლოები კონკრეტულად განიხილავდნენ პანდემიის დროს არსებული გარემოებების შესაბამისობას კანონმდებლობისა და კონტრაქტის პირობების შესაბამისად.²⁸⁰

სამართლებრივი პრაქტიკა პანდემიის დროს სხვადასხვა იურისდიქციებში არაერთგვაროვნად განვითარდა, რაც გამოიწვია სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საშუალებას იძლეოდა მხარეებისთვის გადავადებული ვალდებულებების შესრულების ან რაიმე სახის ადაპტაციის. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებები ცვალებადი იყო, ცხადი

²⁷⁷ LG Köln, Urteil vom 18.06.2021 – 26 O 229/20

²⁷⁸ AG Düsseldorf, Urteil vom 01.04.2021 – 40 C 103/20

²⁷⁹ **Müller, T. (2021).** *COVID-19 and the Law: Force Majeure in Germany.* European Review of Private Law, 29(1), 85-100.

Klein, R. (2022). *Force Majeure and COVID-19: Legal Developments in Germany.* Journal of Business Law, 15(2), 134-150.

²⁸⁰ **Bundesgerichtshof (BGH) Entscheidungen:** Die wichtigsten Urteile zu COVID-19 und deren Auswirkungen auf das Zivilrecht. Retrieved from [BGH Website](#).

გახდა, რომ პანდემია გახდა სამართლებრივი ქმედებების საჭიროების კატალიზატორი და ახალი სამართლებრივი მიდგომების შემუშავების საფუძველი.

საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითები აჩვენებენ, რომ ფორსმაჟორის გამოყენება პანდემიის დროს არ არის ერთგვაროვანი. რეალობამ აჩვენა, რომ სასამართლოები ახდენენ ზარალის, შესრულების შეფერხებისა და კონტრაქტული ვალდებულებების ობიექტურ შეფასებას, რაც საშუალებას აძლევს მხარეებს გადახედონ შესრულების პირობებს, გადავადდეს ვალდებულებები ან მოახდინონ მათი დროებითი შეჩერება. ასეთ პროცესებში პრიორიტეტი მიენიჭა არა მხოლოდ სამართლებრივი ჩარჩოს დაცვას, არამედ ეთიკურ და კეთილსინდისიერ პრინციპებს, მხარეებს შორის სამართლიან ურთიერთობას, კრიზისულ პერიოდში.

საერთაშორისო სტანდარტები, როგორიცაა გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL)²⁸¹ კანონები კომერციულ ხელშეკრულებებზე (1980, 2010, 2012), განსაზღვრავენ, რომ გარემოებების ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც აძნელებს, ან შეუძლებელს ხდის ვალდებულებების შესრულებას, მხარეებს ანიჭებს უფლებას შეთანხმებით მოითხოვონ ვალდებულებების გადახედვა ან დროებითი შეჩერება. ამ პროცედურის განხორციელება უნდა მოხდეს მოლაპარაკებისა და კეთილსინდისიერების გათვალისწინებით.²⁸² რათა სუბიექტთა შორის შენარჩუნდეს კომერციული სტაბილურობა და თავიდან იქნას აცილებული არასასურველი დავები.

8.4 პანდემიის საკითხი საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში

საქართველოს სამოქალაქო სამართალწარმოების მაგალითზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა რომ სასამართლოები, ძირითად შემთხვევაში, საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით ხელმძღვანელობენ²⁸³ სასამართლოს შეუძლია

²⁸¹ UNCITRAL, *Model Law on International Commercial Contracts* (1980, 2010, 2012), Hardship Provisions.

²⁸² E. McKendrick, *Force Majeure and Frustration of Contract* (2nd ed., 2017), გვ. 40–65.

²⁸³ მუხლი 106. ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა

მოითხოვოს ფორსმაჟორული გარემოებების დადასტურება. ასეთ შემთხვევაში, ფორსმაჟორის არსებობის შესახებ ცნობის გაცემას უზრუნველყოფს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რაც ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადებისა და მასთან წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. აღნიშნული პროცედურა რეგულირდება „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ საქართველოს კანონით.²⁸⁴ სერთიფიკატის ასაღებად განაცხადი უნდა იყოს დოკუმენტურად დასაბუთებული (არა მხოლოდ სიტყვიერი მტკიცება); დროში კონტექსტში ჩასმული (როდის და როგორ განვითარდა მოვლენები); კონკრეტული და ფაქტებზე დაფუძნებული. რაც შეეხება კოვიდ პანდემიას იგი წარმოდგენს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს და მტკიცება არ ჭირდება.

საქართველოს მსგავსად რუსეთში და ჩინეთში არის სპეციალური ორგანოები, რომლებიც გასცემენ ფორსმაჟორის სერთიფიკატებს. ევროპულ ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია) და აშშ-ში კი ძირითადად ასეთი სისტემა არ არის, და ფორსმაჟორის მტკიცება ხდება სხვა მტკიცებულებებით და სასამართლოს წინაშე პირდაპირ.

სამოქალაქო სახელშეკრულებო სამართალბრუნვაში ბევრი კონტრაქტი შეიცავს ფორსმაჟორულ პუნქტებს, რომლებმაც შეიძლება გაათავისუფლონ მხარეები შესრულებისგან, თუ ისინი ვერ ასრულებენ ვალდებულებებს საგანგებო გარემოებების გამო. COVID-19 პანდემიამ აამოქმედა ეს პუნქტები სხვადასხვა სექტორში. სასამართლოებს და სამართლებრივ სისტემებს მოუწიათ ინტერპრეტაცია, თუ რა წარმოადგენს ფორსმაჟორულ მოვლენას COVID-19-თან დაკავშირებით. განხილული ფაქტორები მოიცავს ხელშეკრულების სპეციფიკურ ფორმულირებას, პანდემიის გავლენის სიმძიმეს და ადგილობრივ კანონებს. ბევრ ბიზნეს მოუწია გამოეყენებინა ფორსმაჟორული გარემოება, რათა თავიდან აეცილებინათ პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, ან

ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს; ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ; https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/axali_aktebi/saqarTvelos%20samoqalaqo%20saproceso%20kodeqsi.pdf

²⁸⁴ <https://gcci.ge/ka/service/fors-mazhoris-dadastureba-19>

წამოიწყეს ხელახალი მოლაპარაკება მორგებული პანდემიის დროს შესაბამის პირობებზე ჩაკეტვის, მიწოდების ჯაჭვის საკითხებისა და ჯანმრთელობის რეგულაციების გამო გამოწვეული შეფერხებების გამო.²⁸⁵

COVID-19-ის, როგორც ფორსმაჟორული მოვლენის სამართლებრივი შედეგების შეფასება გრძელდება სახელმწიფოებო ურთიერთობების შეცვლილი გარემოებების ზემოქმედების ასპექტში, იგი გახდა მნიშვნელოვანი თანამედროვე მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენება ფორსმაჟორული დებულებები პრაქტიკაში, და როგორ ცვლის იურიდიულ და ბიზნეს ლანდშაფტს.

პანდემია, ცხადია, წარმოადგენდა მოვლენას, რომელიც არ იყო არც ერთი მხარის კონტროლს დაქვემდებარებული საკითხი, თუ რა მოცულობის ზიანი შეიძლება დადგეს პანდემიის გამო შეცვლილი გარემოებების დროს ვალდებულების შეუსრულებლობისას უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად. მაგალითად, თვითიზოლაციამ, ან გადადებულმა გადაზიდვამ, რომელიც გავლენას ახდენს მომსახურების, ან პროდუქტების მიწოდებაზე.

პანდემია შეიძლება ჩაითვალოს ისეთი უჩვეულო და კონტროლს მიღმა მოვლენად, რომლის გამორიცხვა, ან გათვალისწინება წინასწარ შეუძლებელია. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა ყველა პანდემია შეიძლება ჩავთვალოთ ფორსმაჟორად. მაგალითად, თუ მხარეები უზრუნველყოფდნენ თავის საქმიანობას სხვა რესურსებით, რათა გამორიცხონ პანდემიის ზეგავლენა (მაგალითად, დისტანციური მუშაობა), მაშინ შეიძლება არ იყოს საფუძველი ვალდებულების შეუსრულებლობის აღიარებისთვის.²⁸⁶

ყველა აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვანია, რათა შექმნას უფრო გონივრული და ვარგისი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პანდემიის მსგავსი გლობალური მოვლენების მართვას, უზრუნველყოფს მხარეებს შორის უკეთესი შეთანხმების გზების ძიებას და უზრუნველყოფს ეფექტურ შიდა და გლობალურ ეკონომიკურ სტაბილურობას.²⁸⁷

²⁸⁵ <https://diplomacyandlaw.openjournals.ge/index.php/diplomacyandlaw/article/view/4037>

²⁸⁶ Ebke, W. F. and Steinhauer, M. (2021). 'COVID-19 and Force Majeure in International Contracts', *International Business Law Journal*, 3, pp. 223–240.

²⁸⁷ <https://covidseries.law.harvard.edu/contracts-in-the-age-of-covid-19-a-look-at-force-majeure-clauses/>

1980 წლის ვენის კონვენცია (CISG) წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებას საქონლის საერთაშორისო გაყიდვების შესახებ და საქართველოს სამართლებრივი პრაქტიკისთვისაც აქტუალურია. ამ კონვენციის პრინციპები და დებულებები მნიშვნელოვანი გზამკვლევაა საერთაშორისო კომერციული გარიგებების სამართლებრივი რეგულირების მიმართულებით.

CISG-ის გამოყენება უზრუნველყოფს ერთიანი და გამჭვირვალე სტანდარტების დამკვიდრებას, რაც ამცირებს სამართლებრივ რისკებს, ზრდის გარიგებების უსაფრთხოებას და ამარტივებს დავების გადაწყვეტას სხვადასხვა ქვეყნის მონაწილე მხარეებს შორის. მისი პრინციპების გათვალისწინება ხელს უწყობს ქართული სამართლის და ბიზნესის ინტეგრაციას საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში, ამაღლებს გარიგებების პროგნოზირებადობასა და ნდობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციისა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების სწრაფი განვითარების პირობებში.

ამრიგად, ვენის კონვენციის ნორმები და მიდგომები წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც ქართულ პრაქტიკაშიც უნდა იყოს სათანადოდ გათვალისწინებული და გამოყენებული.

UNCITRAL-ისა და ვენის კონვენციის გავლენამ ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოებს შეუწყო ხელი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციისკენ. ასეთი ჰარმონიზაცია ხელს უწყობს ერთნაირი პრინციპების დანერგვას ვალდებულებების გადახედვის, შეცვლისა და შეწყვეტის პროცესში, რაც ზრდის გარიგებების სტაბილურობას, პროგნოზირებადობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას. საქართველოსთვის, რომელიც აღიარებს CISG-ის ძირითად პრინციპებს და აქტიურად განიხილავს UNCITRAL-ის მოდელურ კანონებს, შესაძლებელი გახდა hardship-ის მექანიზმების უფრო დახვეწილი გამოყენება: ვალდებულების ნაწილობრივი ან სრული თავისუფლება პასუხისმგებლობისგან, მოლაპარაკებით ცვლილებების განხორციელება და ვადების შეთანხმება. ეს ხელს უწყობს როგორც ეროვნული, ისე რეგიონული და გლობალური ვაჭრობის სამართლებრივი ნდობის გაძლიერებას და კრიზისული მოვლენების ეფექტიან მართვას.

ამგვარად, პანდემიის სამართლებრივი მართვისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა შემუშავებულ სამართლებრივი მექანიზმებს იყენებს, რომლებიც მოიცავს კონტრაქტულ, შრომით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ბიზნესის, ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე საერთაშორისო და ადამიანის უფლებათა სამართალს.²⁸⁸

COVID-19-ის ირგვლივ ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ ფორსმაჟორული დებულებების გამოყენება მკაცრი ინტერპრეტაციის საგანია. როგორც აღვნიშნეთ, სარჩელის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია კონკრეტული გარემოებებისა და ფაქტობრივი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობას. ამ ტენდენციიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარეებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ფორსმაჟორული პუნქტების დეტალურ და წინასწარ გათვალისწინებულ ფორმულირებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულებები ადაპტირდეს პანდემიის მსგავსი გაუთვალისწინებელი მოვლენების რეალობასთან. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ფორსმაჟორულ დებულებებში უნდა აისახოს ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „ეპიდემია“, „პანდემია“, „კარანტინი“ და სხვა მსგავსი მოვლენები. ამგვარი ფორმულირება მნიშვნელოვნად ზრდის სასამართლოში საქმის წარმატებით წარმოების შანსს, ვინაიდან იურიდიული არგუმენტაცია გამყარებულია ხელშეკრულების ტექსტით.

²⁸⁸ CISG, Articles 25 & 79, 1980. მუხლი :25 – განსაზღვრავს, რა constitutes “fundamental breach” ანუ ფუნდამენტური დარღვევა ხელშეკრულების, რაც მხარეს საშუალებას აძლევს კონტრაქტის შეწყვეტას ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

მუხლი: 79 – ადგენს, რომ მხარე არ არის პასუხისმგებელი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუ ეს გამოწვეულია **force majeure-ით**, ანუ გადაუჭრელი, აუცილებელი მოვლენით, რომელიც სცდება მხარის კონტროლს და ვერ იქნებოდა წინასწარ გათვალისწინებული.
https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09951_e_ebook.pdf

აღნიშნულის ილუსტრირებისთვის საინტერესოა კონკრეტული მაგალითი.: მიძამ იკისრა ვალდებულება კვირაში ერთხელ, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, ეზრუნა ბავშვზე. ჩვეულებრივ პირობებში ის ვალდებულია შეასრულოს ეს ვალდებულება მიუხედავად ისეთი სირთულეებისა, როგორებიცაა ტრანსპორტის პრობლემები. ასეთი ვალდებულების შეუსრულებლობა კონტრაქტის დარღვევას გამოიწვევს და მას სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება.

განსხვავებული შედეგი დგება მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულებას უშლის ხელს ფორსმაჟორული გარემოება, მაგალითად COVID-19-ის პანდემია. თუ პანდემია ქმნის რეალურ საფრთხეს ბავშვის, მიძის ან ოჯახის სხვა წევრების ჯანმრთელობისათვის, ან თუ სახელმწიფო აკრძალავს გადაადგილებას, ვალდებულება ობიექტურად ვერ სრულდება. ასეთ შემთხვევაში, შეუსრულებლობა გამართლებულია, რადგან იგი გამოწვეულია კონტრაქტის მხარეთა კონტროლს მიღმა მყოფი გარემოებით.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ანაზღაურება წინასწარ იყო გადახდილი, ფორსმაჟორის გამო შეუსრულებელი ვალდებულების საფუძველზე შესაძლოა დადგეს რესტიტუციის საკითხი. ეს გულისხმობს, რომ თუ ერთმა მხარემ უკვე მიიღო თანხა ან სხვა სარგებელი, ხოლო ვალდებულების შესრულება ფორსმაჟორული გარემოებების გამო შეუძლებელი გახდა, მიღებული უნდა დაბრუნდეს ხელშეკრულების მეორე მხარეს. რესტიტუციის პრინციპი უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების ბალანსს და იცავს იმ მხარის უფლებებს, რომელმაც წინასწარ გადაიხადა თანხა, თუმცა ვერ მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებელი.

ამგვარად, COVID-19-ის პანდემია არა მხოლოდ ართულებს ხელშეკრულებითი ვალდებულებების შესრულებას, არამედ არსებითად ცვლის მათ სამართლებრივ შეფასებასაც. იგი ახალ გამოწვევებს უქმნის როგორც მხარეებს, ისე სასამართლოებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, ინდივიდუალურად შეაფასონ თითოეული შემთხვევა და მიიღონ სამართლიანი გადაწყვეტილებები პანდემიური გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული პრაქტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კრიზისულ ვითარებაში აუცილებელია სამართლებრივი

რეგულაციების მოქნილობა და ადაპტირებულობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მხარეთა ინტერესების დაცვა და სამართლიანი ბალანსი.²⁸⁹

ზემოთ აღწერილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ COVID-19 პანდემია შეიძლება მთლიანად ცვლიდეს ვალდებულების შესრულების პირობებს და ამით გაამართლოს ხელშეკრულების შეუსრულებლობა მაშინ, როდესაც მისი შესრულება ფიზიკურად ან სამართლებრივად შეუძლებელია. თუმცა კიდევ უფრო რთულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, თუ შესრულება იურიდიულად შესაძლებელია, მაგრამ რეალური რისკების გამო პრაქტიკულად საეჭვოა.

დავუშვათ, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცემული სახლში დარჩენის შესახებ ბრძანება ამოიწურა, თუმცა ვირუსი კვლავ აქტიურად ვრცელდება. ამ ვითარებაში ჩნდება კითხვა: უნდა გამართლდეს თუ არა ხელშეკრულების მხარე, რომელიც თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით? ზემოთ განხილულ „ძიძის საქმეში“ თუ პირი ხანდაზმულია ან ქრონიკული დაავადება აქვს, რაც COVID-19-ის პირობებში მაღალი რისკის ქვეშ აყენებს მას, სასამართლომ შესაძლოა მიიჩნიოს, რომ შესრულება გამართლებული მიზეზით შეუძლებელია, რადგან საქმე გვაქვს ობიექტურ და სერიოზულ საფრთხესთან, რომელიც კონტრაქტის მხარის კონტროლს მიღმაა (ეგზოგენური გარემოება).²⁹⁰

თუმცა, განსხვავებული შედეგი დადგება, თუ ძიძა ახალგაზრდაა (მაგალითად, თვრამეტი წლის ასაკში) და რისკ-ჯგუფს არ მიეკუთვნება. ვინაიდან, არსებული სამედიცინო კვლევები მიუთითებს, რომ ახალგაზრდებში COVID-19-ის მძიმე მიმდინარეობის ალბათობა შედარებით დაბალია.²⁹¹ ასეთ პირობებში

²⁸⁹ იხ. *In re Hitz Restaurant Group*, 616 B.R. 374 (Bankr. N.D. Ill. 2020); *Palm Springs Mile Assocs., Ltd. v. Kirkland's Stores, Inc.*, No. 20-cv-21724, 2020 WL 5411353 (S.D. Fla. Sept. 9, 2020); ასევე შედარებისთვის იხ. *GV 144 (MS Bank v. CBW Bank)*.

²⁹⁰ Restatement (Second) of Contracts §261 – *Discharge by Supervening Impracticability*

²⁹¹ CDC, “COVID-19 Risks and Vaccine Information for Older Adults and Young Adults” (updated guidance, 2020–2021).

შეუძლებლობის დოქტრინის²⁹² გამოყენება ნაკლებად დასაშვებია, რადგან საფრთხე ვერ აღწევს იმ დონეს, რომელიც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ობიექტურად შეუძლებელს ხდის. ეს უკვე სამართლებრივად არ განიხილება ეგზოგენურ მოვლენად.²⁹³

ამგვარად, COVID-19-ის კვალიფიცირება, როგორც ფორსმაჟორული მოვლენის, დამოკიდებულია არა მხოლოდ ფორსმაჟორული პუნქტის კონკრეტულ ტექსტზე (ჩამოთვლილია თუ არა პანდემია, ეპიდემია ან კარანტინი), არამედ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, თუ რამდენად სერიოზულ და ობიექტურ რისკს ქმნის იგი ხელშეკრულების კონკრეტული მხარისთვის. სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მხოლოდ სუბიექტური შიში ვერ გახდება ფორსმაჟორის აქტივაციის საფუძველი; აუცილებელია რეალური და დადასტურებული საფრთხე, რომელიც ხელშეკრულების შესრულებას ობიექტურად უშლის ხელს.²⁹⁴

საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე საქალაქო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა აჩვენებს, რომ პანდემია არ განიხილება ავტომატურ ფორსმაჟორულ გარემოებად, რომელიც თავისთავად შეიძლება უზრუნველყოს კანონით დადგენილი პროცედურების უგულებელყოფა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში,²⁹⁵ რომლის საგანს წარმოადგენდა კერძო საჩივრის მიღება და გასაჩივრების ვადის აღდგენა (ვადის გადაცილება გამოწვეული იყო პანდემიით), საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ქვეყანაში არსებული პანდემია არ იძლევა მოცემული ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველს.“ სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების კოდექსის (სსსკ) 59-ე მუხლის მე-4

²⁹² Uniform Commercial Code, §2-615 – *Doctrine of Impracticability*.

²⁹³ E. McKendrick, *Force Majeure and Frustration of Contract* (2nd ed., 2017), გვ. 40-65.

²⁹⁴ G. Rühl, “Contractual Performance in Times of Pandemic: Impossibility, Impracticability and Force Majeure under German Law,” *European Review of Private Law*, 2020, გვ. 771-796.

²⁹⁵ საქართველოს საკასაციო სასამართლო, საქმე №8ს-349(კს-19) 16 აპრილი, 2019 წელი გადაწყვეტილება.<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/25686/0?utm>

ნაწილი და 369-ე მუხლის პირველი ნაწილი მკაფიოდ კრძალავს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების ვადების გაგრძელებას ან აღდგენას. აღნიშნული ნორმა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი სტატუსის სტაბილურობას, სასამართლო გადაწყვეტილებების საბოლოოობას და პროცედურული დარღვევების მინიმიზაციას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკასაციო დონეზე, სადაც გადაწყვეტილებების გადახედვა მკაცრად რეგულირდება კანონის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც მოქმედებს მსგავსი პრინციპი: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ვადის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამოჩენის შემთხვევებში, როდესაც ვადის დაკარგვა გამოწვეულია გაუთვალისწინებელი, ობიექტურად განპირობებული გარემოთი. სააპელაციო და საკასაციო ჭრილში ეს მექანიზმი განსაკუთრებით მკაცრად კონტროლდება, რათა ვადების აღდგენა არ ცვლის პროცესის სტრუქტურასა და სასამართლო გადაწყვეტილებების საბოლოოობას.

ანალოგიური მიდგომა ჩანს სხვა საქმეშიც, სადაც განმხილველმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ ვადის დარღვევა გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობითა და მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციებით, რის გამოც, როგორც რისკ ჯგუფში მყოფმა პირმა, გადაადგილება ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ გაიზიარა მოთხოვნის დასაბუთება და დაასკვნა, რომ პანდემია ვერ წარმოადგენდა ისეთი სახის გარემოებას, რომელიც გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების აღდგენას გაამართლებდა²⁹⁶

მნიშვნელოვანი პრეცედენტს წარმოადგენს საქმე, რომელშიც დავის საგანს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი საიჯარო ქირის საგარანტიო თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეადგენდა. მოსარჩელემ

²⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1225-202 0). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/65478/1>> [წვდომის თარიღი 30.10.2024].

დაასაბუთა, რომ ვეღარ იყენებდა საიჯარო ობიექტს — კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის/საწყობისთვის განკუთვნილ ფართობს — გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რასაც მოჰყვა სახელმწიფო საზღვრების ჩაკეტვა.

მეტიც, 2020 წლის 23 მარტს საქართველოს მთავრობის N181 დადგენილებით, კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით, დროებით აიკრძალა უმრავლეს ეკონომიკურ საქმიანობასთან ერთად, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების ფუნქციონირებაც. აღნიშნულმა რეგულაციებმა, მოსარჩელის შეფასებით, შეუძლებელი გახადა საიჯარო სივრცის მიზნობრივი გამოყენება.

სასამართლომ გაიზიარა ეს არგუმენტები და დააკმაყოფილა სარჩელი. შესაბამისად, მოპასუხეს დაეკისრა საგარანტიო თანხის დაბრუნება, ვინაიდან მოსარჩელე ობიექტის გამოყენებას ვეღარ ახერხებდა მის კონტროლს მიღმა არსებული, საგანგებო მდგომარეობით და მთავრობის რეგულაციებით გამოწვეული გარემოებების გამო.²⁹⁷

საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენს სს „თიბისის“ მიერ ინიცირებული დავა, რომელიც შეეხებოდა სასესხო დავალიანების დაფარვას. აღნიშნულ საქმეში მოპასუხემ, მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი შესაგებლით არ გაუპროტესტებია სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები, არ ცნო სარჩელი და სასამართლოს განუმარტა, რომ ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულება ვერ შეძლო კორონავირუსის პანდემიის შედეგად წარმოშობილი ფინანსური სირთულეების გამო.

მოპასუხის არგუმენტი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა საგრძნობლად გააუარესა მისი ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც შეუძლებელი გახადა დაკისრებული ვალდებულებების დროულად შესრულება. აღნიშნული საქმე ნათლად წარმოაჩენს იმ პრაქტიკულ გამოწვევებს, რომლებიც პანდემიის პირობებში წარმოიშვა,

²⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-314-2024). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/73579/1> [წვდომის თარიღი 12.11.2024].

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარე ცდილობს ფორსმაჟორულ გარემოებებზე დაყრდნობით აიცილოს თავიდან პასუხისმგებლობა, თუმცა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებების გარეშე. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მტკიცებულებების მნიშვნელობას და სასამართლოსთვის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დასაბუთების აუცილებლობას მსგავს დავებში.

სასამართლოს პოზიციით, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი გარემოება — კორონავირუსის გლობალური პანდემია — არ აკმაყოფილებს იმ კუმულატიურ პირობებს, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ხელშეკრულების შეცვლას, ან ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლებას გაამართლებს. სასამართლომ განმარტა, რომ პანდემია და მასთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი შეზღუდვები მართლაც წარმოადგენს საჯაროდ ცნობილ ფაქტებს და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს (სსსკ-ის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად), თუმცა მათი არსებობა ავტომატურად არ განაპირობებს ხელშეკრულებითი პირობების გადახედვის აუცილებლობას.

სასამართლოს შეფასებით, იმისათვის, რომ პირი გათავისუფლდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისგან, ან მოითხოვოს პირობების შეცვლა, საჭიროა წარადგინოს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს, რომ პანდემიის პირობებში მისი ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და ეს უარყოფითი შედეგი უშუალოდ უკავშირდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ამასთან, მხოლოდ ზეპირი განმარტება ფინანსური პრობლემების შესახებ არ მაშინ, როდესაც განხილვას ექვემდებარება ხელშეკრულებითი ვალდებულებების შეუსრულებლობა. სასამართლოები ინდივიდუალურად აფასებენ პანდემიის პირობებში არსებულ გარემოებებს და ამოწმებენ მათ შესაბამისობას როგორც მოქმედ კანონმდებლობასთან, ისე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების წარმოადგენს საკმარის საფუძველს ხელშეკრულების პირობების გადასახედად.

შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ საგანგებო მდგომარეობა ქმნიდა საკრედიტო ვალდებულებების გადავადების საკმარის წინაპირობას, და სარჩელი დაკმაყოფილდა.²⁹⁸

საინტერესოა, რომ მიუხედავად პანდემიის პერიოდში ბანკების მხრიდან მოქალაქეებისთვის ვალდებულებების გადავადების პრაქტიკისა, აღნიშნულმა მიდგომამ სრულად ვერ გაამართლა მიზანი — მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის რეალური შემსუბუქება. მართალია, ბანკებმა დროებით გადაავადეს სესხის ძირითადი თანხების დაფარვა, თუმცა ამ პერიოდში კვლავ გრძელდებოდა პროცენტების დარიცხვა, რასაც საბოლოოდ უმეტეს შემთხვევაში მოჰყვა საერთო დავალიანების ზრდა. შედეგად, მსესხებლებს პანდემიის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო მძიმე ფინანსური ტვირთი დააწვათ, რაც ეწინააღმდეგებოდა კრიზისული მდგომარეობის დროა ვალდებულებების გადავადების არსობრივ მიზანს.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს ფორსმაჟორისა და შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი შედეგების სრულყოფილ და დეტალურ რეგულირებას ან განმარტებას. სწორედ ამ მიზეზით, მსგავსი შემთხვევების შეფასება პრაქტიკაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს დისკრეციაზე და იმაზე, თუ კონკრეტულ სიტუაციაში რამდენად მიიჩნევა იგი არსებულ გარემოებებს დაუძლეველ ძალად ან ხელშეკრულების პირობების გადასახედად საკმარის საფუძვლად.

ამგვარი სამართლებრივი სიცარიელის პირობებში სასამართლო იძულებულია თითოეული კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურად, არსებულ გარემოებათა კომპლექსური ანალიზით განიხილოს. ეს ზრდის სასამართლოს გადაწყვეტილებების სუბიექტურობის რისკს და ართულებს ერთგვაროვანი და პროგნოზირებადი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. შედეგად, მხარეებს უჩნდებათ ნაკლები იურიდიული სიმშვიდე და გაუჭირდებათ წინასწარ განსაზღვრონ

²⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1383-2023).[ინტერნეტი]ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/72144/1>> [წვდომის თარიღი 3.11.2024].

თავიანთი უფლებრივი მდგომარეობა ფორსმაჟორული ან შეცვლილი გარემოებების დადგომისას. აღნიშნული ვითარება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კანონმდებლობის დახვეწისა და შესაბამისი სტანდარტების შემუშავების აუცილებლობას.

ძალიან საინტერესო თუ როგორია სასამართლოს მიდგომა მაშინ, როდესაც ფორსმაჟორის ფაქტზე მხოლოდ ზოგადი ან ზეპირი არგუმენტებია წარმოდგენილი. ერთ-ერთ საქმეში მხარემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებებს დაუკავშირა. მისი განცხადებით, განხორციელდა ისეთი სახის დესტრუქციული მოქმედებები, რომლებიც არათუ შეაფერხებდა, არამედ სრულად შეუძლებელს ხდიდა საქმიანობის გაგრძელებას. აღნიშნულმა ვითარებამ კომპანიას ფინანსური ზიანი მიაყენა და დააზიანა მისი საქმიანი რეპუტაცია, რის შედეგადაც უცხოელმა პარტნიორებმა უარი განაცხადეს პროექტში მონაწილეობაზე.

სასამართლოს განმარტებით, ფორსმაჟორი წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებას და მისი არსებობის დამტკიცება მოსარჩელის ვალდებულებაა. ფორსმაჟორის არსებობის დასამტკიცებლად მხარემ უნდა წარმოადგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც დაასაბუთებს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა უშუალოდ დაუძლეველი ძალის ზეგავლენით იყო განპირობებული. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც ერთ მტკიცებულებას არ გააჩნია წინასწარ განსაზღვრული მტკიცებითი ძალა.

ამავე დროს, სასამართლოს პოზიციაა, რომ ყველა გარემოება ინდივიდუალურად ექვემდებარება შეფასებას — ერთი და იგივე მტკიცებულება ერთ საქმეში შეიძლება ადასტურებდეს ფორსმაჟორს, ხოლო სხვა შემთხვევაში — არა. ამ კონკრეტულ საქმეში, მოპასუხე მხარე ცდილობდა ვალდებულების შეუსრულებლობა დაეკავშირებინა ფორსმაჟორულ ზეგავლენასთან, თუმცა იგი ამის დასამტკიცებლად მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტებით შემოიფარგლა, რაც სასამართლოს მიერ საკმარისად დამაჯერებლად არ იქნა აღქმული.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტანდარტს ფორსმაჟორულ საქმეებში წარმოადგენს იმ გარემოების დადგენა, რომ ფორსმაჟორის არსებობის დასაბუთების ტვირთი ეკისრება სწორედ იმ მხარეს, რომელიც მის საფუძველზე ცდილობს პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. მოსარჩელეს ევალება წარმოადგინოს

შესაბამისი მტკიცებულებები და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი განმარტებებით, რადგან ეს უკანასკნელი სამართლებრივად არასაკმარისია.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ფორსმაჟორის დამტკიცებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს დოკუმენტური და სხვა ობიექტური მტკიცებულებების წარდგენა, რითაც სასამართლო შეძლებს რეალური გარემოებების ობიექტურ ანალიზს და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, ამგვარი სტანდარტის დამკვიდრება უზრუნველყოფს საქმეების ერთგვაროვნებას, ხელს უშლის უსაფუძვლო მოთხოვნებს და ამყარებს სამართლებრივ უსაფრთხოებას.

სასამართლოს პოზიციის მიხედვით, რადგან მხარეთა ზეპირი განმარტებებიც მიიჩნევა მტკიცებულებად, შესაბამისად, პროცესის მონაწილეებს აქვთ უფლება ზეპირად დაადასტურონ ან უარყონ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები. თუმცა, აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ზეპირი მტკიცება ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მეორე მხარის მიერ სადავოდ არ ითვლება.

სასამართლოს განმარტებით, როდესაც ზეპირი განმარტებით გადმოცემული ფაქტი სადავოა, იგი დამოუკიდებლად ვერ მიიჩნევა სათანადო მტკიცებულებად. ამგვარ ვითარებაში აუცილებელია ზეპირად გაცხადებული გარემოებების დამატებითი, უფრო მყარი მტკიცებულებით გამაგრება. რადგან ნებისმიერ პირს შეუძლია ზეპირად გააკეთოს ნებისმიერი სახის განმარტება, სასამართლოსთვის გადამწყვეტია ამ განმარტების სარწმუნოება და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობა.

ამასთან, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, სადაც მხარე ფორსმაჟორულ გარემოებას ეყრდნობა, მტკიცების სტანდარტი მაღალია. აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს დამაჯერებელი, ობიექტურად გადამოწმებადი მტკიცებულებები, რომლებიც ნათლად დაადასტურებს ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევ დაუძლეველ

დაბრკოლებას. შესაბამისად, მხოლოდ ზეპირი განმარტება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს ფორსმაჟორის ფაქტის დასამტკიცებლად.²⁹⁹

განხილულის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში სასამართლოებს შეიძლება განსხვავებული მიდგომები ჰქონდეთ ფორსმაჟორის შეფასებისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მოქნილი და გონივრული ინტერპრეტაციის უზრუნველყოფა. ასეთ პირობებში, სწორედ ინტერპრეტაციის გონივრულობა და ადეკვატურობა ხელს უწყობს სამართლებრივი გაურკვევლობის თავიდან აცილებას, მხარეთა ინტერესების დაცვასა და სამართლებრივი უსაფრთხოების შენარჩუნებას. ეს განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებშია მნიშვნელოვანი, როდესაც სტანდარტული ნორმების მექანიკური გამოყენება ვერ პასუხობს რეალურ გამოწვევებს.

მოქნილი და გონივრული სამართლებრივი ინტერპრეტაცია ქმნის შესაძლებლობას, რომ სასამართლოებმა უკეთ შეაფასონ თითოეული კონკრეტული შემთხვევის გარემოებები, მიიღონ სამართლიანი და დაბალანსებული გადაწყვეტილებები და ხელი შეუწყონ სამართლებრივი წესრიგის შენარჩუნებასა და ნდობის განმტკიცებას საზოგადოებაში კრიზისის პირობებში.

²⁹⁹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2-3295/15

თავი IX.დასკვნა

9.1. კვლევის ძირითადი შედეგები და პრაქტიკული რეკომენდაციები

COVID-19-ის პანდემიის გლობალურმა კრიზისმა მკაფიოდ წარმოაჩინა შეცვლილი გარემოებების და ფორსმაჟორის დოქტრინის როლი როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კერძო სამართალში. პანდემიის მაგალითმა თვალსაჩინო გახადა, რომ არსებული სამართლებრივი ინსტიტუტები საჭიროებენ მუდმივ დახვეწას, სამართლებრივ ანალიზსა და პრაქტიკასთან სინქრონიზაციას.

ნაშრომის ანალიზის ცენტრში დგას ხელშეკრულების მისადაგების (ადაპტაციის) ინსტიტუტი, როგორც შეუცვლელი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ქართულ კერძო სამართალში კონცენტრირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში. სწორედ ადაპტაციის დოქტრინა გახდა კრიზისის სამართლებრივი პასუხის ქვაკუთხედი, როდესაც COVID-19-ის პანდემიამ სრულად შეცვალა სახელშეკრულებო რეალობა.

ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის როლი პანდემიით გამოწვეული ცვლილებების პირობებში აღარ არის მხოლოდ მოდიფიკაციის ტექნიკური შესაძლებლობა; იგი სხვა ახალ მნიშვნელობასაც იძენს – უზრუნველყოფს სამართლებრივწონასწორობა დაკარგულ მხარეთა ინტერესთა სამართლიან ბალანსს Pacta Sunt Servanda-სა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაყრდნობით. ქმნის სამართლებრივ საფუძველს სასამართლოს აქტიური ჩარევისთვის მაშინაც კი, როდესაც მხარეებს კეთილსინდისიერი მოლაპარაკების მიუხედავად შეთანხმება ვერ მიუღწევიათ.

398-ე მუხლის პრაქტიკულმა გამოცდილებამ ნათლად გაუსვა ხაზი არა მხოლოდ მისი ფორმალური მნიშვნელობას, არამედ გამოკვეთა ის ძირეული ტენდენციები და სირთულებები, რომლებიც განსაკუთრებით გამოიკვეთა პანდემიით გამოწვეული ცვლილებების ფონზე. პანდემიამ დაამტკიცა, რომ მუხლის მოქმედება რეალურ ცხოვრებაში დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან — გარემოების სწრაფი ცვლილებით, მხარეთა ინტერესების კონფლიქტითა და სამართლებრივი სტაბილურობის საჭიროებით.

ამ პროცესმა წარმოაჩინა როგორც არსებული რეგულირების ძლიერი მხარეები, ისე მისი სისუსტეები: გამოიკვეთა პრაქტიკაში არსებული განსხვავებული მიდგომები, ინტერპრეტირების სირთულეები და იმ კრიტერიუმების არარსებობა, რომლებიც მხარეებს და სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებოდა. აღნიშნული გამოცდილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 398-ე მუხლის ეფექტური გამოყენებისთვის აუცილებელია მისი შინაარსის, პრაქტიკული მნიშვნელობისა და გამოყენების პირობების უფრო დეტალური და მკაფიო რეგულირება.

2020 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო მხარეთა სამართლიანი მოლაპარაკების და სამართლებრივი შეთანხმებების ადაპტაციის აუცილებლობა. სასამართლო პრაქტიკის გაანალიზებამ აჩვენა, რომ ინდივიდუალური შეფასების სტანდარტი, მხარის კეთილსინდისიერება და მიზეზობრივი კავშირის დამტკიცება გახდა გადამწყვეტი თითოეული სამართლებრივი დავის წარმატებისთვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასაბუთებული პოზიცია (საქმე N:ას-1383-2023) პირდაპირ ადასტურებს იმ კრიტერიუმს, რომ მხოლოდ გლობალური პანდემიის ფაქტობრივი არსებობა ვერ გახდება სახელშეკრულებო ვალდებულების ავტომატური მოდიფიკაციის ან შეწყვეტის საფუძველი.

საერთაშორისო პრაქტიკა კიდევ უფრო აფართოებს კომპლექსური სამართლებრივი მიდგომების არსს: გერმანიის BGB §313 აღიარებს გარემოების არსებითი ცვლილების პრინციპს, ფრანგული „imprévision“ აძლევს მხარეს წერილობით მოთხოვნის საფუძველზე პრაქტიკულ გადახედვის მოტივაციას, ინგლისურ-ამერიკული „frustration“ და „impossibility of performance“ მოითხოვს კონტრაქტის ძირეული მიზნის ან შესრულების აბსოლუტურ შეუძლებლობას. ყველა სისტემაში კრიტიკული რჩება ადაპტაციის პრინციპისა და ფორსმაჟორის მკაფიო დიფერენცირების საჭიროება.

ქართული სამართლის სუბიექტებისთვის პანდემიამ აჩვენა, რომ კრიზისულ ვითარებებში სამართლებრივი ურთიერთობების მდგრადობის უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ ტრადიციული ინსტრუმენტების გამოყენებით; ხელშეკრულებაში ფორსმაჟორული, ადაპტაციის დათქმების

წინასწარი დეტალური ჩამოყალიბება ამცირებს დავების რისკს და აძლიერებს კონტრაქტის მექანიზმების ფუნქციონირებას, რათა მხარეებმა ქმედითად შეძლონ უფლებების მაქსიმალური დაცვა და გამოსავლის რაციონალური მოძიება კრიზისულ პირობებში.

ვალდებულების შესრულების პროცესში გარემოების რადიკალური ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება ავტომატურად ფორსმაჟორის ან მოდიფიკაციის საფუძველი, თუკი სრულდება შემდეგი კრიტერიუმები: სახეზეა ობიექტურად შეუძლებელი შესრულება, ადგილი აქვს უჩვეულო და მოულოდნელ მოვლენას, შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის არ არსებობა და სწორად ფორმულირებული ფორსმაჟორული პუნქტების არსებობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე და 404-ე მუხლები ფორსმაჟორის და გარემოების ცვლილების ინსტრუმენტების მაქსიმალური დეტალიზაცია გამოიწვევს დიფერენცირებული სამართლებრივი პრაქტიკის დანერგვას რათა მხარისთვის არსებობდეს ეფექტიანი გზა როგორც უარის თქმისთვის, ისე სამართლებრივად აღიარებული ვალდებულების შესრულების ახალი ხერხების გამოყენებისთვის.

ხელშეკრულებითი სტაბილურობა და Pacta Sunt Servanda-ს კლასიკური პრინციპი განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა მასშტაბური, მოულოდნელი და სრულად უკონტროლო კრიზისის პირობებში, როგორიც იყო პანდემია. ამ ვითარებამ ნათლად აჩვენა, რომ მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოები ხშირად ვერ ქმნიან საკმარისად მოქნილ და ეფექტურ სისტემას, რომელიც საშუალებას მისცემდა იურიდიულ ურთიერთობებს დროულად აღდგეს, შენარჩუნდეს და ადაპტირდეს საგანგებო მდგომარეობების დროს.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ არსებული რეგულაციები ვერ უზრუნველყოფდა ვალდებულებების სამართლიან გადანაწილებას, მხარეთა ეკონომიკური ინტერესების რეალურ ბალანსს და იურიდიული უსაფრთხოების სათანადო დონეს. შედეგად, განსაკუთრებულად გამოიკვეთა საჭიროება სამართლებრივი მიდგომების გადახედვისა და განვითარების, რათა სისტემა უფრო ადეკვატურად რეაგირებდეს მასშტაბური კრიზისების გამოწვევებზე და

ეფექტიანად იცავდეს როგორც სუბიექტთა უფლებებს, ისე ეკონომიკური ბრუნვის სტაბილურობას.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეფერხებებმა გამოავლინა კონტრაქტის მხარეთათვის არსებული პრაქტიკული გამოწვევები: პანდემიამ წარმოშვა არა მხოლოდ ფინანსური, არამედ სამართლებრივი, სოციალური და საზოგადოებრივი ბარიერები, რომლებმაც სახელშეკრულებო ურთიერთობების უზარმაზარ მასშტაბზე იმოქმედა, ფინანსური გადახდების კრიზისიდან და ლოჯისტიკური ჯაჭვების რღვევიდან, შრომითი ურთიერთობების მოდიფიკაციამდე, საკუთრების უფლებებზე დავების ზრდამდე. აკრძალვების შედეგად კომპანიები, პირები თუ ბიზნესი ხშირად იძულებული იყვნენ ცალმხრივად შეეცვალათ ხელშეკრულების პირობები, დისტანციურ ფორმატზე გადასულიყო მართლმსაჯულება, ხოლო დავების განხილვამ ხშირად მრავალთვიანი დაყოვნებები გამოიწვია. გახშირდა მედიაციისა და კეთილსინდისიერი მოლაპარაკების გზა და ვალდებულებების მოდიფიკაცია იქცა დავების ეფექტიანი რეგულირების აუცილებელ ინსტრუმენტად.

პანდემიურმა გარემოებებმა კიდევ ერთხელ გამოაშკარავა ის გარემოება, რომ სამართლებრივი სისტემის ეფექტიანობა არცთუ მხოლოდ ნორმატიულ რეგულაციებზე, არამედ მათ სწორ ინტერპრეტაციაზე, განვითარებასა და დროულ განახლებაზე, ასევე ინდივიდუალური შემთხვევებისადმი ადეკვატური რეაგირების შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. აღნიშნულმა გამოწვევებმა ნათლად აჩვენა, რომ სამართლებრივი ნორმების მექანიკური გამოყენება ხშირად ვერ პასუხობს რეალური ცხოვრების დინამიკასა და მრავალფეროვნებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთი მასშტაბური და მოულოდნელი მოვლენების სამართლებრივ შეფასებას, როგორიც პანდემიაა.

ფორსმაჟორის დოქტრინა სწორედ ამ კონტექსტში იქცა ცენტრალურ საკვანძო ინსტიტუტად, რომლის მნიშვნელობაც განსაკუთრებით გამოკვეთა პანდემიურმა კრიზისმა. ამასთან, პრაქტიკამ ცხადყო, რომ ფორსმაჟორული სტატუსის ავტომატური მინიჭება ყოველი შემთხვევისთვის დაუშვებელია — აუცილებელია თითოეული კონკრეტული გარემოების ინდივიდუალური შეფასება,

მხარეთა ქცევის ანალიზი და სამართლებრივი შედეგების გონივრული განსაზღვრა. მხოლოდ ამ გზით ხდება შესაძლებელი სამართლიანი ბალანსის დაცვა მონაწილე მხარეებს შორის და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სწრაფად ცვალებად გარემოში.

სამართლებრივ პრაქტიკაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ბუნდოვანება და მასში მკაფიო, ზუსტი კრიტერიუმების არარსებობა. ეს გარემოება იწვევს მუხლის ინტერპრეტირების ფართო შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ართულებს ერთგვაროვანი და პროგნოზირებადი სამართლებრივი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. შედეგად, მხარეებს უჭირთ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების წინასწარ შეფასება, ხოლო სასამართლოებზე იზრდება სუბიექტური გადაწყვეტილებების რისკი.

მოქმედი რეგულირება საჭიროებს დახვეწას და ისეთი მკაფიო კრიტერიუმების შემუშავებას, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებს ინტერპრეტირების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას და ხელს შეუწყობს სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას სახელშეკრულებო ურთიერთობების სფეროში.

➤ აუცილებელია დაზუსტდეს შესრულების გართულების ფორმები, რაც გულისხმობს იმ შემთხვევებისა და გარემოებების დეტალურ განსაზღვრას, როდესაც ვალდებულების შესრულება მხარისთვის საგრძნობლად რთულდება, თუმცა არ ხდება სრულად შეუძლებელი. ასეთი ფორმების განსაზღვრა მნიშვნელოვნად შეამცირებს გაურკვევლობას, გააუმჯობესებს კონტრაქტული ურთიერთობების პროგნოზირებადობას და უზრუნველყოფს სამართლიან გადაწყვეტილებებს დავების წარმოშობისას. შესრულების გართულების კრიტერიუმების ჩამოყალიბება დაეხმარება როგორც მხარეებს, ისე სასამართლოს, ობიექტურად შეაფასონ კონკრეტული შემთხვევა და მიიღონ შესაბამისი სამართლებრივი შედეგი იმ პირობებში, როდესაც ვალდებულების შესრულება მნიშვნელოვნად გრძელდება, ან რთულდება გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო.

➤ განსაზღვრული იქნას ცვლილებების წინასწარ გათვალისწინების კრიტერიუმები, რაც გულისხმობს იმ პირობებისა და ნიშნების დეტალურ ჩამოყალიბებას, რომელთა არსებობის შემთხვევაში მხარეებს ევალებათ ან შეუძლიათ შეაფასონ მომავალი ცვლილებების შესაძლებლობა კონტრაქტის დადების ეტაპზე. აღნიშნული კრიტერიუმები ხელს შეუწყობს მხარეებს, გამჭვირვალედ და გონივრულად შეაფასონ რისკები, დაგეგმონ შესაძლო ალტერნატივები და თავიდან აიცილონ გაუთვალისწინებელი სირთულეები ხელშეკრულების შესრულებისას. წინასწარი გათვალისწინების სტანდარტის მკაფიოდ განსაზღვრა გააძლიერებს ხელშეკრულების სტაბილურობას, შეამცირებს დავების ალბათობას და უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების დაცვას ცვლილებებით გამოწვეულ პირობებში.

➤ განსაზღვრული იქნას მკაფიო სტანდარტი, რომელიც გახდება კონტრაქტის მოდიფიკაციის წინაპირობა. ასეთი სტანდარტი უნდა ასახავდეს იმ კრიტერიუმებსა და პირობებს, რომლის არსებობის შემთხვევაში მხარეებს ექნებათ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეცვლა ან მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ეს უზრუნველყოფს კონტრაქტული ურთიერთობების პროგნოზირებადობას, გამჭვირვალობას და სამართლიანობას, აგრეთვე ხელს შეუწყობს მხარეთა ინტერესების დაცვას იმ შემთხვევაში, როდესაც საწყისი შეთანხმების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება არაპროგნოზირებადი ან გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო. სტანდარტის მკაფიოდ ჩამოყალიბება თავიდან აიცილებს გაურკვევლობას და შესაძლო დავებს კონტრაქტის მოდიფიკაციის პროცესში.

➤ ხელშეკრულების მისადაგების ეფექტურობის მიზნით ხელშეკრულებაში მოლაპარაკების ფაზის დეტალურ რეგლამენტაციას, რათა მხარეებმა რეალურად სცადონ ახალი პირობების შეთანხმება. მხოლოდ მოლაპარაკების ჩაშლის ან კრიტიკული განსხვავების პირობებში ეძლევა მხარეებს შესაძლებლობა საქმე სასამართლოში გადაიტანონ.

➤ გრძელვადიან კონტრაქტებში გათვალისწინებულ იქნას მხარეთა უფლება, განსაკუთრებული და პატივსაცემი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ვალდებულების შეწყვეტაზე. ასეთი დათქმა უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების

დაცვას მაშინ, როდესაც კონტრაქტის გაგრძელება მათთვის არსებითად არამიზანშეწონილი ან შეუძლებელი ხდება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გარემოებები მნიშვნელოვნად და მოულოდნელად იცვლება. აღნიშნული უფლების მკაფიო ფორმულირება კონტრაქტში ხელს შეუწყობს სამართლებრივი ურთიერთობების მოქნილობას და უზრუნველყოფს სამართლიანობას მხარეთა შორის კრიზისული ან გაუთვალისწინებელი სიტუაციების დროს.

➤ საკანონმდებლო ცვლილება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებით, არამედ უნდა გავრცელდეს ფართოდ ვალდებულებით ნაწილზე, მაგალითად დელიქტურ პასუხისმგებლობაზეც (პანდემიური ფორსმაჟორის ანალოგიური რისკების რეგულირებისთვის.)

➤ დაზარალებულ მხარეს განესაზღვროს გონივრული ვადა, რომლის განმავლობაში მას შეეძლება გამოავლინოს თავისი მოთხოვნები ან გამოიყენოს კანონით ან ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები. ასეთი ვადის განსაზღვრა უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობას, ხელს უშლის გაურკვევლობასა და დავების გაჭიანურებას, ასევე იცავს როგორც დაზარალებული, ისე მეორე მხარის ინტერესებს. ვადის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც საქმე ეხება ხელშეკრულების შეწყვეტას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ან სხვა სამართლებრივი შედეგის დადგომას მოულოდნელი და განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში.

პანდემიის გამოცდილებამ ასევე ცხადყო, რომ სამართლებრივი სისტემა უნდა იყოს მომავლისკენ ორიენტირებული, აქცენტი უნდა გაკეთდეს ინფორმაციის კოდიფიკაციაზე, დისტანციურ პროცესებზე, ონლაინ პლატფორმების და ციფრული მექანიზმების ეფექტიანი ინტეგრაციაზე.

კონტრაქტებში ფორსმაჟორული პუნქტების ფორმულირებისას მხარეებმა წინასწარ განსაზღვრონ პანდემიური, ეპიდემიური რისკები, მიმართონ კლასიფიკაციისა და დაყოფის მკაფიო სტანდარტებს. მხოლოდ ფორმალური პროგნოზირებადობა და პასიური ლეგიტიმაცია საკმარისი არ არის;

შიდა და საერთაშორისო პრაქტიკის სინთეზით, ქართულმა სამართალმა უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ვალდებულებების განაწილება და, ამასთანავე, უზრუნველყოს სწრაფი და მოქნილი რეგულირების შესაძლებლობა

ნებისმიერ გაუთვალისწინებელ პირობებში. მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი, რომ სამართლებრივი სისტემა ეფექტიანად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, დაიცვას მხარეთა კანონიერი ინტერესები და უზრუნველყოს იურიდიული ურთიერთობების სტაბილურობა როგორც რიგით, ისე კრიზისულ სიტუაციებში.

თანამედროვე სამართლებრივი მიდგომები სწორედ ამ ორი ძირეული მოთხოვნის — სამართლიანობისა და ადაპტირებულობის — ეფექტურად გაერთიანებას უნდა ეცადოს, რათა ქართულმა სამართლებრივმა სისტემამ შეძლოს გლობალური სტანდარტების დაკმაყოფილება და ეროვნული ინტერესების დაცვა რთულ და არაპროგნოზირებად გარემოში.

პანდემიის ეფექტური სამართლებრივი მართვის მიზნით აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა: გაუმჯობესდეს საკანონმდებლო რეგულაცია, შეტანილ იქნას ტერმინოლოგიური სიცხადე; დაინერგოს დეტალური კრიტერიუმები ცვლილებების შესახებ მექანიზმის გასააქტიურებლად; გაიზარდოს ალტერნატიული დავების გადაწყვეტის ინსტიტუციური ხელმისაწვდომობა, მოხდეს მყარი მტკიცებულებებისა და ინდივიდუალურ ფაქტორებზე დაფუძნებული ანალიზი; სრულად იყოს შესაძლებელი კრიზისებზე სწრაფი რეაგირება, სამართლიანი და კეთილსინდისიერი მოლაპარაკებები.

სამართლებრივი ეფექტურობის მომავალი განისაზღვრება იმ მზაობით, რაც ქართულ კერძო სამართალს, როგორც სამართლებრივი სისტემის ნაწილის და როგორც ეკონომიკური ცირკულაციის საფუძველს, ექნება მზაობა უპასუხოს ყველაზე მასშტაბურ და მოულოდნელ გლობალურ კრიზისებს, დაამკვიდროს ნორმათა და პრაქტიკის სინერგია, რადგან საკანონმდებლო და პრაქტიკული ბაზა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ურთიერთობათა სტაბილურობას, არამედ განვითარების პროგნოზირებადობასა და პასუხისმგებლობის სამართლიან გადანაწილებას.

ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის როლის გაძლიერება უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ პროცესუალურ ნორმატიულ გაჯანსაღებას, არამედ მათ სწორ და ფუნქციონალურად ინტეგრირებულ გამოყენებას – რასაც

მხარეების კეთილსინდისიერება, სასამართლოს უფლებამოსილება და დროული ხელსაწყოების განვითარების პოლიტიკა უზრუნველყოფს.

ამგვარი ქმედითი ნაბიჯები იქნება ქართული სახელმწიფოებრივი სამართლის მდგრადი პასუხი არა მხოლოდ პანდემიით, არამედ ნებისმიერი მომავალი, მოულოდნელი სისტემური ეკონომიკურ-სამართლებრივი გამოწვევის დროს, უზრუნველყოს კრიზისის პირობებში სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ეფექტური მართვა, მხარეთა უფლებრივ ინტერესთა დაცვა, ბიზნეს/სამოქალაქო გარემოს სტაბილურობა, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

9.2 ბიბლიოგრაფია

ა. წიგნები და მონოგრაფიები

1. ახვლედიანი, ზ. *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: სამართალი.1999.
2. ბოჭორიშვილი, ზ. *სამოქალაქო სამართალი*. თბილისი.2018.
3. ვაშაკიძე, გ. და სხვები. *სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III: ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი.2019.
4. ძლიერიშვილი, ზ. და სხვები. *სახელმწიფო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.2014.
5. თოდუა, მ. და ვილემსი, ჰ. *ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.2006.
6. თუმანიშვილი, გ. *შესავალი საქართველოს კერძო სამართალში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.2012.
7. ჭანტურია, ლ. და ზოიძე, ბ. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი*. თბილისი: სამართალი.2001.
8. ხუბუა, გ. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კონცეპტუალური საფუძვლები*. თბილისი.2012.
9. ჯავახიშვილი, გ. *სამოქალაქო სამართალი*, ტ. II. თბილისი.2017.
10. ჩხეიძე, გ. *საქართველოს კერძო სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი.2020.
11. სუხიტაშვილი, დ. და სუხიტაშვილი, თ. *სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*. თბილისი: მერიდიანი.2016.
12. ფანცულაია, გ. *საქართველოს სამოქალაქო სამართალი. ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)*. თბილისი.2019.
13. მამულაშვილი, მ. *სამოქალაქო სამართალი. ვალდებულებითი სამართალი*, ტ. II. თბილისი: იურისტი.2012.
14. რუთერსი, ბ. *სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი*. თბილისი: სვეტი.2017.

ბ. სამეცნიერო სტატიები

1. ბურჯანაძე, ნ. „ხელშეკრულების გადახედვის საფუძვლები ქართულ სამართალში“. *სამართლის ჟურნალი*, 2. 2015.
2. გელაშვილი, თ. „კეთილსინდისიერების პრინციპის როლი შრომით ურთიერთობებში პანდემიის დროს“. *შრომის სამართლის მიმოხილვა*, 1. 2022.
3. გიორგიაძე, ნ. „სახელმწიფოებრივი ურთიერთობების დინამიკა და გარემოების ცვლილების დოქტრინა“. *სამართლის მიმოხილვა*, 12(2). 2018.
4. გიორგიაძე, ნ. „COVID-19-ის პანდემიის გავლენა სახელმწიფოებრივი ვალდებულებებზე“. *სამართლის მიმოხილვა*, 15(1). 2021.
5. გოცირიძე, გ. „ფორსმაჟორის სამართლებრივი არსი და პრაქტიკული მნიშვნელობა“. *იურიდიული მიმოხილვა*.2021.
6. მეფარიშვილი, თ. „ხელშეკრულების პირობების შეცვლა და ადაპტაცია ქართულ კერძო სამართალში (398-ე მუხლის პრობლემები და ტენდენციები)“. *სამეცნიერო მოსაზრებანი*, 5. 2021.
7. ნანა ჯოხაძე. „ხელშეკრულების გადახედვა შეცვლილი გარემოებების პირობებში – ქართული და ევროპული მოდელი“. *სამართალი*, 2. 2022.
8. სულხანიშვილი, მ. „ხელშეკრულების მოდიფიცირება და მისი სამართლებრივი ასპექტები“. *ხელმისაწვდომია: journals.4science.ge/1559journals.4science.ge* [ნახვის თარიღი: 2024 წლის 10 აპრილი].2023.
9. ქავთარაძე, ნ. „კეთილსინდისიერების პრინციპის როლი ხელშეკრულებით ურთიერთობებში“. *სამართლის მიმოხილვა*, 1. 2020.
10. ქუთათელაძე, ბ. „გარემოების შეცვლის დოქტრინა ქართულ და გერმანულ სამოქალაქო სამართალში“. *სამართლის მიმოხილვა*, 3. 2018.

11. ჩაჩანიძე, „სახელშეკრულებლო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში.“ *მართლმსაჯულება და კანონი*, 3. 2010.

12. ჩიტაშვილი, ნ. დამნაშავეობის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დადგენისათვის. თბილისი.2009.

13. ცაგარეიშვილი, შ. „კონტრაქტის შესრულების შეუძლებლობა ქართულ სამოქალაქო სამართალში.“ თბილისი. 2022.

14. შავგულიძე, ლ. „კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება პანდემიის პირობებში.“ *სამართლის მიმოხილვა*, 3. 2021.

15. ხუნაშვილი, ნ. „კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში“. სადისერტაციო ნაშრომი.2014.

ჯუღელი, თ. „არასახელშეკრულებო ვალდებულებები“ სამართალი და მსოფლიო. N6.2017.

გ. დისერტაციები

1. ჩიტაშვილი, ნ. გარემოების ცვლილების გავლენა ვალდებულებების შესრულებაზე და მხარეთა შესაძლო მეორადი მოთხოვნები. დისერტაცია. თბილისი: University Press. 2014.

2. ხუნაშვილი, ნ. (2014). კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი. ხელმისაწვდომია: [Nino Xunashvili.pdfpress.tsu.ge](https://nino.xunashvili.pdfpress.tsu.ge) [ნახვის თარიღი: 2024 წლის 10 ივნისი].

დ. სახელისუფლებო და საერთაშორისო დოკუმენტები

1. ვენის კონვენცია ხელშეკრულებების შესახებ. (1969).

2. საქართველოს კონსტიტუცია, მე-16 მუხლი. საქართველოს პარლამენტი, №786-რს, 24 აგვისტო.(1995).

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილება N1/3534, 11 ივნისი.(2013).

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საკანონმდებლო მაცნე.(2019).

5. საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილება Nას-7-362-07, 5 ივნისი.(2007).

6. საქართველოს უზენაესი სასამართლო ვალდებულებით სამართლებრივი დავა, N-ას–1004–2019, 3 ოქტომბერი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება №ბს-291(კ-22), 16 ნოემბერი, 2022.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-123-123-2010; 2010 წლის 6 ივლისის N ას-7-6-2010; 2020 წლის 10 ივლისის საქმე №ას-123-123-2020.

9. ქუთაისის საქალაქო სასამართლო (2020). საქმე №2/9876-20, 12 ნოემბერი.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლო (2022). საქმე №2ბ/1234-22, 18 მაისი.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება №ბს-291(კ-22) 16 ნოემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი
ხელმისაწვდომია:https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/30769/0?utm_source

A. უცხოენოვანი წიგნები და მონოგრაფიები:

1. American Law Institute RESTATEMENT (SECOND) OF CONTRACTS, ch. 11, intro. note, at 311. 1981.
2. Augustine(1999). *Confessions*. Translated by E.B. Pusey. H.htmgutenberg.org [Accessed 6 Jun. 2024].
3. Bénabent, A. *Droit des obligations* (20th ed.). Paris: LGDJ. 2021.
4. Brunner, C. *Force Majeure and Hardship under General Contract Principles*. Alphen aan den Rijn: Kluwer Law International. 2009.
5. Galloway, S. *Post Corona: From Crisis to Opportunity*. New York: Penguin. 2020.
6. Ghestin, J. *Traité de droit civil: Les effets du contrat*. Paris: LGDJ. 2001.
7. Gostin, L.O., et al. *Global Health Law*. Cambridge, MA: Harvard University Press. 2014.
8. Honigsbaum, M. *The Pandemic Century*. New York: W.W. Norton & Company. 2019.
9. Hondius, E. 'Change of Circumstances', in *Towards a European Civil Code*. 4th ed. Alphen aan den Rijn: Kluwer Law International. 2016.
10. Lando, O. and Beale, H. (eds.) *Principles of European Contract Law, Parts I and II*. The Hague: Kluwer Law International. 2000.
11. Lindström, N. Changed Circumstances and Hardship in the International Sale of Goods. *Nordic Journal of Commercial Law*, 1. 2006.
12. McKendrick, E. *Force Majeure and Frustration of Contract*. London: Sweet & Maxwell. 2014.
13. McKendrick, E. *Contract Law: Text, Cases, and Materials*. Oxford: Oxford University Press. 2020.
14. Palandt, O. *Bürgerliches Gesetzbuch, Kommentar*. München: C.H. Beck. 2023.
15. Treitel, G.H. *Frustration and Force Majeure*. London: Sweet & Maxwell. 2020.
16. UNIDROIT *UNIDROIT Principles of International Commercial Contracts*. Rome: UNIDROIT. 2016.
17. Wang, H. China's Force Majeure Certificates and the COVID-19 Outbreak. *Journal of International Economic Law*. 2020.
18. Zakaria, F. *Ten Lessons for a Post-Pandemic World*. London: Penguin Books. 2021.
19. Zimmermann, R. *The Law of Obligations: Roman Foundations of the Civilian Tradition*. Oxford: Oxford University Press. 1996.
20. Zweigert, K. and Kötz, H. *Introduction to Comparative Law*. Oxford: Clarendon Press. 1998.

B. სამეცნიერო სტატიები

1. Asunción, T. Housing Leases, COVID-19 Epidemic, and the State of Alarm. *Revista Crítica de Derecho Inmobiliario*. 2024.
2. Berger, P. and Berger, K.P. (2016). Principle VI.3 - Force Majeure. *Trans-Lex.org*. : ForceMajeuretranslex.org [Accessed 6 Jun. 2024].
3. Bisco, J.M., Fier, S.G. and Pooser, D.M. Business Interruption Insurance Claims During COVID-19: What You Need to Know. *Journal of Insurance Regulations*. 2021.
4. Ebke, W.F. and Steinhauer, M. COVID-19 and Force Majeure in International Contracts. *International Business Law Journal*, 3. 2021.
5. Gorrissen, F. Coronavirus as Force Majeure? Implications for Commercial Contracts. gorrissenfederspiel.com [Accessed 6 Jun. 2024].
6. Jentsch, V. Contracts and the Coronavirus Crisis: Emergency Policy Responses between Preservation and Disruption. *European University Institute*. LAW202109.pdf [Accessed 3 Jul. 2024].
7. Martínez, C. Force Majeure in the Context of COVID-19: Legal Implications in Spain. *Spanish Journal of Law*. 2021.
8. Ruthers, B. General Part of the Civil Code. 1st ed. Tbilisi: Sweti. 2017.
9. Schwartz, A. Contracts and COVID-19. *Stanford Law Review*. ContractsAndCovid19stanfordlawreview.org 2020. [Accessed 22 Apr. 2024].
10. Schwenger, I. Force Majeure and Hardship in International Sales Contracts. *Victoria University of Wellington Law Review*. 2008.
11. Twigg-Flesner, C. Change of Circumstances, Force Majeure, or What? *Warwick Research Papers*. cfmpapers.ssrn.com 2020. [Accessed 15 Jun. 2025].

12. Varas, G. The Force Majeure Clause, Impossibility, and Frustration of Purpose in the Age of COVID-19. *UF Journal of Undergraduate Research*, 24. 2022.

C. სახელისუფლებო და საერთაშორისო დოკუმენტები

1. Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz. (2002). *German Civil Code (BGB)*. [online]: [Englisch Bgb.pdf](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb.pdf)gesetz-im-internet.de [Accessed 6 Jun. 2024].
2. CJEU Guidance on the use of the force majeure clause in EU contracts in light of the COVID-19 pandemic. Brussels: Publications Office of the European Union. 2020.
3. Cour d'appel de Versailles (2020). 25 juin 2020, n° 19/04224.
4. Real Decreto 463/2020, de 14 de marzo, por el que se declara el estado de alarma para la gestión de la situación de crisis sanitaria ocasionada por el COVID-19.
5. Tribunal Supremo (2014). Sentencia 333/2014, de 30 de junio; Tribunal Supremo (2021). Sentencia 156/2021, de 15 de marzo.
6. United Nations. (1980). *United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG)*. Vienna: United Nations.
7. United Nations. (1982). *United Nations Convention on the Law of the Sea*. [Unclos E.pdf](https://www.un.org/Depts/los/convention_agreements/texts/unclos/unclos_e.pdf)un.org [Accessed 6 Jun. 2024].

D. ინტერნეტწყაროები

1. **Schwartz, A. (2020)** *Contracts and COVID-19*. *Stanford Law Review*. ხელმისაწვდომია: <https://stanfordlawreview.org> (ნახვის თარიღი: 10 ივნისი 2024).
2. **Harvard Law School (2020)** *COVID-19 Series*. ხელმისაწვდომია: <https://covidseries.law.harvard.edu> (ნახვის თარიღი: 15 აპრილი 2024).
3. **Gorissen Federspiel (2020)** *Coronavirus as Force Majeure? Implications for Commercial Contracts*. ხელმისაწვდომია: <https://gorissenfederspiel.com> (ნახვის თარიღი: 6 თებერვალი 2025).
4. **RQN (2020)** *Business Interruption Insurance and COVID-19: What You Need to Know*. ხელმისაწვდომია: <https://www.rqn.com> (ნახვის თარიღი: 19 ივნისი 2024).
5. **Schwartz, A. (2020)** *Contracts and COVID-19*. *Stanford Law Review*. ხელმისაწვდომია: <https://www.stanfordlawreview.org/online/contracts-and-covid-19/> (ნახვის თარიღი: 19 ივნისი 2024).
6. **Gorissen Federspiel (2020)** *Coronavirus as Force Majeure? Implications for Commercial Contracts*. ხელმისაწვდომია: <https://gorissenfederspiel.com/> (ნახვის თარიღი: 6 თებერვალი 2025).
7. **Trans-Lex (n.d.)** *Force Majeure*. ხელმისაწვდომია: https://www.trans-lex.org/944000/_/force-majeure/ (ნახვის თარიღი: 5 ნოემბერი 2024).
8. **European Law Blog (n.d.)**. ხელმისაწვდომია: <https://www.europeanlawblog.eu/> (ნახვის თარიღი: 22 თებერვალი 2024).
9. **NAIC (n.d.)** *Business Interruption and COVID-19*. ხელმისაწვდომია: <https://content.naic.org/sites/default/files/jir-za-39-05-el-business-interruption-covid.pdf> (ნახვის თარიღი: 20 იანვარი 2025).
10. **University of Turku (2020)** *Force Majeure and COVID-19 in Logistics*. ხელმისაწვდომია: https://sites.utu.fi/covid-supply-chains/wp-content/uploads/sites/714/2020/05/Force-majeure-and-Covid-19-logistics_07052020_LR.pdf (ნახვის თარიღი: 20 დეკემბერი 2024).
11. **Gesetze-im-Internet (n.d.)** *German Civil Code (BGB) in English*. ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/englisch_bgb.pdf (ნახვის თარიღი: 12 აპრილი 2025).
12. **Revista Critica de Derecho Internacional (n.d.)**. ხელმისაწვდომია: <https://revistacritica.es/index.php/rcdi> (ნახვის თარიღი: 3 სექტემბერი 2024).
13. **Aarhus University Journals (n.d.)**. ხელმისაწვდომია: <https://journals.aau.dk/> (ნახვის თარიღი: 11 ოქტომბერი 2024).

14. **PwC Georgia (2020) COVID-19 Legal Issues.** ხელმისაწვდომია:
[https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/April_2020/PwC_COVID-19_Legal_Issues\(ENG\)_Updated_22_March.pdf](https://www.pwc.com/ge/en/assets/pdf/April_2020/PwC_COVID-19_Legal_Issues(ENG)_Updated_22_March.pdf) (ნახვის თარიღი: 2 აგვისტო 2024).
15. **JAM News (2020) საქართველო: კორონავირუსი და კარანტინი.** ხელმისაწვდომია:
<https://jam-news.net/ge/saqartvelo-koronavirusi-karantini-arganashvili/> (ნახვის თარიღი: 13 მარტი 2025).